

652/
1971/2



ЧИТАТЬ

1 , 7 1 4

ა. თხელადობოლი — აპარეს ასერ ინიციატივის წლისა	3
ბ. გარეაცია — ჩივი მხარები! ლექსი	13
ვ. ცალვაში — უცხოელის მთირი მოხსრობა	15
გ. სალუგაძი — რომოც უყარო უცდებილი ლექსი	26
დ. ცაცხალება — ტურისტიზი მოხსრობა	28
წ. მაღაზონია — აჯივი ლექსი	39
ე. გლენი — როცა გაფაფელდება მოაზო მოხსრობა	40
ჯ. კათამაძი — ლექსები	44
ჩ. გაჯოლიძი — უასევი სოფლის თავეცის ჩანაწერები	46
შ. სამცხელი — სიმღერა ლექსი	64

წერილები

ა. ართმელაძი — როცა კალაში სოფტ გაუმოლდა	65
სურანიძი — მოხი ვალი აკაკი ზოროვალთან	74
კ. პეტლიაძი — ირგი	79
დ. კომაზიძი — აპარეს მოსახლე- ობა და უროგოთი რესრესი	84
ე. თავართიშვილაძი — სასაქონლო რესრესი და მისი ზრდი	88
ფ. რიზერვი აპარესი	

პირაანსი მიმოხილვა


ზ. თადეილავა, ვ. ზოიძი — მოხ- ტომულის პირველი წიგნი	93
--------------------------------------------------------	----

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საკართველოს სახაოთა
მფლობელის კავშირისა და
აპარეს განცხადების
ორგანო

გ ა თ უ მ ი — 1971

ი ც ლ ი ს ი — აპილი



რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივანის — 33-72.

ხელმოწერილია დასბეჭდად 22.7. 1971 წ., საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 2819, ემ 01267, ქაღალდის ზომა 60X90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 22).

აღმასანდრა თხილამავილი

საქართველოს კომპარტიის
აჟარის საოლქო კომიტეტის
პირველი მდივანი

აშარის ასეს მრავალეათი წეისაა

დიდ წარსულს დიდი მომავალი ექნებაო, ამბობდა ილია ჭავჭავაძე. ზრდენების ეს წინათგრძნობა ახდა. ისტორიულად მრავალტანჯულ საქართველოს მშრომელებმა ამ ნახევარი საუკუნის წინათ დაამსხვრიეს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მძიმე უღელი და საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ააფრიალეს. ეს იყო ჩვენი ერის ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვება, რომელმაც სათავე დაუდო მანამდე არნახულ ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას, ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას.

იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი მცირერიცხოვანი ხალხი, რომელსაც ამდენი ტანხვა-ვაება გამოვლოს, ამდენი ომი გადაეხადოს, ამდენი სისტელი დაეღვაროს და მაინც შეენარჩუნებინოს თავისი ეროვნული სხეული, შემოქმედებითი ენერგია, უმდიდრესი კულტურა, ენა და დამწერლობა. ქართველობამ ურიცხვ მტრებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში, როგორც ცეცხლის ქურაში, გამოაწროთ თავისი მგზნებარე სული და მხნედ შეეგება ახალი დროის რევოლუციურ ქარტეხილებს.

სამისოდ საქართველოს ყველა მხარემ გაიღო მსხვერპლი, მაგრამ აჭარის ხვედრი და ბედი მაინც სხვა იყო. სწორედ ამას გაუსვა ხაზი ვ. პ. მუავანაძემ თავის ერთ-ერთ გამოსვლაში: „ჩვენი ქვეყნის გმირულ წარსულში, — თქვა მან, — სამხრეთ საქართველომ, კერძოდ, დღევანდველმა აჭარამ, განსაკუთრებული როლი შეასრულა. ჭერ კიდევ შორეულ წარსულში სამხრეთ საქართველო წარმოადგენდა ქართული და მაშინდელი მსოფლიო კულტურის ერთ-ერთ მძლავრ კერას. ცნობილია, რომ ფაზისის აკადემია

ფაქტიურად სამხრეთ საქართველოს პირშოთა. ამ აკადემიის აღზრუნველებული მა დიდი წვლილი შეიტანეს იმდროინდელი საზოგადოებრივი ამონის განხილული გითარებაში.

ძველი ბერძნები და შემდეგ რომაელები განცვიფრებული იყვნენ სამხრეთ საქართველოს ქართული ტომების გმირობით. ისტორიამ შემოინახა მათი უმაგალითო სიმამაცისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის მრავალი მაგალითი.

დღევანდველი აჭარა მთელი საქართველოს ის საიმედო ფარი იყო, რომელმაც დაიცვა ქართველი ერი უცხო ურდოების შემოსევისაგან და თავის თავზე მიიღო დარტყმები, მთელ საქართველოს რომ განადგურებას უქადდა...

განსაკუთრებულ განცვიფრებას იწვევს ის, რომ აჭარლებმა, მიუხედავად შრავალსაუკუნოვანი უთანასწორო ბრძოლისა, შეინარჩუნეს ქართველობა, ქართული ენა, ქართული კულტურა და შემდგომში შეუერთდნენ თავის დედა-სამშობლოს და მასთან ერთად იბრძოდნენ ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის“...

ჩვენი მხარის წარსულის ეგზომ მაღალი და მართებული შეფასება ემყარება ისტორიულ ფაქტებს. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარის ეკონომიური ცხოვრება ძლიერ დაქვეითდა, განადგურდა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები, მოიშალა კულტურის ცენტრები და უცხო მოძალადეებმა ადგილობრივ მოსახლეობას ცეცხლითა და მახვილით მიაღებინეს მაჭადიანობა, მაინც ვერ მოდრიკეს იგი, ვერ გადააგვარეს, ვერ წაართვეს ერის ისეთი ფენომენი, როგორიც არის მშობლიური ენა. აჭარლის ოჯახში არასდროს არ გამოლეულა ქართული სიტყვა.

მაღალმა ეროვნულმა თვითშეგნებამ მნიშვნელოვნად განაპირობა სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მომხდეურთა ბატონბას დაუპირისპირდა. მაგრამ ბრძოლა უთანასწორო იყო, და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გასტანდა იგი, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში რუსეთს არ გაემარჯვა და ბერლინის ტრაქტატით აჭარა რუსეთის იმპერიის ფარგლებში არ მოქცეულიყო.

ამ ომში ქართველობას მაყურებლის ადგილი როდი ეჭირა. ათასბით ქართველი მხედარი ბრძოლის ველზე სისხლს ღვრიდა, სიცოცხლეს სწირავდა იმისათვის კი არა, რომ ორთავიანი არწივის პოზიციები განემტკიცებინა აღმოსავლეთში, მისი მიზანი იყო თანამომეთა გამოხსნა.

ასრულდა დიდი ხნის ნანატრი ოცნება — აჭარა კვლავ დაუბრუნდა დედა-სამშობლო საქართველოს. ქართველი საზოგადოებრიობა აღტაცებით

შეხვდა აჭარის განთავისუფლებას და მხურვალე მონაწილეობა მიღო თანამძმეთა ხევდრის შემსუბუქებაში. ამ მოძრაობას სათავეში უდინობრივ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: გ. უზენაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვები. მათი თაოსნობით ახლადშემოერთებული მოსახლეობის დასახმარებლად შეიქმნა ფონდები, გაიხსნა პირველი ქართული სკოლები. აჭარა პროგრესის გზას დაადგა, მოწინავე ქართველი და რუსი ინტელიგენციის მეშვეობით რევოლუციურ იდეებს ეზიარა და ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფერხულში ჩაება.

ამ მოძრაობას მეოცე საუკუნის გარიურაჟზე სათავეში ჩაუდგა ბათუმის ლენინურ-ისკრული მიმართულების რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მსგავსად იშვა რუსეთის სახელოვანი მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის გავლენით.

მარქსისტული წრეებისა და ბეჭდვითი პროპაგანდის მეოხებით სულ უფრო მაღლებოდა ბათუმის მუშათა პოლიტიკური შეგნებულობის დონე. ამას მოწმობს თუნდაც ის კორესპონდენციები, ბათუმიდან ლენინურ „ისკრაში“ რომ აგზავნიდნენ.

სამრეწველო კრიზისმა, უმუშევრობამ ახალი ბიძგი მისცა რევოლუციური მოძრაობის განვითარებას საქართველოში. ეს საერთო პოლიტიკური აღმავლობა უჩეესობით დალით გამოვლინდა ბათუმში. 1902-1903 წლების ამბებმა, განსაკუთრებით კი ბათუმის მუშათა 9 მარტის პოლიტიკურმა დემონსტრაციამ ამოძრავა ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა მასები და მძლავრ ექიდ გაისმა მთელ რუსეთის იმპერიაში.

ლენინურ იდეებზე აღზრდილი ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია 1905 წლის რევოლუციის მდელვარე დღეებში, მომდევნო რეაქციის შავბელ პერიოდში თუ პირველი მსოფლიო ომის წლებში დაუღალებად იბრძოდა მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლისაგან შშრომელთა განთავისუფლებისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, ყოველმხრივ უცერდა მხარს რუსეთის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას და პირნათლად ასრულებდა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას.

განსაკუთრებით მძიმე იყო ქართველი მენშევიკების ბატონობის პერიოდი, როცა ბოლშევიკებს შეუპოვარი ბრძოლა უხდებოდათ არა მარტო შინაური რეაქციის ძალების, არამედ დენიკინელების, თურქი, ინგლისელი და სხვა ოკუპანტების წინააღმდეგ. ამ დროს ბათუმის გარდა პარტიული ორგანიზაციები მოქმედებდნენ ქობულეთში, ჩაქვში, მახინჯაურში, მურღულსა და კვარცხანაში, ხოლო ბათუმის ორგანიზაცია თბილისის ორგანიზაციის შემდეგ ყველაზე ძლიერად ითვლებოდა საქართველოში.

საერთო რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში საქართველოს შშრომელებს წამოეშველა საბჭოთა რუსეთი. აგანყებულმა შუშემა/და მათ დასახმარებლად მოსულმა შეთერთმეტე წითელი არმიის სამართლებრივი განათავისუფლეს თბილისი. ეს იყო 1921 წლის 25 თებერვალს, ზოლო 27 თებერვალს ს. ორჯონივიძემ ბაქოს საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „აპლოა ის დღე, როცა ბათუმში წითელი დროშა აფრიალდება, როცა შავი ზღვა მიიღებს გაქცეულ მენშევიკებს“. ასეც მოხდა. მენშევიკურა მთავრობა შეეცადა ბათუმში გამაგრებულიყო და ამ მიზნით ქართველი ზალხის მიმართ უმძიმესი ღალატი ჩაიდინა: აქარაში თურქეთის ჭარა შემოუშვა. მაგრამ ვერც ამან უშეველა და 17 მარტს საზღვარგარეთ გაიძია. იმავე დღეს ბათუმის ციხიდინ გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები. შეიქმნა დროებითი რევოლუციური კომიტეტი, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა თურქების განდევნას და საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციას. 18 მარტს ბათუმშა და მის მიღამოებში გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად თურქი ოკუპანტები სასტიკად დამარცხდნენ. ამასობაში გოლერძის უღელტეხილი გაღმოლასქეს და თავისუფლების დროშით ბათუმში შემოვიდნენ მეთერთმეტე არმიის ცხენოსნები. აქარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

შშრომელები აღფრთვენებით შეხვდნენ ამ ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს. ყველგან იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები, ყველგან მიესალმებოდნენ პირველ საპალხო ხელისუფლებას და აქტიურად ებმებოდნენ სამეცნიერო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თავისუფალი აქარის შშრომელებს მხურვალედ მიესალმა საბჭოთა საქართველოს მთავრობა და აღუთქვა, რომ აქარას მისცემდა ავტონომიურ მშართველობას. ეს სეითთი აღრეც იყო მსჯელობის საგანი. ვინ არ პირდებოდა მრავალტანჯულ აქარას ავტონომიას — დენიკინელები, მუსავატელები, დაშნაკები, რომ ჩამოეშორებინათ იგი დედა-სამშობლო საქართველოსათვის და თავიანთი ავი ზრახვების განხორციელების ასპარეზად გაეხადათ. ამ მხრივ თურქეთის მაშინდელმა მმართველებმაც მოიღეს „მოწყალება“. რაც შეეხება მენშევიკურ მთავრობას, იგი „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად“ დათანხმდა, რომ სამუსლომანო საქართველოსათვის მიენიჭებონა ავტონომია.

ნამდვილი ავტონომია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიიღო აქარამ. საქართველოს მთავრობამ თავისი დაპირება შეასრულა — 1921 წლის 16 ივნისს გამოსცა დეკრეტი აქარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

საბჭოთა წყობილებამ ქართველებს, ისე როგორც საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ხალხს, მოგვცა შემოქმედებითი ძალების განვითარების, საკუთარი ეროვნული სახელმწიფო ბრიობის, ეკონომიკისა და კულტურული ის აყვავების დიდი შესაძლებლობანი. აჭარას ავტონომიურმა მმართველობისა და საშუალება მისცა უფრო მეტად ესარგებლა ამ შესაძლებლობით და უცხოელ დამპყრობთა სამასწლოვანი ბატონობის მეობებით შექმნილი ლრმა ხარვეზი უმოკლეს დროში ამოევსო. ასე რომ, აჭარის ავტონომიას არავითარი ეროვნული ნიადაგი არა აქვს, იგი შეპირობებულია საქართველოს ამ უცველესი მხარის ავტონომიან გამომდინარე ზოგიერთი თავისებურებით.

აჭარის ასსრ შექმნის დღიდან ნახევარი საუკუნე გავიდა. ეს დრო ისტორიისათვის დიდი არ არის, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით უაღრესად მნიშვნელოვანია. ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმის განხორციელების მეობებით აჭარაში მოხდა მანამდე არნახული ცვლილებები, იგი ჩამორჩენილი მხარიდან გადაიქცა მოწინავე ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესუბლიკად.

რევოლუციიამდელ აჭარაში თითქმის არ იყო მრეწველობა. ის 35 ფაბრიკა-ქარხანა, რომელიც სახელმწიფო საქუთრებად გამოცხადდა, უფრო მეტად კუსტარულ სახელოსნოებს წარმოადგენდა. საბჭოთა ხუთწლედებში აქ აშენდა ნავთობგადასამუშავებელი, გემთსაშენი, მანქანათსაშენი, ტყავის, კოფეინის, ფეხსაცმლის, სამქერვალო, ელექტრომქექანიკური და სხვა საწარმოები. ამჟამად აჭარაში 74 მსხვილი სამრეწველო საწარმოა. მათ პროდუქციას იცნობენ არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთის ორმოცდაექვს ქვეყანაში.

ახლა აჭარის სამრეწველო საწარმოები 260-ჯერ მეტი პროდუქციას უშვებენ, ვიდრე 1921 წელს. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერი იყო უკანასკნელი წლები. შარშან აჭარის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე — 11 ნოემბრისათვის შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა და სახელმწიფო დავალების გადამეტებით გამოუშვეს 40 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია. 1965 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა გაიზარდა 42 პროცენტით, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა შრომისნაყოფიერების ზრდის, მოგების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების დავალებები, ამასთან გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. საწარმოთა საქმიანობაზე, მათ ეკონომიურ მაჩვენებლებზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა სამეურნეო რეფორმამ, მატერიალური სტიმულირების ახალმა წესმა.

დიდი ხანი არ არის, რაც ბათუმი საქართველოს საზღვაო სატარაფი განხილული ხდა. ახლა აქედან საქართველოს სახელმწიფო ოლმით ათობით ტანკები გადის და სერავს მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს. საბჭოთა უსამართველობის თოთხმეტ სანაოსნოს შორის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მეცუთე აღიღლი უჭირავს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ლენინის კომპერაციული გეგმის საფუძველზე ღრმა სოციალური გარდაქმნები მოხდა აჭარის სოფელშიც. იგი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ბალნარად გადაიქცა. 1921 წლამდე აჭარაში ჩაის პლანტაციები გაშენებული იყო 850 ჰექტარზე, ციტრუსოვანთა ნარგავები კი 397 ჰექტარზე. ამჟამად ჩაის პლანტაციებს შეიძიო ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია, ხოლო ციტრუსოვანთა ნარგავებს ხუთი ათას ჰექტარზე მეტი. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოება 1921 წლის 359 ტონიდან 1970 წელს 39.520 ტონამდე, ანუ 110-ჯერ გაიზარდა, ციტრუსოვანთა ნაყოფისა კი — 150 ტონიდან 81 ათას ტონამდე, ანუ 540-ჯერ. ასევე თვალსაჩინოდ გაიზარდა ვაზის, ხეხილის, დაფნის, ტუნგოს და სხვა კულტურების ფართობები და მოსავლიანობა. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების შედეგად განუხრელად უმჯობესდება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. ყველგან დაინახავთ თანამედროვე ივეჭით მოწყობილ ერთ და ორსართულიან ოდა-სახლებს. ბევრ ეზოში დგას მსუბუქი ივტომანქანაც. რადიო და ტელევიზია ხომ მტკიცელ დამკვიდრდა კოლმეურნის ყოფაში.

მართალია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებამ, ამ დარგებში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვამ დიდად შეუწყო ხელი ცხოვრების პირობების განუხრელ გაუმჯობესებას, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებას, მაგრამ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებმაც. ხუთწლედების მანძილზე ფართოდ განვითარდა კაპიტალური მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ვაჭრობა, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება. დიდი გაქანება მიიღო ახალი საწარმოების, საბინაო, სასკოლო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობამ.

მაგრამ ეს მძლავრი აღმშენებლობითი რიტმი დაარღვია საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ. ეს ომი, ი. ბ. სტალინის თქმით, იყო „უსასტიკესი და უმძიმესი ყველა ომთაგან, რომელიც იდესმე გადაუტანია ჩვენს სამშობლოს თვის ისტორიაში“.

აჭარის მშრომელები ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთდა ჩატარებული 23 საძულველი მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და ათასამდე კაცი წავიდა ფრონტზე. ბევრმა მათგანმა დაიმკვიდრებული და დიდება. ბევრი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. იჭარის მოსახლეობა მოწიწებით ინახავს. შინმოუსვლელთა ხსოვნას.

ომისშემდვომ წლებში კვლავ ფართო ფრონტით გაიშალა იღმშენებლობითი სამუშაოები. ძირეული ცელილებები მოხდა სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში. სახე იცვალეს რესპუბლიკის ქალაქებმა, რაიონულმა ცენტრებმა, დაბებმა და სოფლებმა. ახლა მათ ამშვენებს ახალი მაგისტრალები, საცხოვრებელი სახლების მასივები, კულტურულ-საყოფაცხოვებო დანიშნულების ლამაზი ნაგებობანი, სამკურნალო დაწესებულებები. აშენდა და დამშვენდა საქვეყნოდ ცნობილი კურორტები — ქობულეთი, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მახინჯაური, საღაც ყოველწლიურად ათიათასობით მშრომელი ისვენებს.

სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად ჩვენში იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიეკუთხა ხალხის კულტურული დონის ამაღლებას. და ეს სავსებით ბუნებრივია; კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშართლიანი, ყველაზე სრულყოფილი საზოგადოების — კომუნიზმის აშენება შეუძლიათ მხოლოდ შეგნებულ, დიადი მიზნით შთაგონებულ ადამიანებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარა სკოლების ფართო ქსელით დაიფარა. თუ 1921 წლისათვის იყო 38 სკოლა 2.920 მოსწავლით, ამჟამად არის 436 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 68.500 მოსწავლით. გარდა ამისა, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის საღამოს დასწრებულ ფაკულტეტზე, საშუალო სპეციალურ და პროფესიუნურ სასწავლებლებში შეიძიო ათასზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თბილისა და საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო ცენტრებში ბევრი ჩვენი ახალგაზრდა ხარბად ეწაფება ცოდნის წყაროს.

სასიხარულოა, რომ 1970 წლის აღწერის მასალების თანახმად უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით აჭარას საბჭოთა კავშირის ოც ავტონომიურ რესპუბლიკას შორის პირველი ადგილი უკავია: ათი წლისა და მეტი ხნის ათას სულ მცხოვრებზე 541 უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე მოქალაქე მოდის.

კიდევ უფრო უკეთეს სურათს იძლევა აჭარის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ პირთა განათლების სტატისტიკა. ყოველი ასეთი ათასი კაციდან 708-ს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს, მაშინ როცა

მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით იგივე მაჩვენებელი 653-ს უდიდეს, ხელი ავტონომიურ რესპუბლიკებში კი 690-ს არ აღემატება.

ეს ციფრები თავისთავად მეტყველებს, თუ რა მისცა აჭარის მართვის მიზანის და საბჭოთა მთავრობის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ. მასვე მოწმობს ფართოდ გაშლილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მისთვის მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნა.

რევოლუციამდელ აჭარაში არ იყო არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება. ამჟამად კი აქ ნაყოფიერად მუშაობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ისხტიიტის ჩაქვის ფილიალი, საკონსერვო მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის განყოფილება, უმდიდრესი ბოტანიკური ბალი, თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორია-აკვარიუმი, ლითონთა კოროზიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სადგური და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც მთელ თავიანთ საქმიანობას უკავშირებენ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას და კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებზე.

საქართველოს, კერძოდ, აჭარის მუშების, კოლმეურნების, სახალხო ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომა, სანაქებო წარმატებები, ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის ჩამოყალიბების რთული პროცესი ფართოდ აისახა ქართულ საბჭოთა მწერლობაში. აჭარისადმი გამორჩეული ყურადღებისა და ზრუნვის ტრადიცია, რაც იმთავითვე მოსდგამდათ ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, კვლავაც გრძელდება.

მეოცე საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტი გალავტიონ ტაბიძე აჭარის ხშირი სტუმარი იყო, ერთხანს აქ ცხოვრობდა კიდეც, დადიოდა საწარმოებში, კოლმეურნებებსა და საბჭოთა მეურნეობებში, წერდა შესანიშნავ ლექსებს. ასე იშვა მისი ლექსების კრებული „ოქრო აჭარის ლაუკარდში“, რომელიც ბათუმში გამოიცა.

ჩვენს მხარისადმი საოცარ სითბოსა და უშუალობას იჩენდა · მეორე დიდი პოეტი გიორგი ლეონიძე. იგი ხშირად ნახულობდა თავის სახლი-კაცებს სოფელ ჭოჭოში. არა ერთი შესანიშნავი ლექსი დაწერა აჭარის თემაზე.

ძალზე ნიშანდობლივია, რომ ქართული პოეტური სიტყვის ისეთმა შთაგონებულმა ოსტატმა, როგორიც იყო სიმონ ჩიქვანი, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში შექმნა ბრწყინვალე ლექსების ციკლი „შემოღომის დღეები აჭარაში“.

ასევე გაგვახარეს თავიანთი მხატვრული სიტყვით დემნა შენგელაიამ,

სერგო კლდიაშვილმა, კარლო კალაძემ, გრიგოლ აბაშიძემ, ალიო მაზუ-
ხულავაძ და სხვებმა.

ჩვენ კალავაც ვიმედოვნებთ, რომ ქართული მხატვრული ისტორიული
დიდოსტატები თავიანთ შემოქმედებაში საპატიო აღგილს დაუკუთხებული
ავარიის წარსულს და განსაკუთრებით მის ბედნიერ აწყობს. მაგრამ ეს ვა-
ლი, ვფიქრობთ, უფრო მეტად აწევთ იმ ქართველ მწერლებს, რომლებიც
აქ, აქარაში ცხოვრობენ და მოლვაწეობენ. პარმენ ლორიამ, ნესტორ მა-
ლაზონიამ, ფრიდონ ხალვაშვამა, მამა ვარშანიძემ, გიორგი სალუქვაძემ, ნა-
ნა გვარიშვილმა და სხვებმა საინტერესო ნაწარმოებებით გაამდიდრეს
ქართული საბჭოთა ლიტერატურა. მისასალმებელია, რომ ამირან შერვა-
შიძის, ალექსანდრე ჩხაიძის, შოთა როსტოს, ალექსანდრე სამსონიას დრა-
მატული ნაწარმოებები იღება არა მარტო ბათუმის, არამედ თბილისის
და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების თეატრების სცენაზე.

აღსანიშნავია, რომ ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო
თეატრმა აღვილობრივ დრამატურგებთან შემოქმედებითი თანამშრომლო-
ბით თვალსაჩინოდ გამდიდრა თავისი რეპერტუარი და მნიშვნელოვანი
წვლილი შეაქვს ქართული თეატრალური კულტურის განვითარებაში.

ასეთივე შემოქმედებითი წარმატებებით ხვდებინ აჭარის ასსრ ორ-
მოცდათი წლისთავს ჩვენი მხატვრები. ეს ცხადჰყო ამას წინათ თბილის-
ში მოწყობილმა აჭარის მხატვართა გამოფენამ, რომელსაც საქმაოდ მა-
ღალი შეფასება მისცეს დედაქალაქის საზოგადოებრიობამ და პრესამ.

რესპუბლიკის მშრომელთა კულტურულ ზრდას ემსახურება სახელმ-
წიფო გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, უურნალი „ჭოროხი“, საოლქო
და რაიონული გაზეთები. მნიშვნელოვნად გაიზარდა წიგნებისა და ჟურ-
ნალ-გაზეთების ტირაჟი.

სახელხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში მოპოვებული
წარმატებები მარტო აჭარის მშრომელთა ღვაწლის კი არა, მთელი ქართ-
ველი ხალხის, საქართველოს კომუნისტური პარტიის სისტემატური ზრუნ-
ვისა და დახმარების ნაკოფია.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება
მისცეს აჭარის ასსრ მშრომელთა ღვაწლის და ეკონომიკისა და კულტურის
განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის აჭარა 1967 წელს და-
ჯილდოვეს ლენინის ორდენით. ორდენებით დაჯილდოვდნენ ქობულეთის
რაიონის ოჩამეურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, სოფელ ხუცუბნის და
ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლის კოლმეურნეობები. 185 მუშაქს
მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. სახალხო მე-
ურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში წარჩინებული რამდენიმე
ათასი კაცი დაჯილდოვდულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.
სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ბევრი ჩვენი საწარმო და

ორგანიზაცია, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ფლობს საქართვის რო და რესპუბლიკურ გარდამავალ წითელ ღროშას.

ასე დაფასებული და დამშვენებული ეგებება საბჭოთა აუქტივიტურის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ამ ზეიმს წინ უსწრებდა დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებმაც მურომელთა მილიონები აღატრთოვანეს ახალი საგმირო საქმეებისათვის. შარშან საბჭოთა ხალხმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ დიდი სიყვარულით აღნიშნეს კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთვის. წელს მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში სკვპ 24-ე ყრილობა, რომელიც ლენინიზმის გმარჯვების, პარტიისა და ხალხის ურლვევი ერთიანობის ნათელ დემონსტრაციად იქცა. ყრილობის შემდეგ, ამ ყრილობის იდეებით მასების აღფრთვანების ვითარებაში ვიზერიმეთ საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთვის იუბილე. ეს დიდი ეროვნული დღესასწაული გადაიქცა საბჭოთა ხალხების მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციად. ამ ზეიმშე თბილისში ჩამოსულმა სკვპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟევმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს შპრომელთა მილწევებს და რესპუბლიკის დროშას ორი ლენინის ორდენის გვერდისთ მიაბნია ოქტომბრის რევოლუციის ორდენი. ამ დიდმა ჯილდომ და აგვირგვინა საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი გზა.

აჭარის კომუნისტებს, ყველა მშრომელს ეამაყებათ, რომ სერთო წარმატებებში სულ უფრო მეტი და მეტი წვლილი შეაქვთ. მათ ღრმად აქვთ შეგნებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდის ინტერესები და, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მტკიცედ დარაზმულნი, თავდადებულად შრომისათვის, რომ პირნათლად გაანალიზონ ახალი ხუთწლედის დავალებანი, განახორციელონ პარტიის 24-ე ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამა.

ნამდვილად რომ ასეა: ვისაც დიდი წარსული აქვს, იმას დიდი მომავალი უღიმის.

ჩ მ მ ო მ ხ ა რ მ ზ !

ლურჯ პორფირს გავხევ ხანდახან,
თითქოს და ეხაზავ გრიფელით,
ზღვაო, ნეტავი რადა ხარ
ასეთი ღრმა და ცისფერი!
ლაჟვარდმა სული წარილტო, —
თავი ან ბოლო სად არი?!
ნუთუ მაღელვებს ამიტომ,
ზღვასვით ლურჯი რად არი?!
მინდორი? — მტკავლის ოდენი,
მუდამ სიტურფით მახარბებს.
ვშორდები და ვერ ვშორდები
ჩემს დედულეთს და კახაბერს.
მიხურებია მთა მთასა
და მთებზე ფიქრი მიხარის.
ვგუგუნებ სხალთის ტაძართან,
ჩემში გუგუნებს ხიხანი.
ეს მთები ასე ლამაზი
რად არის, ერთი მითხარი?!
ვენახი? — მოდი და ნახე,
თურმე გვქონია რა ძალა!
ქვევრი რომ ოდეს დამარხეს,
ახლა წილად ხვდა პატარძალს,
რომ ლალის წვენით ააესოს
და მოგვაწოდოს თასითა.
სალამი ქალო ლამაზო,
ეგ შენი ღვინო მასვი და

ამავსე სიყვარულითა!
სული ბარს მივე, გული მთას...
მოიალალე ხარივით
ვდგავარ მშვერვალზე ოცნების,
გახარებული გულითა
ვმდერი და თან ვილოცები:
— აჭარავ, შენს ნაზ ყვავილებს
ომშიც ოცნებით ვიბნევდი,
ძველი ხარ და თან ახალი,
როდი იყავი მზივ ბნელი.
ხან გესხა სიყრმის ყვავილი,
ხან კიდევ მუმლი სიბერის.
პირველი მსხვერპლი შენ იყავ,
პირველი მცველი იბერის!

სულ შენ გადიდებ, დედაო,
მდიდარო დედაენითა,
ო, შენ შემატებე ქართულსა
და ბეღნიერი შენით ვარ!

დამწყდარა? არა, არასდროს
ჩვენი ჩინგურის სიმები.
ო, რა ცისკრები ეღება,
უმია დიღი სიმღერის.
როკავენ აღმატებულნი,
გულმოწერებით გალობენ,

მოფხიზლდი, აი, სულ მალე
ქალები როკვით გამოვლენ,
ქალები მღერით გამოვლენ,
გუშინ რომ ჩადრი ებურათ.
თუ ვერ მიხვდები, ეს მხარე
ასე რად ამღერებულა,
მოდი და ნახე, ჭირიმე,
ნახე მღელვარე ტაძრები,
მაშინ მიხვდები, თუ რატომ
ვიყავით ჭირში გამძლენი.
მაშინ მიხვდები, თუ როგორ
ვმაღლდებით შუქთა კონებით...

მხარეო, აღზევებულო
გულზედამც დაგეკვედო
და გვიხაროდეს ამიერ
აღდგომა და განახლება.
შენ დღეს ახალი, დიალი
აჭარა გქვია სახელად.
ჩვენია, საქართველოა
ჰაუ, აქედან სანამდი!
მინდა თქვენს გზებზე მოვფინო
ვარდი და იასამანი.
სალამი ძმებო, ქართველნო,
მხარევ ქართულო, სალამი!

360206 ხარვაში

წევდიადის მტერი

შესვენებისას, კრემლის დიდი სასახლის ერთ-ერთ ფოიეში, ნაცნობები ერთმანეთს დავეძებდით, ვგანუფლებოდით და რამდენიმე თავისუფალ წუთს წვრილმანი ამბების მოყოლა-გაზიარებაში ვხარჯავდით.

დიდი საკავშირო შეკრება მიმდინარეობდა. გარდა ქვეყნის ყოველი მხარის წარმოგზავნილებისა, აქ იხილავდით აგრეთვე დედაქალაქის სხვადასხვა ცენტრალური საზოგადოებისა და მაღალი ორგანოების წარმომადგენლებსაც.

მე ჩემი ნაცნობების ჯგუფთან აღმოვჩნდი. ვერც კი მოვასწარი მათ-თვის მომესმინა და მეც საუბარში ჩავრთულიყავი, რომ ერთი უცნობი მოგვადგა, მოგვესალმა და ჩვენთან საგანგებოდ შეჩერდა. ოდნავ შეხნიერებული ჩანდა, მაგრამ მკვირცხლი, ენერგული მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. თხელი ჭაღარა თმები ყურებთან ჩამოჩერდა. ჭკვიანი და კეთილი თვალები ყველას ერთად მოგვავლო. ბოლოს რატომდაც მე ჩამაშტერდა.

ოდნავ დავიძენი და წამით იქ მყოფ გადავხედე. ყველანი ისე შემომცეროდნენ, გეგონებოდათ, ჩემი ბედი შურდათ.

— ეს, აქარა, აქარა... — მითხრა უცნობმა რაღაცნაირი შორეული, მონელებული ტკივილით.

გვერდით მყოფმა ნაცნობმა ფეხი წამკრა ფეხზე და შეუმჩნევლად ყურში ჩამჩურჩულა:

— ეგ ვინაა იცი? გიორგია... აქ რომ მუშაობს, კრემლში. ხომ წაგიკოთხავს გაზეთებში... მაგის სახელი ხომ ყოველდღე იბეჭდება.

თანდათან მივხვდი ვინც იყო ახალმოსული და კიდეც მოვიწადინე ჩემი ნაცნობისათვის მეთქვა ეს, მაგრამ უხერხული მეჩვენა გიორგისადმი ყურადღების შესუსტება.

— ყოფილხართ ჩვენში? — ვკითხე საპასუხოდ.
— ოჩხამურში რომ პირველი ტრაქტორი მოვიდა, იმაზე ცემუშავდა.
— ახლა სხვებსაც მიუბრუნდა და თითქოს დიდი სიამყით გაავადებული ასე, თექვსმეტი წლისა უიქნებოდი... ერთი დღე დამამახსოვრდა ქალიან. წინა ღამით ქალამანი შევიკერე. კარგი იყო...

ფიქრობთ, გულწრფელი არა ვარ ქალამანს რომ ვაქებ? დამიჯერეთ, დამიჯერეთ. მთელი ღამე შევალივ და დიდებულად შევკერე. ტრაქტორის საჭეს რომ მივუჩექი, ფეხებზე ვიყურებოდი და თავი მომწონდა. ჰო, და-მიჯერეთ, ნუ გეცინებათ. მთელი დღე ვებულნიდი ჭაობიან მინდორს. ჩვენი დღე საათობით კი არ იზომებოდა. მზე რომ ამოწვერავდა, უკვე საში კვალი გატანილი იყო. მთელი დღე ვიმუშავე. ბინდისას გავჩერდი. ქალა-მანი გავიხადე, საჭეზე ჩამოვკიდე და საჭდომზე წამოვგორდი. უძალვე ჩამებინა. როცა გამეღვიძი, კარგად ბნელოდა. ხელის ცეცებით ვეძებე ქალამნები, მაგრამ არსად ცუო. მთელი ტრაქტორი გავჩხერივე. ვე-რა და ვერ აღმოვაჩინე ჩემი ქალამნები. ივეკვითინდი, აცლლიკვინდი. ამ დროს გზიდან ფეხის ხმა მომესმა.

— დაგეძინა, ჭოვ?! რა გვირს — შემომძახა სოფლისაკენ მიმავალმა შაქირ კვეიძემ.

— ქალამნები დავკარგე, შაქირ ძიავ, ქალამნები. სულ ახალი ქალამ-ნები — შევჩივლე გულისტყვილით, — აგრე მქონდა დაკიდული და...

— ოო, მაგას ტურა შოგპარავდა, ჭოვ. აბა სხვა ვინ წაიღებდა. კარ-გად იყავი. ერთ თავრიელს მე გაჩუქებ ხვალ.

— რატომ წუხდები, შაქირ ბიძავ, — ეუთხარი, მაგრამ გულში უსაზ-ლვროდ კმაყოფილი ვიყავი მისი მოულოდნელი შეპარებით...,

სასახლის ვეება ჭალები ოქროსფერ შუქს აფრიკვევდა მაღალი ჭერი-დან და კედლები ოქროსფრად ლაპლაპებდა. სიღიადის, სიმაღლისა და უსაზღვროების უცნაური გრძნობა გეუფლება აქ. ეს არის უბრალო რომანტიკა, ან ფანტაზიით გალამაზებული სინამდვილე.

ვინც ამას აგებდა, ალბათ კარგად იცოდა, რისთვის აგებდა. დიდ ჭვევანას, დიდ სახელმწიფოს დიდი სასახლე ჭირდებოდა. დიდი ზარი, დიდი ქვემეზი... მეფეებმა იცოდნენ დიდი მიწის მფლობელნი იყვნენ და მოუნდათ ყველაფერი დიდი ჰქონდათ.

ხომ იცით რა არის კაცის მაღა. ბოლოს და ბოლოს იმოდენა ზარი ჩამოასხმევინეს, არა თუ საკიდარმა, თავად მიწამაც ვეღარ გაუძლო, ჩასკ-და, ზარი გადაიხარა, გაიბზარა. ბევრი უდაგუნეს, მაგრამ ბლუ გამოდგა, ხმა ვერ ამოაღებინეს ზარს. ზარბაზანიც იმოდენა გამოდგა, ადგილიდან ძვრა ვერ უყვეს. მშიერ ვეშაპივით პირდაღებული შეჰყურებდა ქვეყნიე-რებას და ამაოდ ცდილობდა ერთი ფურთხით დედამიწა გადაელევა.

ჩავუკლით დღეს ამ უქნარა დევებს, გაუმაძლრობის სიმბოლოებად რომ დამდგარან ახალი შუქით სავსე ძველ სასახლეებთან და უსამენი ველები ლითონის ყბებში ორეკლილ ჩვენი ნაბიჯების ექოს. უკრაცული

ხოლო კრემლის დიდი სასახლის დარბაზებში ფერადი ხილის უსამენი მოქარგულ პარკეტებზე დავდივართ ქალამანნაცვამი, დანაგალი ფეხებით.

მაგრამ ასეთი ფეხების დაბიჯება უფრო ურჩევნიათ ამავ სასახლეებს. უფრო აიწიენ მხრებში, უფრო გაშალეს ხელები, უფრო მეტი ღიმილით გაინათეს სახე, როცა ჩვენი ფეხის შეხება იგრძნება.

აი, აქ შეიძლებოდა დამთავრებულიყო ჩემი მოთხრობა, მაგრამ მორიგი სხდომა რომ დაიწყო, გიორგის მონაყოლი ეპიზოდი კვლავ განშეორდა ჩემს გონებაში, მოგონებათა ლაბირინთები ათასი მივიწყებული ამბებით შეიძრა და აირია.

შაქირ კვეიძე? მოიცათ, მოიცათ. ეს შაქირ კვეიძე მთლად უცნობი არ უნდა იყოს ჩემთვის. უჰ, როგორ ამეკვიატა ეს სახელი და ალარ მცილდება!

ვიფიქრე, ვიფიქრე, ვიგონე, ვიგონე და ბოლოს ცხადად გავიხსენე ყველაფერი. ისევ მომინდა გიორგის ნახვა. ვინატრე მასთან შეხვედრა ისევ. რა კარგი იქნება, ახლა მე თვითონ მოვუყვებოდე ყველაფერს იმ კაცზე.

მაგრამ გიორგი ვეღარ დავინახე ვერსად.

დამთავრდა დიდი კრება, დავიშალენით. მე ადრე გამოვედი, კიბეებზე მიმავალ ხალხში ვათვალიერე გიორგი, ეზოშიც ვეძებე, ვის არ ვკითხე, ვის არ ვთხოვე ესწავლებინათ ჩემთვის გიორგის მისამართი... თუმცა, ვიფიქრე, როგორ მოიცლიდა ამხელა კაცი ჩემთვის, სად გამონახავდა ამდენ დროს, რომ ჩემთვის მოესმინა. მინდოდა კი ძალიან, მომეტხრო მისთვის შაქირ კვეიძეზე, რაც მე ვიცოდი.

იმ გულზე ვიყავი, რომ მომენახა შევაჩერებდი, ვთხოვდი ყური ეგდო, მაშინ კი ასე ვეტყოდი: ბატონო გიორგი, შაქირ კვეიძემ მეორე დღეს ალბათ მართლაც მოგიტანათ საქალამნე ტყავი. თქვენ ალბათ კი-დევ შეიკერეთ კარგი ქალამნები, მაგრამ შემდეგ, ბატონო გიორგი, როცა ოჩხამურიდან წამოდით, შემდეგ გინახავთ ან იცით რამე შაქირ კვეიძეზე?

ან თუ იცნობდით, საერთოდ, კარგად შაქირ კვეიძეს?

დარწმუნებული ვარ, გიორგი მეტყოდა: არა, არც შევხვედრივარ მერე შაქირ კვეიძეს და, მართალი ვითხრა, რაც კარგად ვიცნობდი იმ კაცს. ერთი კი მახსოვეს, რომ შაქირი უცნაური გულლია, ალალი, ყოველი სიახლისათვის თავგადადებული და გულუხვი გლეხიკაცი იყო.

— არა, მარტო ეს არ კმარა, ამხანაგო გიორგი, — ვუპასუხებდი ალბათ მე და გავაგრძელებდი:

— ამხანავო გიორგი, მაპატიეთ, ცოტა დროს თუ წაგართმევთ, მაგრამ რადგან ჩვენი, იმ დროს საცოდავი, ჩამორჩენილი აჭარის მარტო/ თქვენც გივლიათ ფეხშიშველს და ქალამნიანს, თქვენც გიტეხეაჭარეშეუტო ყუათიანი ყამირი, რადგან თქვენი გატანილი კვალიც დაჩენია შესტუმატუალებულ ფერდს და, რადგან იმ კვალში მრავალ დღევანდელ ნაყოფდახუნ-ძლულ ნარინჯსა და ჩის გაუხარია, თქვენ, ბატონო გიორგი, ახლა ამო-დენა სახელმწიფოს მართვის ერთერთ საჭესთან მდგომს, მჯერა, ზედმე-ტად არ მოგეჩვენებათ გაივოთ იმ ძელი ნაცნობის, ოჩხამურელი შაქირ კვეიძის ამბავი.

— როგორ, შაქირ კვეიძე მაშინ თითქმის მოხუცი მახსოვს, დღესაც ცოცხალია თუ? — გაოცდებით ალბათ თქვენ.

— დაას, ცოცხალია, ბატონო გიორგი! თუმცა სიცოცხლე მრავალნა-ირია... ეს ჩემზე უკეთ იცით, ბატონო გიორგი. ჰო, შაქირი ცოცხალია. არა, ის აღარ დადის ოჩხამურში ფეხით, ის არც თავის ახალ სახლში ბრუნდება სალამოობით. შვილები, შვილიშვილები დაიზარდნენ, თავთავი-სი გზები აირჩიეს ცხოვრებაში, თავთავის საქმეს მოკიდეს ხელი. წვიდ-ნენ. ზოგნიც იქვე, ნაფუძარზე დასახლდნენ. ქალამნებს აღარ იკერავენ, მაგრამ კეთილსა და ბოროტს არჩევენ, უყვართ სხვისთვის ხელის გაწო-დებაც.

— მაინც ვერ გავიგე, რისი მოყოლა გინდოდათ თქვენ. — ვგრძნობ ასე ერთვარ უკმაყოფილებას განმიცხადებდით თქვენ.

— ერთი წუთით მომითმინეთ, ბატონო გიორგი. მაშინდელი აჭარა რაც იყო, თქვენ მშვენივრად იცით. მივხვდი მე რატომ ამოიგვნეშეთ მაშინ, როცა იმკუთხელი მნახეთ აქ.

შაქირ კვეიძე პირველი იყო, ვინაც უარი თქვა მეჩეთში მისვლაზე და ლოცვაზე. მარხვა გატეხა და რამაზანში ზარმელს უზიდავდა ყანაში სამუ-შაოდ გასულ შვილსა და მეზობლებს. ცოდვა ჩემს კისერზე იყოსო, უზნე-ბოდა. პირი გაიხსნით, წყურვილიც მოიკალით და შიმშილით თავს ნუ მოიკლავთო. ისეთი სულელი ღმერთი სად იქნება, კაცის შიმშილი ესია-მოვნოსო. აპა, ბუძიებო, ჩემი ხელით გამომცხვარი ნაცარკვერაი შეირგეთ, აღალ იყოსო.

ზოგმა გაბედა და დაუჭერა ჭალარა კაცს.

ხურგინი რომ გახსნეს, შიგ კვარის ნაფოტებიც აღმოაჩინეს.

— ეს რად გინდა, შაქირ ბიძავ, ამ შუადღეზე? — ჰკიოთხეს.

მჭირიაო, უპასუხა. არ ვიციო სად დამჭირდება ცეცხლის დანთება, ან რისი დაწვა დამჭირდებაო.

ხომ არ შეიშალა ეს კაციო, ფიქრობდნენ.

გადარეული არა ვარ, ნუ გეშინიათო, ამშვიდებდა შაქირი იმათ, ვინც

ყურადღებით უსმენდა, ხოლო ვინაც მართლა გადარეულს ხეფასზე შეი, ბერივაცი არც კი მოიხედავდა იმათვენ.

საღამოს, სოფლის შუაგულში, იქ, სადაც ჯამე იდგა, კუჭუჭურულებული გიზდა. ხანძრის შეეშინდათ და ყველანი იქით გაეშურნენ.

ცეცხლის ალზე წითლად განათებული შაქირი გრძელი ჭოყით ფუშა-ვდა და მაღლა აფრიალებდა ნახევრად ჩამწვარ ქსოვილის შავ ნაკუწებს.

თქვენ მეტყვით, ბატონო გიორგი, ასეთი ამბავი უფრო ადრე მოხდა, შიგ ბათუმში, ნურიის ტბასთან, საბჭოთა ხელისუფლების მოსკოვის რამდენიმე წლის მერე. აქარელ ქალთა ერთმა ჯგუფმა სახიდან ჩამოიგლიგა და ცეცხლში გადაჰყარა ჩადრებით. კი, ამხანაგო გიორგი, მაგრამ თქვენ თუ იცით, რომ შაქირმა თავისი დედის სულთანის, ცოლის აშესი, დების ზექიესა და ნაიმეს ჩადრები ოდნავ უფრო ადრე, ესე იგი, პირველმა გაიტანა სოფელ კვახიეთის ჯამესთან და ცეცხლს მისცა.

კვახიეთი ორ-სამ ბორცეზეა გაშენებული. იქით, მინდორში მიედინება პატარა მდინარე ჩოლოქი, რომელიც დიდხანს ორად ჰყოფდა საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს.

— რალა საღამოს დაფერფლე ეგ ჩადრები და აყურებინებ მთელ ხალხს. — უთხრეს შაქირს.

— ცეცხლის ძალა ყველაზ უნდა იცოდეს, მისი სახე ყველაზ უნდა ნახოს. მე მიყვარს ცეცხლი ღამით. ხომ იცით, ბუძიებო, მე ღამის მტერი ვარ, წყვდიადის მტერი! — ხმამალლა, რიხით გადასძახა მეზობლებს შაქირმა.

ენის შებრუნება ვერავინ გაბედა. ამ დროს მოლა დურსუნიც შემოსულიყო მეჩეთის ეზოში. იგი ენისბორძივით ლუდლუდებდა წყველას, თავმოკაუჭებულებზის შოხი წინ გაეშვირა და პირდაპირ შიგ ხალხში მიძღვნებოდა. შეატყო მოლამ ვინც ჩაიდენდა ამ ცოდვას, ვინ დააბიჯებდა ფეხს ნამაზს.

შაქირი მშვიდად შეეგება დურსუნ-ეფენდის, მოწიწებით გადააძრო ხოჯას გადაპარსულ თავზე ჩაღმა და ისიც ცეცხლის შუაგულში ჩარგო. მისუსტებულმა კოცონმა თითქოს თეალი მოიფშნა, გამოიღვიძა, მკლავები ნდომით შემოხვია ფესკს და ცეცხლის წითელი ენები ხაშმიან ზეცაში შეასავსავა.

შაქირს ძალიან უხაროდა. ჩემს სიცოცხლეში ეს ერთადერთი მაღლის ცეცხლი დავანთეო, გაიძახოდა. მოლას ხელები შიშველ თავზე შემოეჭირა და გაუგებარი არაბული წყევლა-კრულვის ბუტბუტით თავდაღმა მირბოდა.

ცეცხლის ალი კი უფრო და უფრო მომძლავრდა. მისი წითელი, მოლივლივე და მოუსვენარი შუქი გრძლად გადაევლო ბორცვებს, გადასჭრა

ჩოლოქიც და იქით, გურულ ოდებამდე მიაღწია. შაქირს ქს უნაოგადა სწორედ. სწორედ მისი დანთებული ცეცხლი, რომელშიც ჩეჭრული და ჩალმები იწვოდა, შუბივით ჩაერკო წყვდიაღს მუცელში და გამოისახას გამოისახას ნაპირი ერთი ცეცხლით გაათბო და შეართა.

— რავა პოეტივით ლაპარაკობთ. — მეტყოდით ალბათ თქვენ, ამხანა გო გიორგი.

— მერე, არა ვარ პოეტი თუ? — ვიწყენდი ალბათ ასეთ შენიშვნას.

და ალბათ სწორედ მაშინ გავბედავდი გამომეტქვა საყვედური და გულისტკივილი ზოგიერთი ჩუმი, უგულო თავკაცისადმი, რომელსაც აზრის გამოთქმის საშუალებათა შორის პოეტური ენა ყველაზე სუსტად და ბუნდოვნად მიაჩნია.

ასეთი დაზრდილ-დამწიფებულ-დაძველებული გონებანი საკმაოდ დიდხანს და, თითქოს უწყინრადაც, ბეჭტავენ, ჩემო გიორგი, ზოგთა და ზოგთა თავებში. (ხომ მაპატიებდით, „ჩემოთი“ რომ მოგმართავდი? ჯერ ერთი, ამას იმიტომ გაგიბედავდი, რომ გავიგე, ჩემსავით ქალამნით გირბენიათ ჭაბუკობისას, მეორეც, ამდენ საუბარში ხომ უკვე საკმაოდ შეგე-ჩვეოდი).

ისე, ხანდახან კი უნდა მოინახულო კაცმა ის ალაგები, სადაც ბავ-შვება გაგიტარებია, სადაც ტალახი ქალამნიანი ფეხით გიჭეჭყია, სადაც შეგიძენია ყადრი ცხოვრების, სადაც პირველად ჩაფიქრებისარ კაცობის არს, ღირსებას, სიკეთეს, გიგრძენია სიყვარულიც. თორემ უმაღლესი მდგომარეობა და, ნუ დავმალავთ, ფუფუნებაც, რაგვარი შრომითაც არ უნდა იყოს მოხვეჭილი, კარგავს გამართლებას, როცა თავს მოანატრებ ადგილის დედას, როცა ველარ მოიცლი საყუთარ ჭერქვეშ ერთი ღამის გასათვად, როცა გასხვისდები, გაუცხოვდები, გასხვაფერდები, დაშორავ-დები. ჭაბუკობის გაჭირვებათა გახსენება დაგჭირებია, რომ მშობელი კუთხის კაცთან ისაუბრო. უკეთესი კი იქნებოდა, დღევანდელი სიშრიფი-თა და სიბრძნით თვითონვე უაბლოვდებოდე და უთანაბრდებოდე მას, მის მშრომელ კაცს.

რადგან ერთხელ უკვე შაქირმა წაუკიდა ცეცხლი წყვდიაღს, იგი აღარ შეჩერებულა. მთელი სოფელი დაესია, არ შეიშალოო, მაგრამ ყური-დან ყურშიც არ გაუშევა ზოგიერთი მეზობლის წამოძახილი.

შვილს ბერდია ერქვა. თვრამეტი წლისა იყო. ძალიან უყვარდა შა-ქირს შვილი. სხვებივით აკვანში არ დაუნიშნა ვაჟიშვილს ქალი. გაიზრდე-ბა, თვითონ მონახოს, შეიყვაროს, დაინიშნოს.

და იყით, რა მოხდა, ბატონო გიორგი? ბერდიას აუჩემებია, მაინც-დამაინც მოლა დურსუნის გოგო მინდაო. შაქირის ჭინაზე თითქოს საგან-გებოდ ყველაფერი უკულმა დაეწყო.

მაგრამ შაქირი მაინც არ დაიბნა. ერთ საღამოს, ტოკა შვილთან გულ-
ყაირათიანი მუსაიფის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ბერიძეს /
მობრუნება არჩეული გზიდან ისევე ძნელი იყო, როგორც ლარფაჭულების //
ვდალმა გადაშვებული წყლისა, ბერიკაცი უცნაური თვინიერებით შეეგრე
ჯიუტ სინამდვილეს, ცაცხვის ქრექით შეკრა კვარის მაშხალა, გააჩაღა,
ხელში დაკირა, სავალი გაინათა და ხოჯის სახლისაკენ მიმავალ გზას
გაუდგა. შორი-ახლოდან, ყოველი შემთხვევისათვის, შვილიც აედევნა
ჩუმად.

— რა უნდა მოხდეს? — ეკითხებოდა გულის ბაგი-ბუგით თავის-
თავს ბერდია. ივი სიბნელეში უკან მიყვებოდა მამას და გარკვევით ხე-
ლავდა კვარით განათებულ წითელ ფონზე მამის გაშლილ თეთრ წვერს,
რომელსაც ხან ერთ მხარეზე გადმოაფენდა ქარი და ხან მეორეზე.

იცოდა შაქირმა, რაზეც მიღიოდა მოლა დურსუნთან. ამიტომ გზაღა-
გზა სათქმელს წაბლის კაკლებივით ერთ ძაფზე ასხამდა, ზომავდა, წონი-
და სიტყვას. ზოგიერთ სიტყვას კი ცომივით დიდხანს ზელავდა, რათა
ბოლოს აზრის კარგი კვერი გამოეცხო. იცოდა შაქირმა ვისთან მიღიოდა.
მაგრამ, ფიქრობდა შაქირი, მე უფრო მაგარი ზურგი მაქვს. მართალია,
ხელისუფლება არ მავალებს ვუთხრა სიმართლე და ამით ვებრძოლო
ხოჯას, მაგრამ დრო ჩემს მხარეზეა. მაგის სინსილა არ მინდოდა, მაგ-
რამ რა ვქნა, — ბალანს მაინცდამაინც მაგ მუღრების პრატი შეყვარე-
ბია და ვერ აღვუდგები წინ ჩემი ერთაის სიყვარულს. ისიც ვიცი, მოლა-
დურსუნს როგორ ვეზიტობი, როგორ მწყევლის და გიაურს მეძისი. კაი,
ვიყო გიაური, მწყევლის რამდენიც უნდა. თუ ღმერთი მართლა არის
საღმე, ჩემს კეთილს ხომ დაინახავს.

გამოჩენდა ხოჯას სახლი. ანთებული კვარი უფრო მაღლა ასწია შაქი-
რმა და წვერებზე ხელი ჩამოისვა.

— ბერდიავ, ჭოვ, მე ვიცი, შენ უკან მომყვები, გეშინია, ალბათ,
მამაჩემმა სიყვარული არ დამინგრიოსო. კაი, შვილო, გეყოფა. აქ გახერდი.
აქედან ხომ გეიგონებ, რასაც ვეტყვი. აქ დამიცადე შენ. მე მარტომ უნ-
და ველაპარაკო მოლას — არც მოუხედავს უკან მოხუცს, კვლავ გააგრძე-
ლა გზა და მალე ეზოშიც შევიდა.

— დურსუნ-ეფენდი, გამომხედე! გიაური შაქირაი მოვსულვარ, პაწია
საქმე მაქვს. გამომხედე!


აივანზე კრიალოსანით ხელში გამოჩენდა დურსუნ-ეფენდი. ტუჩებს
აცმაცუნებდა, ეტყობოდა, ლოცვიდან ახლად ამდგარი იყო.

— რა ცოდვამ აგტეხა ამ შუალამეზე, შენ ბეინამაზო?! — შეუყეფა
შაქირს მოლამ.

— ცოდვამ არა, მადლმა ამტეხა, ეფენდი, მადლმა. ჩამობრძანდი
ეზოში, ცოტა საჩუმათო სალაპარაკო მაქვს.

— რა გინდა, დამწვა უნდა?

— კი ხარ დასაწვავი, მაგრამ რაღაც ჩემს ბიჭს შენი გოგო  შე შენ ალარ დაგწვავ, დურსუნ-ეფენდი.

— ალაპ, მომაშორე ეს შევი ჭირი! უნამუსო გიაურებო,  მაჯექით კისერზე ხომ! ნუ მიწამლავთ „სიყვარულით“ ჩემს გოგოს, თვარა ისეთ ბედვას ვიზამ, სულ ამოგუუვას ღმერთი დედაბულიანა. იცოდეთ ესა! — იმუქრებოდა მოლა და მძიმედ ეშვებოდა ხის ძეელ, ჭრაჭუნა კიბეზე.

იქ კი, მაღლა, კარსუუან, შაქირმა დალანდა ქალი. ეს უთუოდ ზელიხე იქნებოდა. მოხუცს უნდოდა ქალიშვილს მოესმინა მათი საუბარი, ამიტომ ცდილობდა ხმამალლა ელაპარაკა, თანაც ხოჯის წყევლა-კრულვით არ აღელვებულიყო.

— არა, დასაწვავი კი ხარ, მოლა-დურსუნ, იმიტომ, რომ ჟკუნეთი ლამის და წყვიადის მთესკელი შენა ხარ. ნაკითხი კი ხარ, მაგრამ ამ სიტყვას შენ კარგად ვერ მიწვდები. არ ვეგონის მართლა შენ ალამებდე, მზე შენ ჩაგყავდეს. მაგრამ შენ შენი საქმით ჩვენს სულებში მუდამ წყვდიად ლამეს თესევდი. ჰო, ჰო, აბნელებდი ჩვენს სულს, სახეს, თვალს. ახლა ეს კვარი მარტო გზის გასანათებლად კი არ მინთა, დურსუნ-ეფენდი. იგი თვითონ ლამის დასაწვავად ავაბრიალე. ჩემთვის თვით ღამეზე უფრო შავი შენა ხარ. მაგრამ, დურსუნ-ეფენდი, მაღლობა უთხარი ჩემს ბერდიას და დალოცე ივი, რომ განაგარჩინა. დალოცე შენი გოგოც, რომ სიყვარულის კვარი აუგიზგიზა ჩემს შეილს. ნუ ილმიჭები, დურსუნ-ეფენდი, სიყვარულის გაგონებაზე. ბალნების სურვილს თუ ფეხს დააბიჯებ, ღმერთი ერთის მადლმა, მარტო ილაპს ვერ მივანდობ შენს დასჯას. ამ საქმეს მაშინ თვითონ მოვუცლი, იმ წითელ ფესკივით დაგრუჭავ.

— წაეთრიყ ჩენი ეზოდან, ბეინამაზო შაქირავ, თვარა ისე ამოგწყვევლი... — ჩაუწყდა ხმა მოლას.

— ვკითხოთ გოგოს... ბიჭიც აგერ მახლავს, ვკითხოთ ორივეს. თუ შენი ზელიხე იტყვის, რომ არ უყვარს ჩემი ბერდია, უსიტყვოდ მივბრუნდები და გაგეცლები. დაგლოცავ კიდეც ჩემებურად.

ლეჩაქით პირახვეული გოგო შუა კიბეზე ჩამოვიდა და კედელს მიეყუდა. მოლამ ბრაზიანად შეუბლვირა.

— შეეთრიყ შინ გომბიოვ! — შეუცეცხლა მოლამ ზელიხეს. გოგო კედლის კუთხეში მიწურულიყო და მთლიანად პირახვეული ლეჩაქში თვალის გამოსახედს იქეთებდა.

იგი თრთოდა შიშით, მაგრამ შაქირი ატყობდა, რომ მამის პირველ ბრძანებას გოგო არ დაემორჩილა, რაც კარგ ნიშნად ჩათვალა და იმედიც განუმტკიცდა.

— ბაღნებს ერთმანეთი თუ უნდათ, ჩვენ არაფერს შეგვეკითხებოთ.
— რაფერ! — იჭვქა დურსუნ-მოლამ.

— რაფერ და კრეგალ! — უთხრა შაქირმა. — ძალიან კარგი დურსუნ-მოლამი შენს აჯაღსაც ვიყრი, რას იზამ აბა! მთავრობაც, კანონიც, დროც ამათ მხარეზე იქნება. პოდა, ვიყრი შენს აჯაღს. შენი წყევლა და ბედვა, მოლადურსუნ, ვირს ამოსდე კუდქვეშ.

— შეეთრიყ შინ-მეფები! — მკვახედ განუმეორა ქალიშვილს დურსუნმა. — შენი გათხოვება შაქირის საქმე არაა, არც მისი ხრენგი ბლუშტის საქმეა შენი გათხოვება. მე კაცს უნდა მიგცე, ეს გიაურები რად გინდა. ამათ ფეხის დანაბიჯებზე ნავთს დავასხამ, კაცს მიგცემ აღდით, ნამუსით, შარიათით.

— არ მინდა. — ლომოხდა ზელიხეს, რომელსაც ორივე ხელი გაეშალა და კედელს მიმხობდა.

ვერავინ გაიგო, რა არ უნდოდა ქალიშვილს. მოლამ კმაყოფილად ჩამოივარცხნა თითებით წვერები, შაქირი ოდნავ შეიშმუშნა, ნამწვავი კვარის ნაპირი მეორეს მიუფერა, უკეთესი ალი აათო, უკან მიიხედა და ბნელ სივრცეში ვიღაცას ხელით ანიშნა, აქეთ გამოდიო.

ბერდია მორცხვად შემოვიდა ეზოში და თავჩალუნული მამის გვერდით გაჩერდა. იგი მამაზე მაღალი იყო. ახალი ღინძლი ბალანი პირზე ჭერ არც ეტყობოდა.

— მარტო შენი სიყვარული საქმეს არ შველის, შვილო. იმასაც უნდა უნდოდე. თუ ეს გოგომ არ თქვა, მაშინ დურსუნ-ეფენდი ზელიხეს სხვას მიათხოვებს.

მოლა მობრუნდა, ხელი წამოავლო ქალიშვილს და შინისაკენ წაიყვანა. გოგო ერთხანს გაუძალიანდა, ფეხს ითრევდა. მაგრამ მამა ჭიუტად მიათრევდა, თან ბუტბუტებდა:

— მე ვიცი შენი წამალი. ხვალვა გაგაფაქებ. იმფერ კაცს მიგცემ რომ... აივანზე რომ ავიდნენ, ზელიხემ მამის კლანჭებიდან თავი დაიძრინა, ისევ ჩამოვიდა შუა კიბეზე, შემოიძრო ლეხაქი, დაახვია და ძირს ისროლა. ლეხაქი ბერდიას ფეხებთან დავარდა. ბიჭმა უნებურად აიღო და მალულად ლოყაზე მიიღო ზელიხეს ლეხაქი, რომელსაც ქალწულის თქების თავბრუდამხვევი სურნელი ახლდა.

შავი თმები ჩანჩქერივით ჩამოეშალა მხრებზე გოგოს. გაგიუებული მოლა კინალამ გადმოვარდა კიბიდან, ისე სწრაფად დაეშვა. მაგრამ ზელიხემ სირბილით ჩამოირბინა საფეხურები და კვარით განათებულ ეზოში გაჩერდა.



— მე ბერდია მიყვარს. არ მინდა შენი აღდი, ბაბავ... — მუჭარენწყლაშე რდიას ლეჩაქი გამოართვა და შაქირს მიაჩეხა. — აპა, ესეც მის უძლეს ველარ დავიბურავ თავზე წყვდიადს. ესეც დასწვით, მომაშორეთ, დამანა-ხეთ ქვეყანა.

შაქირმა ლეჩაქი, რომელიც ჩადრის მაგიერი იყო, ანთებულ კვარს დაადო და ცეცხლი აბირბილდა, მთელი ეზო წითლად გადანათდა.

— მოკიდე ხელი, შვილო! — უბრძანა მამამ ბერდიას. გაშმავებული მოლა მათენ მოიწევდა, დასაგლეჭად უახლოვდებოდა ქალიშვილს, მაგრამ ბერდიამ იქვე მოხვია ხელი გოგოს და მამის განათებული გზით უკან, შინისკენ გაემართა.

ახლა უნდა ნახოთ, ამხანაგო გიორგი, როგორ ცხოვრობს ბერდია. როგორი ქალია ზელიხე, რა სახლი უდგათ, რა ეზო აქვთ, რა მასპინძლობა იციან, როგორი შვილები ჰყავთ.

სოფელში რომ პირველი ელნათურა აინთო, შაქირმა ხურჯინიდან მაშინ ამოიღო კვარის ნაფოტები და კარაპანში საჩეხთან დაყარა. ბერიქა-ლიქსკოლაში ჩავწერა და მალე წერა-კითხვაც ისწავლა.

ეს წერა-კითხვაც ანთებული კვარიაო, იძახდა ბერიქაცი. იგი ჩე-მი გონების წყვდიადს წავუკიდეო.

მართლაც სიტყვის დიდებული უსტა იყო შაქირი. არ დაიღალა, არ დაცხა, არ მოისვენა.

ყველამ თუ არ ვეცადეთ, ყველამ თუ არ ვიღონეთ, ისე აქარის ვერ წავწევთ წინ. იქნებ სხვას შეუძლია ხანდახან მხართეძოზე წამოწოლა, ტყუილად სეირობა, ჩვენ, აქაურებს არ შეგვიძლია ასე მოვიქცეთო, — ღალადებდა მოხუცი სულ.

არც ერთ გაზეთს არ დაუხატია მისი სურათი, არც არაფერი დაუწე-რიათ მასზე.

ისე, კი, ჩემო გიორგი, ვფიქრობ შაქირიც თავისებურად რევოლუ-ციონერია, ყოელივე ძველის მტერი, წყვდიადის მტერი, ახლის მთესველი, დამცველი.

არ ვიცი, ბატონო გიორგი, თქვენ იქნებით თუ არა ახალი აქარის დაბადების დღის ზეიმზე, მაგრამ სადმე რომ შეგხდებოდე, ერთ რამეს კიდევ გეტყოდი: დავწერე თუ არა ეს ამბავი, იგი მოვუყევი ერთ ამხა-ნაგს, რომელმაც მირჩია მომავალ ზეიმზე შაქირ კვეიძეც მოგვეწვია. კიდეც გაუგზავნეთ მოსაწვევი, მაგრამ შვილმა, ბერდიამ შემოგვითვალა, მამაჩემი რა ხანია აღარააო, თან ითხოვა, რადგან გინდათ ახლა მაინც ახსენოთ შაქირი და პატივი სცეთ, ერთ მის დაწერილ სიტყვა-ანდერს გამოვატან ჩემს შვილს და იმ საღამოზე წაჟითხეთო.

ისეთი არაფერი იყო. ერთ ფურცელზე ხოშორი შავი ფანჯრები და დენიმე სტრიქონი გამოეყვანა მოხუცს. ბევრი ეჩება, ეწვალა და ბოლოს იმ სიტყვათა და ასოთა ნაფორებში კვარივით ანთებულიყო შაქირის ტკიფილითა და სიხარულით გამოზრდილი ფიქრი, აზრი, სიტყვა:

„შვილებო, მომავლის დღეები უკვე ჩვენთვისაც თენდებიან... ნაფუძარში, იფნის ხესთან გათხარეთ, იქ ხუთასი წლის ჭურია. მაპატიეთ, — შიგ განძი ვერ დაგიტოვეთ. ამოიღეთ, სახლთან ჩაფალით და შიგ თქვენი დაწურული ღვინო ჩაასხით... თქვენზე მართალი და გულადი ქართველი ვინ იქნება, შვილებო. ვინც ამას არ დაიჭერებს, ჩემი კვარის ცეცხლი წაეკიდოს. და კიდევ გიბარებთ, — სიყვარული იცოდეთ! სიყვარული მთავარია!

მე ვამბობ ამას, კვეიძე შაქირი“.

როგორც ფყარო უმღვრეველი

მოხველ, როგორც დილა მოდის
და შავი ზღვის მძლავრი ტალღა.
ამ ოცნებას გულში ქსოვდი,
რომ გემლერა მერე ლალად.

მოხველ, როგორც რუსთაველა
ტკბილქართული ლექსით მოდის.
შენც გეხილა გსურდა რთველი—
დაყურსული ხილით ტოტი.

მოხველ, როგორც ტბელის
სიტყვა,
დაწერილი რუდუნებით,
რომ გადარჩა ათას გრიგალს
და იქრავდნენ გულში მთები.

მოხველ, როგორც ხიხანელი
ნაბრძოლი და ნაჯაფარი.
გული მოგყვა წმინდა, წრფელი,
როგორც დედის თავსაფარი.

მოხველ, როგორც გაზაფხულშე
ლურჯი ვაზის ყვავილობა.
დიდ ცხოვრებას თვალში უმზერ
გმირის ხმა და ძარღვი მოგაქვს.

მოხველ, როგორც მოდის წყარო,
ანკარა და უმღვრეველი,
დგახარ, როგორც მტკიცე რვალი,
როგორც ცისე უნგრეველი.

შენს შიშაზე სისხლი წვიმდა,
თავზე შავი ღამე გადგა.
გესეოდნენ ყოველ მხრიდან.
ვერ მოგწყვიტეს დედის კალთას.

და გელირსა ფრთების გაშლა,
უველა წყლულის გამრთელება.
გაძარჯვების ჭიქე ვაშა,
ბანი მოგცეს მაღლით მთებმა.

ყველა ნერგი გაახარე,
აყვავილე ვაზი ლურჯი,
ოქრო — ბაღში, შინ და გარეთ,
და ბაჯალლო ოქრო გულში.

რა ბარაქა და რა ხვავი!
რა იმედი დიდი ხვალის...
შენი გემი, შენი ნავი,
შენი მწიფე ფორთოხალი.

წუთიც კი არ გაგდენია,
არ დაგლლია გამრჩე მკლავი.
მთელ ქვეყანას გასწვდენია
შენეული ნახელავი.

მიტომ უვლი ასე ბალებს,
გულიც ასე მიტომ გერჩის —

შენი შრომის წვლილიც გაჲემუ
კაცს. გაფრენილს ვარსკვლეული შეჭრა
გამოიყენეთა

ვიცი შენი მომავალი
უჩრდილო და უმღვრეველი,
დგახარ, როგორც მტკიცე რვალი,
როგორც ციხე უნგრეველი

დავით ნაცვარაძე

ტ უ რ ი ს ტ ე ბ ი

კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში ტელეფონის ზარი აწკროა ალდა. გვერდითი ოთახიდან მდივანი ციალა მორჩილაძე გამოვიდა, დაიხარა და ყურმილს დასწვდა.

— გისმენთ, ბატონო!

— რომელი ხართ? — გარკვევით ისმოდა ყურმილში. ქალიშვილი-სათვის ნაცნობი იყო ეს სშა, არიკომის პირველი მდივანი ვახტანგ გოგელია ლაპარაკობდა, იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დიმიტრი დიდია ძეს კითხულობდა.

— მდივანი ვარ, ბატონო ვახტანგ, დიმიტრი ფართობშია, ბაისურაში. ვახტანგმა აგრონომი იკითხა.

— აგრონომიც არ არის ადგილზე, ფაფასკურას ფართობშია.

— პარტბიუროს შდივანიც არ არის?

— ახლავე, ბატონო, ეზოში ჩავირბენ და დავუძახებ.

— აბა, ჩქარა, სასწრაფო საქმეა.

ორიოდე წუთში შალვა ბელეშაძემ განიერი კიბე აირბინა, თავმჯდომარის ოთახში შევარდა და ყურმილს დასწვდა.

— ბელეშაძე გისმენთ, ამხანაგო ვახტანგ!

— შალვა, დიმიტრი სად არის?

— ჩაის ფოთოლი მოგვეძალა... ფართობშია, შერვე ბრიგადის წევრები წაიყვანა.

— შალვა, ყური მიგდე.

— გისმენთ, ბატონო!

— ბათუმიდან გვაცნობეს, ფიჩისჭვარის კოლმეურნეობის დასათვალიერებლად თურქი ტურისტები მოდიანო.

— რას ამბობთ, ამ გაწამაწიაში ტურისტებისათვის გვცალია?
— მერე ტურისტებმა შენი გაწამაწია იციან თუ, პირველად ხომ არ
ხვდებით უცხოელებს!



— არა, ბატონო, მარა...

— შალვა, მარა და მაცა ახლა არ გამოგვადგება, ორ საათში ტურის-
ტებს ბახვისწყალთან შეხვდით, სირცხვილი არ ჭამოთ!

— სირცხვილი როდის გვიჭამია, ამხანაგო ვახტანგ... რამდენი კაცია?

— ოთხი. მათ ახლავთ ჩვენი საელჩის თანამშრომელი და თარჯიმიანი

— დიპლომატიური სააგნენტოს მუშავი. ქედან რაიაღმასკომის თავმჯდო-
მარე და ინსპექტორი გამოყვებიან.

— თქვენ არ მობრძანდებით?

— მე ვერ წამოვალ, ცეკადან ამხანაგებია ჩამოსული და თათბირი
გვაქვს.

— კეთილი, ყველაფერი რიგზე იქნება.

— აბა, თქვენ იცით!

— აგია საქმე?

— რა გითხრათ, შალვა ბიძია?

— სტუმრებია, მერე როგორ დროს, თავის მოსაფხანად რომ არ
გვცალია. ორ დღეში ჩაის ფოთოლი გადაუხეშდება და გათავდა ჩვენი
გვეგვია!

— ოჯახაშენებულები ერთი კვირით ადრე მობრძანებულიყვნენ! —
დანანებით თქვა ციალამ და მუხლებს ზევით ზომაზე მეტად აზიდული
ვიწრო კაბა ხელით დაჭახა!

— ციალა, ჩაირბინე გასტრონომში, ბიჭები ფეხბურთს უყურებენ,
თამაზის დაუძახე!

— ახლავე, შალვა ბიძია! — მიუგო ციალამ. ქალიშვილს სახეზე სა-
სიმივნო ღიმილი დასთამაშებდა, მის არსებაში გუხარჯავი ყმაშვილქა-
ლობა ზეიმობდა.

მაღალი, ტანწერწეტა, ქერათმიანი ქალიშვილის მხიარული თვალები
და ლამაზი სახის ნაკვეთები ბევრ ფიჩხის ჯვარელ ახალგაზრდას უძვერებ-
და გულს, მაგრამ იგი ჯერ ამაზე არ ფიქრობდა. საშუალო სკოლის და-
მთავრების შემდეგ კილმეურნეობაში დაიწყო მუშაობა და ბიოლოგიური
განხრით აპირებდა სწავლის გაგრძელებას.

გასტრონომში ციალას ფეხის შედგმა და ახალგაზრდების მოწყვეტი-
ლი ტაში ერთი იყო. ღრიანცელი, სტვენა და შეძახილები დიღხანს ისმო-
და ტელევიზორში.

— ყურადღება, ყურადღება, ტორპედოელთა კარში ბურთი გაიტანა
თბილისის დინამოს ნახევარმცველმა კახი კახიანმა!

ოთხი კაცის ტაში კვლავ გავარდა. ციალა კი დგას, ვისი მისვლა არა

ვის შეუმჩნევია. ციმციმებს ცისფერი ეკრანი, დაფრინავს თეთრი ბურო
და გარბიან ფეხბურთელები.

— თამაზ, თამაზ! — ეძახის ციალა მძღოლს, მაგრამ დაბრუდა-
შის ბიჭის, რომელსაც გული გაუღებია, თვალები უცნაურად მოუჭუტავს და
ტელევიზორს მისხერებია, არაფერი არ ესმის.

ველავ ახრიალდა ტელევიზორი. მაყურებელი ღელავს, თბილისელე-
ბის კართან სახიფათო მომენტი იქმნება, მაგრამ არა... გადარჩა, დამცე-
ლებში ბურთის კუთხურზე გაგზავნა მოახერხეს და ყველამ შვებით ამოი-
სუნთქვა.

— თამაზ, მეტს არ გეტყვი იცოდე, ბავშვი ხომ არ ხარ ამ ხნის კაცი!
— გაბრაზდა ციალა, წარბები შეყარა და უკან გაბრუნდა.

— ბიჭებო, როგორაა საქმე?

— სამით ერთი, შალვა ბიძია!

— მეორე ტაიმიდან ასედენი დარჩა?

— ათი წუთი.

— ათი წუთი ცოტა დრო როდია, ბურთი მრგვალია და ეშმაკი. თა-
მაზ, ბიჭო, ჩემს სიტყვას შენთვის ფასი აღარ აქვს!

— როგორ გეკადრება, შალვა ბიძია, მაგრამ ამას ახლა კაცი დატო-
ვებს!

— დატოვო უნდა, დრო არ გვაქვს, ერთ საათში უცხოელები მოგვა-
დგებიან კარზე.

— რას ამბობ, შალვა ბიძია, ამ თავარა სიცხეში!

— ჩეარა მანქანა გამოიყავნე და დიმიტრისთან გასწი, ბაისურას ფა-
როთობშია. გოგიავ, შენც ჩაუჭერი მანქანაში, ჩემსას გაიარეთ, სასიმინდეს
ქვეშ ბადეა გაკიდული, წაიყვანეთ დათუნიაც და ნაჯიხურალთან დაარტ-
ყით სამ-ოთხერ. უცხოელები არიან, სუფსის თევზი თუ არ იქნება, ისე
სუფრას შნო არ აქვს.

თბილისელები იწყებენ ახალ შეტევას... გასტრონომში კიდევ გა-
ვარდა ტაში და ტელევიზორის ხრიალსა და ვაშას ძაბილს შეუერთდა.

— მოგება განაღდებული გვაქვს, მივრბივარ, შალვა ბიძია, გოგიავ,
წამოდი ჩეარა! — იძახის თამაზი და თავგამოდებით გარბის გარაუისაკენ.

— ციალა, ციალა, სად დამეკარებ! — ველავ გასძახა ბელეშაძემ და
კოლმეურნეობის კანტორისაკენ გაემართა.

— აქა ვარ, შალვა ბიძია, ფეხსაცველებს ვიცვლი, ამ წუთში ჩამო-
ვირბენ!

— ჰო, ციალა, მოლი, სანამ დიმიტრი ამოვიდოდეს, ანეტა გვიპირი-
ძისას გაიქეცი. ეზოში შეეხედე ამ დილას, ჩაის ფოთოლს კრეფდა. უთხა-
რი დაეთხოვოს ყველაფერს და მისებურად ოცამდე კაცისათვის სუფრა
მოამზადოს. სულგუნსა და გოჭებს ფერშიდან ამოუტანენ. ნოქართან გაია-

რე და პურის ფქვილი წაიღე. სახლში შეირბინე ჩემთან და ქალს უდინო
ანეტას მიეხმაროს. დედაშენსაც სოხოვე ჩემს მაგივრად, აბა უფრო ფრანგია
ჩქარა მიხვალ. ჰო, კინალამ დამავიწყდა, შალვასთან შეიარე, შემოსტეს
წავიდეს, კიტრები, პამიდორი და საზამთრო ამოიტანოს, საზამთრო და ბო-
სტრეული მაცივარში შეაწყოს, ხილიც არ დაგავიწყდეს, ოქვენი ეზოს
ატამი, გესმის, ციალა!

— კი, მესმის, შალვა ბიძია, ნუ გეშინია, ყველაფერს მოვასწრებთ! —
იძაბის ქალიშვილი და ძარდად მიარხევს ვიწრო წელსა და ზომიერად გა-
მოკვეთილ თეძოებს.

მზე კი აცხუნებს. მოედანზე ტოტებგაბარდნილი, აყვავებული ცაცხ-
ვის ყვავილის სუნი იქმევა. დაფრინავენ ფუტკრები ყვავილიდან ყვა-
ვილზე, წვეტიანი ხორთუმით წუწნიან ნექტარს, გამუდშებით ბზუიან, ფე-
ხებზე წებოვან ფიფქს იკრავენ და თავიანთი ნავებობის მასალას აგროვე-
ბენ. მოედნის ბოლოს ჩაის ფაბრიკის მანქანები გუგუნებენ. მისალებთან,
საბარგო ავტომობილების ძარებიდან ჩაის ფოთლით საცხე ყუთები გად-
მოაქვთ. ეზოში ლურჯხალათიანი მუშები გარბიან. საავადეყოფოს კიბის
საფეხურებზე ექთნები და სანიტრები გაღმომდგარან. ავტობუსების
გაჩერებასთან მგზავრები შეგროვილან. კიბარისებით დაჩრდილულ სა-
ბავშვო ბალის ეზოდან ბავშვების ქრიამული ისმის. შინმოუსვლელთა სუ-
რათების ფარს ზეზოდან ნაღვლიანად დასცეკერის მგლოვიარე დედის ქან-
დაკება. ხშირკოლონადებიან კულტურის სახლის შესასვლელთან წითელ
ატლასზე დიდი ასოებით აწერია: „გაუმარჯოს მშვიდობას მოელს მსოფ-
ლომში!“.

შალვამ, რომელსაც მელოტ თავზე ირიბად გადავარცხნილი თმის
ლეროები ჩამოშლოდა, მანქანის გუგუნ გაიგონა და გზას გახედა. „ვილი-
სიდან“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი დიდიძე და აგრონომი
კლიმენტი სალუქვაძე გადმოვიდნენ.

— აგაშენათ ღმერთმა, — შვებით ამოისუნოქა ბელეშაძემ და მო-
სულებისაკენ მობრუნდა.

- სტუპრებს ველოდებით ხორ, შალვა.
- დიახ, დიშიტრი, უცხოელებია.
- ბულგარელები იქნებიან.
- არა, თურქეთიდან არიან.
- დროს გვართმევს თუ არა, სტუმრობას რამე ჯობია!
- მეც მაგას არ ვამბობ, მაგრამ დღე დიდია, ყველაფერს მოვასწ-
რებთ!

სამუშაო ოთახში ავიდნენ. თავმჯდომარემ ტელეფონის პარატერში
ზიდა და ნომერი აკრიფა.

— ვის ურეკავ, დიმიტრი, ვახტანგი არ იქნება, რაიაღმას ჟილიული
კავშირდი.

დიმიტრიმ კვლავ აკრიფა ნომერი.

— დავითი ბრძანდებით? დიმიტრი ვარ დიდიძე.

— ჰო, დიმიტრი გვჩარჩობა, კარგი ქენი რომ დამირეკე. — მკაფიოდ
ისმოდა რაიაღმასკომის თავმჯდომარის დავით გოგოლაძის ხმა.

— რას ამბობთ, უკვე თქვენთან არიან? რამდენისო? არ გავაგიროთ.
რამდენი კაცია? ბახვისწყლის ხიდთან... კი ბატონი. რა ბრძანეთ, ვინ?
ვის გაახსენდა ის ცხონებული? ათი წელი იქნება რაც მოკვდა... შვილი-
შვილი ჰყავს, ტრაქტორისტად მუშაობს. კი დავით, კარგად ბრძანდებო-
დეთ!

დიმიტრიმ ყურმილი დადო და ჭაღარაშერეულ ულვაშებში ჩაიღიმა.

— რა გითხრა თავმჯდომარემ?

— სტუმრები ახლა მასთან სხედან კაბინეტში, ოთხი სული ყოფი-
ლა, ზეგონა ოცდაათამდე კაცი იქნებოდა. მერე, ვინ არიან, არ მკითხავ?
— ორი მამაკაცი და ორი ქალი. მათ შორის ერთი ოთხოცდათვეებსმეტი
წლის დედაბერია. მაინც რამ წამოიყვანა ასე შორ გზაზე ასეთი ღრმა მო-
ხუცი! ჰო, ეს არაფერი, იცი ვარ უკითხავს იმ შოხუც თურქ ქალს? —
პეტრე მამასახლისი!

— რას ამბობ, დიმიტრი, ვის გაახსენდა საშუალი პეტრიე!

— მეც ეს გამიკვირდა, ხომ გახსოვს ბონძლვერა პეტრიე, მის სიკვ-
დილს რომ არ დადგა საშველი!

— როგორ არ მახსოვს, კაცო, მაგრამ სად პეტრიე მასახლისი და
სად ვიღაც თურქი ქალი. მაგრამ რა იქნება იცი? პეტრიე ქალების მუსუ-
სი ყოფილა ახალგაზრდობაში, თურქეთშიაც იქნებოდა ნამყოფი რუსეთ-
თურქეთის ომის დროს და იქიდან იცნობდნენ, ალბათ, ერთმანეთს. — და-
ასკვნა აგრონომმა თვისებურად.

— ვინ იცის, შეიძლება. ბავშვებიც შეკრიბეთო, — თქვა დავითმა, —
სტუმრებმა ბავშვებიც იცითხესო.

— რომელიმე მასწავლებელიც იქნება. — ღაუზატა ბელეშაძემ.

— ბავშვები სოფელში ცოტანი არიან დარჩენილი, ბევრი ბახმარო-
ზეა, ზოგი — ბაკურიანში.

— არა უშავს, რამდენიც არიან, შევკრიბოთ. — მშვიდად თქვა დი-
მიტრიმ, სკავიდან წამოდგა, განიერ შუბლზე ჩამოშლილი ჭაღარა თბა
შეისწორა, ასანთს გაპკრა და პაპიროსს მოუკიდა. მხნე და უტეხი სულის
პატრონი ჩანდა დიმიტრი, მშვიდი და ჭკუიანი გამომეტყველება პეტრიე,
დინხი და დაშავერებელი ლაპარაკი იცოდა, ფიჩხისჭვარელებში სიყვა-
რულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

კოლმეურნეობის თვეკაცები ბახვისწყლის ხიდთან ელოდებოლონენ
ტურასტებს. მწვანით მოსილ ცხავთის გორაზე იმაყად იდგა ნამდებელი
ჩაფლული, ლურჯად შეღებილი შენობა. თავგამეტებით ეჭიჭვებული
მდინარის ტალღები ცემენტის კედელს. განიერ ასფალტზე ჭარულების
მიმოქროდნენ მანქანები. ჩრდილოეთით მოჩანდნენ ჩაის ხავერდით და-
ფარული გორაცები. სიმინდის ყანებს ორად პყოფდა ვერცხლის ქამარი-
ვით შოკიაფე სუფსა.

ნასაკირალის დაღმართხე სამი „კოლგა“ დაეშვა და ხიდთან შედგა.

— მობრძანდნენ კიდეც! — თქვა დიმიტრიმ და აგრონომთან ერთად
სტუმრებს მიეგება.

რაიაც ვაკომის თვემჯდომარემ და დიპლომატიური სააგენტოს თარ-
ჯიმნა ვლადიმერ სოლოვიოვმა ტურისტებს კოლმეურნეობის თვემჯდო-
მარე დიმიტრი დიდიძე და აგრონომი კლიმენტი სალუქვაძე წარუდგინეს.

ქალბატონი სადეთ ჯავიდაზი, ქალბატონი ნიგარი ჯავიდაზი, ბატონი
შევქეთ ჯავიდაზი, თურქეთის საელჩოს თანამშრომელი ბატონი ევთერ
ჯუნიორლი მასპინძლებს გაეცნენ. სოლოვიოვი რუსულად თარგმნიდა.
მასპინძლები რუსულ ენას კარგად ფლობდნენ, თარგმინს შოვალეობა
უმსუბუქდებოდა.

— ქალბატონი სადეთი ღრმა მოხუცია, მგზავრობამ ზედმეტად მოქა-
ნცა, გვთეოვა, ნელი სვლით ვატაროთ მანქანები: — ამბობს თარგმინი.

— სტუარი ღვთისაა, ყველა მის ნება-სურვილს ემორჩილება: —
მიუგო თვემჯდომარემ.

ოთხი მსუბუქი მანქანა ნელა მისრიალებს განიერ გზაზე. ორივე მხა-
რეს ბიბინებენ სიმინდის ყანები. ლამპიონებით დამშვენებულ ხიდზე მან-
ქანები შედგნენ.

— ქალბატონ სადეთს აინტერესებს მდინარის სახელწოდება. — ამ-
ბობს თარგმინი.

— სუფსა, ამხანაგო ვლადიმერ, — პასუხობს დავით გოგოლაძე.

მანქანის კარები იღება, ბატონი შევქეთ ჯავიდაზი ჩამოლის და მო-
ხუც ქალს ეხმარება. დიდიძემ დაასწრო და სადეთს ხელი შეაგება.

საშუალოზე მაღალი, ოდნავ ბეჭებში მოხრილი, თმათეთორი ქალი,
რომელსაც შევი, ძვირფასი კაბა ეცვა, მანქანიდან ფრთხილად გადმოვი-
და. ოდნავ კეხიანი ცხვირი, სახის სწორი ნაკვთები, მაგრამ მოთლად დაღა-
რული, დანართებული, მეტყველებდნენ იმას, რომ სადეთი ახალგაზრდო-
ბაში ლამაზი და ეშხიანი უნდა ყოფილიყო. ეხლა კი არავის შეეძლო ეთ-
ქვა, თუ როგორი მოშვილდული წარბები და წამწმები ხატავდნენ მის
ნაღმა ფოსოში ჩაცვენილ თვალებს. ქალბატონი სადეთი ნელი, მოკლე ნა-
ბიჯით მიადგა განიერი ხიდის ჯებირს და მდინარის დინებას ჩააცეკერდა.

— სუფსა, სუფსა! — ორგერ გაიმეორა მდინარის სახელი, ცოტა
ხანს ჩააშტერდა წყალს და ისევ ვანქანაში ჩაგდა.

ფერდობს, რომელსაც ქამარივით შემორტყმოდა ასფალტი. ნება
მიყვებოდნენ მანქანები. გზას ორივე მხარეს გასდევდა ხშირი დასახლება. განიერი, მაღალი, ცისფრად შელებული ოდები, სახურავზე აზიფული და გამოსახულია ლევიზორის ანძები, ერთვანეთს ჩახვეული მსხლები, ვაშლები, ალუბლები, თხილი, ქლიავი, მაღალ ტალავერს მოდებული, მძიმე მტევნებით დახუნდლული ვაზი თვალს სჭრიდა მნახველებს.

— რა მესმოდა და რას ვხედავ, მოდი და დაუჯერე ჩვენს ვაზეთებს! — ჩაულაპარაკა შევქეთ ჯავიდაზმა საელჩოს თანამშრომელს თარჯიმანის გასაგონად.

— მართლაც შეძლებულად ცხოვრობს ხალხი! — ალტაცება ვერ და-
მალა ნიგარის.

ფერდობს ჩაის ფოთლის მკრეფავი კოლმეურნე ქალები შესეოდნენ. კოინდარში ჩაფლულ ეზოში ბიჭუნები ბურთაობდნენ. მოხუცი ქალი ჰა-
მაჯას არწევდა და შეილიშვილს აძინებდა. ტურისტებს კი სახეზე კმაყო-
ფილების ღიმილი დასთამაშებდა.

გზა თანდათან ზევით უხვევს. ვანქანები მაღლა მიიწევენ. აღმართზე
მოტორებმა თუხთუხს უმატეს, მალე ვიწრო ყელი გადასერეს და თვალ-
წინ აიზიდა მაღალი შენობებით შემოჯარული ფიჩხის ჯვრის სასოფლო
მოედანი. ვზის სხივებზე კიაფობენ ჩაის ფაბრიკის მაღალი კედლები, ცა-
ში აზიდული მილები, კულტურისა და კოლმეურნეთა სახლები.

გზის ნაპირას ჩამწერავებულიყვნენ კოლმეურნეები, ფაბრიკის მუშა-
მოსამსახურენი, წითელი ყელსახვევებით დამშვენებული მოსწავლეები.
მოედანის შესასვლელს ამშვენებდა წარწერა: „ჩვენი სალაში თურქ მშრო-
მელები!“

თარჯიმანი თარგვინის წარწერის შინაარსს. ტურისტები კმაყოფილე-
ბით იღიმებიან. მანქანები ცაცხვის ძირში ჩერდებიან. მრგვალ, საჯდომე-
ბით შემორკალულ მარვარილოს მაგიდას ძეირფასი საფარი ამკობს. მაგი-
დით ხილით სავსე ვაზები, ტყბილსასმელი წყლები და შამპანურები დგას. დაზე ხილით სავსე ვაზები, ტყბილსასმელი წყლები და შამპანურები დგას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე სტუშრებს სოფლის მოწინავე ადამიანებს
კონცენტრაციის ცდილობს არაფერი გამორჩეს. თარჯიმა-
ნები ჩინებულად იცის თანამედროვე თურქული ენა.

— მხანაგო ვლადიმერ, გთხოვთ ჰეთხოთ სტუმრებს, პირველად
რომელი ობიექტის დათვალიერებას მოისურვებენ, — ეუბნება დავით
გოგოლაძე თარჯიმანს და ცნობისმოყვარეობით მიჩერებია ცისფერთვა-
გოგოლაძე თარჯიმანს და ცნობისმოყვარეობით მიჩერებია ცისფერთვა-

სტუმრები მადლობას იხდიან, მასპინძლები კოლმეურნეთა სასახლი-
საკენ მიუძღვებიან ტურისტებს. მაგრამ მოხუცი ქალი მათ გამოეყო. იგი
ნიგარისთან ერთად მაგიდასთან ჯდომასა და დასვენებას არჩევს. ეტყობა,
ნიგარისთან ერთად მაგიდასთან ჯდომასა და დასვენებას არჩევს.

სიარული უჭირს, მუხლები უკანკალებს, ზოგჯერ თავს ასკილცვით ქანქა-
ლებს, უცნაურად მოკლე ნაბიჯებს დგმს და ხელჯოხს იშველუბს. მისი ბრალია, მისგან ყველაფერი ღრის წაულია. ცნობისმოყვარე მარტინების განახლების განახლების მიხერებიან მოხუცს, რომელიც მათ დანახვაზე სიხარულით იუსტიციურობა
დეოთა მეშვიდე კლასელი ლიანა ხარაიშვილი გვერდით მოისვა, აკოცა და
სურათების ალბომი აჩუქა.

გვაპატიეთ, მოხუცია, სიარული უჭირს! — ბოდიშ იხდის თურქი
მამაკაცი და ქალებს თავის ენაზე რაღაცას ეუბნება.

ათოოდე წუთი გაეიდა, ქალბატონ სადეთს თანდათან გამოუცნობი
მღელვარება დაეტყო, ჯოხს დაეყრდნო, ნიგარი მიეშველა და წამოდგა. ეტყობოდა, მიდამოს დათვალიერება უნდოდა, მაგრამ ძალა არ ყოფნიდა. სადეთი ცალი ხელით ლიანის დაეყრდნო და მოედანი ბოლომდე გაიარა. ხეობის გაღმა მოჩანდა წიფლის ხეებით შებურვილი ჩიტიას კორები, და-
სავლეთით, ქედზე კიაფობდა ჭუმათის მონასტრის კედლები და შორს, სავლეთით, ქედზე კიაფობდა ჭუმათის მონასტრის კედლები და შეა-
ხეობის იქით, მუქლურები ცისკიდური იხედებოდა. სადეთმა ნიგარი შეა-
ხერა, გამხდარი, დასუსტებული ხელის მტევანი აზიდა, ჩაღამებული თვა-
ლები მოიჩრდილა და ხეობას გახედა.

ბელეშაძემ მძღოლს დაუძახა და სტუმრებს მანქანა მიადგა. სადეთი
კი ლიდხანს, დიღხანს მისჩერებოდა ხეობას. იგი მთელი მისუსტებული
სერულით ძაგძაგებდა, ერთხანს რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებდა და
ბოლოს ყველამ კარგად შეამჩნა, თუ როგორ გადმოუცვივდა მოხუცს
ბოლოს ყველამ კარგად შეამჩნა, თუ როგორ გადმოუცვივდა მოხუცს
ცრემლები და ჩაეღვარა სახის ნაოჭებში. შემდეგ იგი თითქოს გაშეშლა,
გაეყინა, ფერი მთლად დაეკარგა და ჩაიკეცა. შალვა და ნიგარი მიე-
მზერა გაეყინა, ფერი მთლად დაეკარგა და ჩაიკეცა. შევეღნენ, სკამზე დასვეს. ნიგარიმ ხელჩანთა გახსნა და წვეოთები აყნოსვინა.

— შალვა, როგორ ვთქვა და, ეს ჩვენი სტუმარი ქალბატონი კარგად
არ უნდა იყოს. ხედავ, როგორ კარგალებს!

— მაგი სთქვი შენ, გრამიტონ. მართლაც კარგი გაბედვაა ასე შორ
გზაზე მგზავრობა ამ ხნის ქალისა.

— ექიმს ვუხმოთ?

— კი, გრამიტონ, მიირბინე საავადმყოფოში და ნათელას სთხოვე!

— ახლავე, ახლავე, დოხტერ, დოხტერ! — ეუბნება სტუმრებს გრა-
მიტონ კალაძე და საავადმყოფოსაკენ გარჩის, მაგრამ ტრაქტორისტის
წასვლამდე მოსწავლეები გაქცეულიყვნენ ექიმთან, რომელიც პატარა ჩე-
მოდნით ხელში გამორბოდა უცხოელებისაკენ.

ექიმმა მოხუცს კარდიამინის ნემსი გაუკეთა, რამდენიმე წვეთი კა-
რგალოლი მიაღებინა, მაგა გაუსინჯა, დაამშვიდა და მალე სტუმარი უკეთ
გახდა.

მოედანი ხალხით გაივსო. უცხოელები დათვალიერებას მოჩნდენ და

ქალბატონ სადეთთან მოვიდნენ. სადეთმა თავს ძალა დაატანა, მიგარის
რაღაც ჩაულაპარაკა და კვლავ ფეხზე წამოდგა.

— ამხანაგო ვლადიმერ, სტუმრები თუ ინებებენ, ჩვენ კარგად მოწ-
ყობილი სასტუმროც გვაქვს!

თარჯიმანმა დავალება შეასრულა.

— დიდად მადლობელი ვიქნებით, ბატონო თავმჯდომარევ, მოგეხსე-
ნებათ, მოხუცია, მისი ორგანიზმი დასვენებას ითხოვს.

და სწორედ ამ დროს მოხდა უცნაური:

— არა, შვილებო, ჯერ მე ვერ დავისვენებ! — აღმოხდა ქართულად
მოხუცს.

მოულოდნელობისა და გაკვირვებისაგან ყველა გაირინდა. თარჯი-
მანმა თვალები გააშტერა და შევქეთ ჭავიდას მიჩერდა.

— ჩვენებურებო, ჩემო მეზობლებო, მაპატიეთ ყველაფერი, შეგაწუ-
ქეთ. მე სადეთი კი არა, ამ სოფელში დაბადებული სონია მშვიდობაძე
ვარ, აგრე ქვევით ჭინჭურაში გაზრდილი. მამაჩემს ნიკოი ჰქვიმიდა,
ნენის აღათი, ძმაც მყავდა ჩემზე უმცროსი თორნიკაი. ახლაც თვალწინ
მიღდას ისლით დახურული ჩვენი ფაცხა და ნალია. აი ამ ბავშვის ტოლი
ვიქნებოდი, — სადეთმა ხელი მოხვია ლიანას, — მახსოვს წვიმიანი დილა
იყო. ბაბას ლელეში, მეზობლების ზიარი წისქვილი ჰქონდა. წინა ღამით
ნენას სიმინდი დაეყრა დასატევად. დილით იდრე ამაყენა და მითხრა
„ჩემი ნენაი, არ მცალია, ღომი მაქვს გასაცეხვი, წისქვილში ჩაირბინე,
წყალი გადაუშვი და ფქვილი ამოიტანეო“. ზაფხული იყო, თავშალი მო-
ვისხი და ჩავირბინე ლელეში. საურმე გზა უნდა გადამეჭრა და სახლში
მოკლე გზით ამოგსულიყავი. გაეხედე, გზაზე პეტრე მამასახლისი მოაჭე-
ნებდა ცხენს. ახალგათენებულზე არსად კაცის ჭაჭანება არ იყო.

— ვისი ხარ, ბიძია შენ? — მეტახა წყეულმა.

ვუთხარი ვისიც ვიყავი.

— მერე ამ თავსხმაში წისქვილში გამოგავდეს? მომეცი მაგი ტომარი
აქეთ, — მითხრა პეტრიამ და ნაბადი გვერდზე მოიგდო.

— არა, პეტრე ბიძია, ახლოს ვარ, ჩემარა მივირბენ სახლში. — ვუთ-
ხარი იმ საძაგელს და შიშისაგან ცახცახი დავიწყე, გამახსენდა მეზობელი
ქალების ნათქვამი: „პეტრი საშიში კაცია, ხედავ როგორ მოზევრივით
დასისელიანებული თვალები აქვს და მუდამ მოქუფრული იცქირებაო“.

— მომეცი მაგი ტომარი შენ მამაძალლო, უფროსის არ უნდა გეყუ-
რებოდეს? — დამიბრიალა თვალები პეტრიამ, ცხენიდან დაიხარა, მკლავ-
ში ხელი წამატანა, ცხენსე შემაგდო, მკლავი მაგრად მომხვია და პირზე
ხელი მომიჭირა. მახსოვს, სიმწარისაგან ხელზე ვუკბინე, გაბრაზდა, ცხე-
ნი შეიჩერა. სიმწრით ერთი ვიკივლე, მაგრამ ვინ გაიგონებდა, მაშინ ეს
სოფელი ტყითა და ეკალბარდით იყო დაბურული, ახლა რომ გაგრე-

თებიათ, დაგიმშვენებიათ, ამას კაცი მაშინ სიზმრადაც ვერ წარმოიდგინდა.

პო, იმას ვამბობდი, მეზობლებო... — მაგრამ წინადადება ველა და ასრულა მოხუცმა, გაუჭირდა, ლაპარაკს პროთეზიც უშლიდა, უშლიდა და სკოტეშემ ძვლებს უცნაურად ამოძრავებდა, მისავათებულ თვალებს ხშირად ზურავდა, პირი უშრებოდა, თავს აქანქალებდა. ექიმმა წვეოები მიაწოდა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ წამოდგა და მისუსტებული ხმით განაგრძო.

— რაც შემეძლო გავუძალიანდი მამასახლისს, მარა ბაღანაი რას მოვერეოდი. მჯიდი მომიქნია და ისეთი ძალით ჩამარტყა ყურის ძირში, რომ თვალები დამიბნელდა...

საღამომდე, წიფლის ძირში ვეგდე და ვტიროდი. ცოტა რომ დაბნელდა, სტენა გაისმა, ერთი წვერმოშვებული, ჩაბალახმოხვეული, მაჩვივით დაბალი კაცი მოვიდა. ჩვენებურად ლაპარაკობდა. პეტრიაძ და იმ კაცმა დიდხას იდავეს. ბოლოს მორიგდნენ და ჩემი ბედიც გადაწყდა.

თურქმა ვაჭარმა იზმირს ჩამიყვანა. მემედ ეფენდის ეძახდნენ ჩემს ბატონს. იგი ჩემისა გაეკოტრდა და მთელი მისი ქონება დახლიდარს — ალი ჯავიდაზე დარჩა. ფერხორციანი ქალი შევიქენი, ალი ჯავიდაზე შევუყვარდი და მისი მეორე ცოლი გავხდი. ალისაგან ოთხი ვაჟი შემეძინა, ქმარი ოცდაათი წინათ გარდამეცვალა, ორი შვილი მომიკვდა, მაგრამ ცამეტი შვილიშვილი მყავს. აქ, გვერდში რომ დგანან, ჩემი შვილიშვილებია. თურქეთში ბევრია ქართველი, ერთმანეთს ხშირად ვხვდებით და ლაპარაკით გულს ვითხებთ. სამშობლო რომ მოაგონდებათ, თვალზე ცრემლები მოადგებათ. პო, შვილებო, ყველაფერი მაქვს იზმირში. მაგრამ ამ სოფლის, ჩემი ფიჩხისჯვარის ერთი კენჭი მთელ ჩემ ქონებას მირჩევნა. აქ დარჩა ჩემი სული ღა, ხედავთ, იგი მოვიტანე აქამდე. თუ ღმერთი შემეწია და სახლში მივაღწიე, მიწაში დამშვიდებული ჩავალ. დავეყუნებიე ამ მაღლიან მიწაზე იმ სულწაწყმედილ პეტრიას, ბედნიერი ვიქნებოდი! — ძლივს დასრულა საღეთმა და სკამზე ჩაიკეცა.

ექიმი ნათელა მგელაძე კვლავ მიეშველა მისუსტებულ მოხუცს.

ერთხანს ყველანი დუმდნენ. მერე ეს დუმილი იქვე მდგომი ქალის ქვითინშე დაარღვია, მას მოჰყვა თხვრა, წყევლა, აღშფოთება და ზოგიერთების მუქარაც. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა კოლმეურნე, პეტრე მამასახლისის შვილიშვილი, ტრაქტორისტი გრამიტონ კალაძე ერთ ადგილას გაშეშებულიყო, მას ხალხის ჩოჩქოლი და აღშფოთება აღარ ესმოდა.

— გრამიტონ კალაძე თუ არის აქ?! — დაიძახა დიმიტრი დიდიძემ.

— არის, მაგრამ გამშრალია კაცი — იყო პასუხი.

— გრამიტონ, გაიგონე ბიჭო, ვინ ყოფილა ბაბუაშენი!

გრამიტონმა გარანდებული თვალებით შეხედა დიდიძეს, ერთხანს თავჩაღუნული იდგა და შემდეგ ადგილიდან მოწყდა.



ანეტა გვიბირიძის სახლში ტურისტებისათვის გამართულთა შეუძლებული ლხინი დასასრულს უახლოვდებოდა. შუა ადგილას იჯდება ქადაგისა სადეო, უფრო სწორად, სონია მშვიდობაძე, შესცემოდა ნაირნაირი საჭ-მელებით, სასმელებით, ხილითა და ტკბილეულით დახუნძლულ სუფრას, ისმენდა ქართულ მელოდიებს, ვოკო-ბიჭების კრიმანჭულს და მთელი ასებით ისრუტავდა თავისი მიწის ვადლს. ზოგჯერ მღელვარება აღიბე-ჭდებოდა მისი სახის ნაკვთებზე, შეშუპებული ქუთუთოები უგმანავდა თვალებს, ეტყობოდა, სისხლ-ძარღვების სპაზმი აწვალებდა, მაგრამ მას მთელ სიცოცხლეს ერჩია ეს დღე.

— ჩვენ, ფიჩხისჯვარელი კოლმეურნები. სულითა და გულით გად-ლეგრძელებთ, ქალბატონო სადეთ, ჩვენო სონიავ, ჩვენო სისხლო და ხილ-ცო, ჩვენი მადლიანი მიწის შვილი! თქვენი სახით ვადლეგრძელებ თურ-ქეუში მყოფ ყველა პატიოსან მშრომელ ქართველს, რომელსაც ენატრება, მშობლიური მიწა და სიტყვა! — დასარულა სადლეგრძელო დიმიტრიმ. უცცრად იქცხა ტაშმა და აგუგუნდა მრავალშემიერი.

დადგა სტუმრების წასულის დრო. მოედანზე მანქანები ჩამწკრივდნენ. სადეთი ემშვიდობება თანასოფლელებს. თაიგულებითა და საჩუქ-რებით ივსება მანქანა. უცებ აღმართზე კოლმეურნეობის თავმჯდომარის „ვილისი“ მოსარიალდა. მანქანიდან ლიანა ხარაიშვილი და მისი ძმა ჯუმ-ბერი გადმოვიდნენ. ლიანას ხელში კაპრონის ტომარა უჭირავს. ბავშვებმა მანქანის მიაშურეს.

— მოვიტანეთ, პებია სადეთ, ჭინჭურაში ვერდეთ, ვარდენა მშვიდო-ბაძის ეზოში. — სადეთმა მიწით სავსე ტომარა ჩამოართვა ბავშვს და გუ-ლში ჩაიხური.

ათამდე მანქანა დაიძრა მოედნიდან. ფიჩხისჯვარელები პირველად როდი უმასპინძლდებოდნენ უცხოელებს, მაგრამ დღევანდელი სტუმრო-ბა სულ სხვაგვარი იყო.

იმ დროს ტრაქტორისტი გრამიტონ კალაძე ფიჩხისჯვარის სასაფლა-ოს მწვანე ბალახზე გულალმა იწვა და პაპიროსს ექაჩებოდა. გვერდით ათვილოიანი რკინის ურო ეგდო, მოშორებით კი ნაცარტუტად ქცეულ, პეტრივ მამასახლისის საფლავის ქვები ეყარა.

პ ჭ კ ე ს 0

კლდეებს ზემოთ ვიწრო ხევი წყნარი
გამთენიას გადაიყრის ფიქრებს,
ჩქერად მოქმედის მოქათქათე წყალი
და ძალლონეს საჩანჩქეროდ იყრებს.

ცა ღიმილით გადმოჰყურებს ხრამებს,
თამარის ხიდს უკვირს მათი ოხერა...
და ერთ ღამეს,
ერთ ლუსკუმა ღამეს,
იცით, ხევში რა ამბავი მოხდა?

ჩამობრძანდა სავსე მთვარე სტუმრად, —
მახუნცეთში ცის ზღაპარი ეთქვა,
მაგრამ ჩქერმა გაიტაცა უმალ,
ვარსკვლავებს და კლდეებს შეახეთქა.

ის დაფშვნილი ვარსკვლავები არის,
სინათლედ რომ მოფანტულა ირგვლივ.
ნათურები ნამსხვრევია მთვარის
და ჩემს გულში დაწერილი წიგნი.

ნათელი ქლენი

როცე გაზრდეს უღდება მთაში

მთვარემ ცერად გადმოხედა ხევს, წამით სინათლე მოჭრინა და კვლავ ღრუბლებში გაუჩინარდა.

სქელი ნისლი ნაბადივით მოიგდეს მთის კორტოხებმა.

დაბლა, ხევის გაყოლებით ცხვრის ქარავანი მიიკვლევდა გზას. იგი თეთრ ზოლად გასდევდა ბილიკს და დაბლა უჩინარდებოდა.

— მამი, აკი ამ მთას რომ ჩავივაკებთ, ჩავიმუხლებთო?

— დაიღალე, შეილო? — შეეხმიანა კაცი. — ჰო დაიღლებოდა, აბა რა, — თავისთავს გასცა პასუხი. — ეს ბილიკი რომ ჩათავდება, საურმე გზაზე გავალთ. იქ, ნახევარი კილომეტრის იქით ხიდს გადავივლით. იქვე ცხოვრობს ჯევდეთაი, ხომ გახსოვს, აკი მთიდან მომავლები, ადრე იქ ვითვდით ღამეს, რავა არ გახსოვს, მალე მივალთ, მალე, — დაიმტედა დაღლილი შეილი რეჯებმა.

— აი ჩაქურაც რომ მთლად გამიცვდა, — ხელი შეავლო სიცივისა-გან შეწუხებულმა ბიჭმა დაგლეჭილ ჩაქურას.

— ჰო, გაგიცვდა, მე არ ვხედავ თუ! — დაუყვავა რეჯებმა ამი-ზეზებულ ბიჭს, — ახალს გიყიდი. აპალა ჩაგიყვან ბათუმში, ჩაქურა რა ყოფილა, მოსირმულ ქუდსაც გიყიდი, ნაზიმესაც ბარე რამდენ რას დავ-პირდი, ცხვარს რომ ჩამოვრეკავ მთიდან-მეთქი.

ხევის მეორე მხარეს, მთის კალთებზე თოფმა იგრიალა. ბახ... ბახ... გა-მოეხმაურა ხევი და ხმაური მთაზე ბურთივით შეაგდო.

ცხვრები ზედ ხრამის პირთან შექუჩდნენ. დაღლილი, ენაგადმოგდე-ბული ძალლები ერთბაშად აყეფდნენ.

— ჰეი, ჰეი! რომელი ხარ, ღმერთი აღარ გწამს, ცხვრები ლამდა ჩე-
უში გადაიჩეხონ. ჩაუსწარ ბაბია, ცხვარს შეუძახე თორემ, თუ /

ჩნდნენ, ადგილიდან ვეღარ დავძრავ.

— გამარჯობა რეგებავ! ცხვარი გიმრავლის ღმერთმა, — მხეკილური ფილმის ფოტოების კაცი, რომელსაც დათვის პატარა ბელი ეჭირა ხელში, ბილის ჩამოჰყვა და მეცხვარეს მიეახლა.

— იცოცხლე ჭევდეთავ. ცხვარი ჩამოვრეკე მთიდან და შენთან ვფიქრობდი გაჩერებას.

— სტუმარი ღვთისაა, — დაწინაურდა ჭევდეთი და აღავლავებულ ძალებს თოფი მოუქნია.

— შუქრიავ! გადაუდექი ცხვარს, — გასძახა შეილს რეგებმა და ფეხს აუჩქარა.

— რა კუკუმეთი ჩამოწვა, ეს ოხერი, — ბუზლუნებდა ჭევდეთი და ცას შესცეკეროდა, იქნებ მთვარემ გადმოიხედოსო.

გზის მარჯვენა მხარეს ცაცინათელასავით გამოკრთა პატარა შუქი. რეგებმა იქითვენ გაირეკა ცხვარი და შვილსაც ანიშნა, აპა, კიდეც მოვეღითო.

— სანიე, სანიე! — გასძახა ჭევდეთმა სახლისავენ და არც დალოდებია ვინმებს გამოჩენას, ისე დააწია, — ფარანი გადმოდგი პარმაღლე, ცავ.

გაღებული კარის ჭრილიდან სინათლე გამოკრთა, მერე თითქოს სიბ-ელემ იმ სინათლეს პატარა ნაგლეჯი მოსხლიტა, პარმაღის თავზე აცი-მციმდა. ფარანთან აქრული ლანდი ისევ თახეში შებრუნდა, ეტყობოდა, შეჩერეული იყო ასეთ სტუმრობას, მათ ეზოს ხომ ზედ მთიდან ჩამომავალი გზა უვლიდა.

— ბუირუმს! — დაიბუბუნა მასპინძელმა პარმაღლე და კარები ფარ-თოდ გამოაღო. ბუხარი საამოდ გიზგიზებდა, სამფეხზე შემოღვმულ ქვა-ბში კარტოფილი თუხთუხებდა. ბუხართან ქალები ისხლნენ, როგორც კი სტუმრები ოთახში შემოვიდნენ, სწრაფად წამოდგნენ და სკამები მოსუ-ლებს დაუთმეს.

— სანიე, მგზავრებს გუგუმი და ლეგენი მოართვი, დალლილები არიან, ხელ-ფეხს დაიმშვენებენ. შენ სუფრა გააწყვე, — დააწია ისედაც ამ საქმით გართულ ქალს ოჯახის უფროსმა.

ყავარივით თხელი გოგო გარეთ გავიდა, ტაშტი და ბუხართან გამუ-რული თუნგულათი წყალი შემოიტანა, რეგებს წინ დაუდგა. რეგებმა რომ ხელები დაიბანა, წყალი გადაასხა და ახლა ბიჭის წინ დადო. ოდნავ დახ-რილ სანიეს ნაწნავი ჩამოუვარდა და თავსაფარი ერთბაშად დაუცურდა.

— ნენევ, ჩემი სიკვდილი, — ხელი სტაცა თავსაფარს და გარეთ გა-ვარდა.

— ამხელა გოგოს იაზმის დახურვა ვერ ვასწავლე. — ჩართული დედამ და იაზმა მჭიდროდ შემოიხვია თავზე.

შუქრიმ თვალი გააყოლა გარეთ გაქცეულ გოგონას.

— სა ქვესკნელში გაქრი გოვ, — ოდნავ გაღებულ კარებში გასძახა მწყრალად დედამ.

— არა უშავს, მე თვითონ დავიბან, — მოერიდა შუქრი დისახლისს, მერე იქვე დაკადულ პირსახოცზე ხელი შეიმშრალა და ტაშტი თითონ გარტან გარეთ.

მიხურულ კარს უკან ლანდს მოჰკრა თვალი.

— რამხელა გაზრდილხარ ცავ, — შესჩურჩულა ლანდს შუქრიმ. ლანდმა ზურგი შეაჭცია და თავი დახარა.

— ასეთი ლამაზი თვალების ჩაღრში დამალვა საცოდაობა არაა, ცავ?

— ქუფურს რად ჩივი, შუქრიავ, — მოიხედა გოგონამ, — ღმერთს ეწყონება.

ოთახიდან ნაბიჯის ხმა მოისმა.

— წადი, დაგვინახავენ, — შეკრთა გოგონა და ქურციკივით გასხლტა პარმალის მეორე მხარეს.

მთელ ღამეს ვერ დაიძინა შუქრიმ. ხან რას გადაწვდა მისი ფიქრები, ხან რას. მერე სანიეს გაფითორებული სახე დაუდგა თვალწინ. ჰმ, ახლა ასე შეარცვინა ჩემთან თავშიშველა ყოფნამ, ორი-სამი წლის წინ კი, აქეთ რომ ჩამოვივლიდით, ორც მერიდებოდა, იჯდა თავისთვის კუთხეში და ცოცხისაგან თოვინას აკეთებდა. იყი ქალაქმი თავშიშველი დადიან, მაგრამ არავინ შეუჭამიათ, გამოედავა თავისთავს. მამლებმა მესამედ რომ იყივლეს, ძილმა თავისი გაიტანა. ძილშიაც თან ჩაჰყეა სანიეს გაფითორებული სახე და დიდრონი თვალების შუქი.


მთებს რომ ცისკარი შემოადგა, რეჯები ნელა წამოდგა საწოლიდან. ღრმად ჩაძინებულ შეილს გადახედა, ერთხანს დაენანა გაღვიძება და თვითონაც ისევ მიწვა, მერე ვეღარ მოისვენა, კვლავ იღგა და შუქრის ნელა შეახო ხელი.

— ასე მალე გათენდა? — თვალგაუხელელად შეეპასუხა შუქრი მამას. — რატკბილად მეძინა, ასე მგონია, ორ დღელმეს ისე ვიძინებ, გვერდ-საც არ მოვიცვლი.

— წასვლის დროა ბაბაია, მერე ასიცხავს და ცხვარს გზად გაუჭირდება, ცოტაც ხომ უნდა ვაძოვოთ, თორემ ცოდვაა პირუტყვი.

— ჰო, ავდგები ახლავე, — თვალებზე მოისვა ხელი და ლოგინზე წამოჯდა.

— რავა გეკადრება რეჯებავ, ჩემი ოჯახიდან სტუმარი ისე წავიდეს, ხეფსი არ გატეხოს! ხომ გაგიგონია, დილის საუზე ცოლის მზითებს ჯობიაო. — და სამგზავროდ გამზადებულ სტუმრებს ოთახში შემოუძლვა.

შუქრის გაეხარდა, იქნებ სანიეს მოვკრა თვალიო, მაგრამ  კანიე ლომ ველარსად დალანდა, უხალისოდ წამორეკა ცხვარი. დაბლა რომ  სერს ამოხედა. ამოხედა და ვიღაცა შენიშნა, ის ვიღაცა ფეხის უკერძოებელობა და თეთრ თავსაფარს უქნევდა.

შუქრიმ სიხარულისაგან ჭული ჰაერში შეაგდო და სერისაკენ ორივე ხელები გაშალა.

რევებმა აღტაცებულ შვილს შეხედა, მერე სერისაკენ აიხედა. სერზე ვიღაცა წიფელს ამოეფარა. რევებს გაელიმა და დაბლა დაუყვა გზას.

შუქრიმ კვლავ ახედა სერს, მერე მამის ზურგს შეაგდო თვალი და ისევ გაშალა ხელები, რაღაცა ანიშნა სერზე გაღმომდგარს.

მერე იმანაც თვალი მოავლო არემარეს და ხელებით რაღაცა ანიშნა.

როდის ამოვალ, ხომ? — ისევ ანიშნა შუქრიმ ხელებით.

გოგონამ თავი დაუქნია.

— როცა გაზაფხულდება მთაში! — ასძახა ხმამალლა სერს.

როცა გაზაფხულდება მთაში! დაიბუბუნა ხევმა, რომელსაც ბანი მის-
ცეს აშრიალებულმა ტყეებმა.

ს ა მ ჟ ო ბ ლ ო ვ

შენ რომ გტეივა,	ლამაზდები,
მეც მტკიგა.	ვლამაზდები,
შენ რომ გცივა,	შენი ქება
მეც მცივა.	ჩემიცაა....
გიხარია,	ჩემზე უფრო ვის
მიხარია,	უყვარდეს
შენ რომ ტირი,	შენი ზღვა,
მეც ვტირი.	შენი ცა.

ზღვა და სიყვარული

ერთი შითხარი თუ სიყვარული,
როგორც ამბობენ, არის ფარული,

რამ გადარია მაშინ ზღვა მშვიდი,
თეთრი მყლავებით საითკენ მირბის.

რად ებრძვის მძაფრი სურვილით ლიდები,
ან ასტომ შფოთავს, ან რისთვის გოდებს.

რად ანგრევს ერთი დარტყმით ნაპირებს
და სანაპიროს რატომ აყვირებს...

ალბოთ განიცდის ტკივილს და ღალატს,
ხმარობს ათასგვარ ხერხსა და ძალას,

რომ შეაყვაროს საყვარელს თავი,
ძისთვის ყვაოდეს მზეთუნახავი.

ებრძვის და ანგრევს მიტომ დუნიას,
ზღვა არის თორემ... მასაც გული აქვს.

ვდაღისა გაჯერიძე

ქოგულეთის რაიონის სოფელ
ხუცუჩის ქოლეგიურნიოგის
შავეჯლოგარე, სსრ კავშირის
უმაღლესი საგაოცე დეპუტატი.

ვ ა ს ვ ა ბ ი

სოფლის თავდაცის ჩანაწერი

ვისაც ფეხშიშველს ერთხელ მაინც არ გაუვლია თავის მიწაზე, ერთ-
ხელ მაინც არ ამოლუმპულა დილის ბალაბში, მისთვის შესაძლოა უცხო
დარჩეს ეს სტრიქონები. მე კი სწორედ ჩემს მიწაზე, მის ცვარნაპკურ
ბალახსა და სიოზე მინდა გიამბოთ. არის ერთი პატარა, მზეს შელიმებუ-
ლი კუთხე აქარაში. ხუცუბანს უხმობენ. ლამაზია ხუცუბანი, ჩვენს და-
ლოცვილ მიწაზე რა დალევს ლამაზ სოფლებს. მაგრამ ჩემს გულში მას
განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და თუკი ამ ცხოვრების დიდ ფანჯა-
რაში მომიწია გახედვა, რა თქმა უნდა, უპირველესად მისი დამსახურე-
ბაა. ამას წინათ ერთ ჩემს შორებელ ნაცნობ თავმჯდომარეს შევხვდი
თბილისში. დედაქალაქში ყოფნის მიზეზი დამიმალა, საღამოს კი ტელე-
ვიზიის სტუდიიდან საოცარი სითამამით გვიამბო თავისი კოლმეურნე-
ობის წარმატებებზე. სატრაბახო და თავის მოსაწონი კი არაფერი ჰქო-
ნდა. ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ადამიანის ყველაზე დიდი სარკე, ყვე-
ლაზე დიდი ტელევიზია თვით ხალხია, თვით ის ადამიანებია, რომელთა
მხარდამხარ გიშევს შრომა, მშრომელ კაცს კი სატრაბახო არაფერი
აქვს, მისი საქმე ლაპარაკობს მის ნაცვლად.

ახლა გაზაფხულის პირია. კოლმეურნეობის პლანტაციებში საგაზაფ-
ხულო სამუშაოები ეს-ეს არის მოთავდა, სოფელში მოჩვენებითი სიმ-
შვიდეა. კიდევ რამდენიმე კვირა და ჩაი.. ჰოდა, მეც, რაკი პატარა სულ-

დათქმულად ვიგრძენი თავი, ჩემთვის საოცრად უჩვეულო საქმეს მოკიდე ხელი. თვითონაც არ ვიცი, რა გამოვა ამ წამოწყებიდან. შეგობრებითი კია, მინდა ჩემი თვალით დაგანახოთ ჩემი სოფელი. მისთვის შემოწყებით ლაპ ღირს შეხედვა.

თქვენ იცით, რა ბალახი იზრდება მის ფერდობებზე? ახლა, როცა სარქმლიდან ვაყურები, მე თითქოს ვგრძნობ ბურჩხასა და ქრისტებეჭვედის შრიალს, ვგრძნობ როგორ შეუმჩნევლად მიცოცავს დამრეცვე ეკალიჭი, კატიბალახა და კლარტა, როგორ იბრძვის სინათლისათვის, როგორ მიიწევს ცისკენ ჩიტისთვალა, ტრიასკუდა და მწყერისფერა. აი, სწორედ ამაზე მოგახსენეთ ზემოთ, ამ ბალახში თუ არ გაგივლია ფეხში-შველა, ერთხელ მაინც არ დაგიკრავს ქუსლი წვეტიან ქვაზე, არ აუცრებლებიხარ ეკალს, ამ მიწის სილამაზესაც ვერ იგრძნობ. ვერ იგრძნობ, რამ ამაფორიაქა ასე და საბელასინო საქმისათვის მომაკიდებინა ხელი. ბელასინს კი ჩვენს კუთხეში სახათაბალო. საჭოჭმანო საქმეს ეძახიან.

სარქმელთან ვდგავარ. კინტრიში ხმაურობს. მთებში თოვლმა დაიწყო დნობა და ლამის გადაირიოს ეს წყალმარჩხი მდინარე. მთელი ხეობა ვაყუჩებული უსმებს მის უჩვეულო გუგუნს.

და უცებ ამ ხმაურს ტელეფონის წერიალი არღვევს. რაიონიდან რეკვენ. ციტრუსების შეწამვლა აინტერესებთ. რაა დასამალი — შარზან მაინც დამაინც ვერ ვისახელეთ თავი. არა, ნუ იფიქრებთ, რომ მოსავალი ვგქონდა ცუდი. პირიქით. მაგრამ ფრთათეორამ აქა-იქ მაინც და-აზიანა ციტრუსოვანთა პლანტაციები. რას იზამ — კოლმეურნეობას ემ-სახურება ენტომოლოგი, წამლობის ბრიგადირი, ამ საქმის ორი სპეციალისტი აგრონომი, მაგრამ წამლობა არ გამოღვა ეფექტიანი. ყურმილ-ში სიჩურეა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ჩვენი საუბარი გაწყდა. „ალო!“ — ჩავძახე ყურმილს. „დიას, გისმენთ, ყველაფერი გასაგებია“. — ამბობს ციტრუსოვანთა წამლობით დაინტერესებული ამხანაგი. და უცებ მახსენდება. ღმერთო, თურმე რმდენი საქმე გვქონია გასაკეთებელი! მიხედვა უნდა გამორგულ ნერგებს, პლანტაციების ზოგიერთ ნაწილს სასუქი აკლია და შიმშილობს, მაშასადამე რა გამოდის? ნუთუ მარტო მინერალური სასუქი კარა? არავითარ შემთხვევაში. ტორფკომპოსტი და მდინარის შლამია მოსაზიდი. ცალკე ფურცელზე ვინიშნავ: „ტორფკომპოსტი და მდინარის შლამი. ვინახულო ციტრუსოვანთა ბრიგადების ხელმძღვანელები“.

და ისევ მესმის კინტრიშის შხუილი.

შე კი როგორ აცხუნებს!

აღრიანი გაზაფხულის მზეზე უკეთესს რას ინატრებს კაცი. მითუმე-ტეს ასეთი უჩვეულო, თოვლუხვი ზამთრის შემდეგ. ხარობდა მიწა.

ხარობდა შრომას მოწყურებული კაცის გული. ვუყურებდა სამების ფერდობებისაკენ გატეულ ბილიკებს, გზაზე მიმავალ ბალოებს, ლიტაოდ აყილ ჩვენის ტემპებს, ცის ჭერს რომ წვდებოდნენ კენჭეროებუნერებული ნის პლანტაციები გამახსენდა. ისპანის პლანტაციები კანტორაში მოსვლამდე მოვინახულე. იქ წელს ჩაის კარგი მოსავალი უნდა მივიღოთ. პოლა, ისპანის პლანტაციებში — იმ დილაბნელში, როცა ეს-ეს იყო განთიადი იდგამდა ფეხს, უცნაური აზრი ამეკვიატა. სხვა დროს შეიძლება არ მიმექცია ამ განაციქრისათვის ყურადღება, მაგრამ ისეთი დიდებული ცისკარი იყო, ისეთი გადოსნური იყო ყველაფერი, ისე საიშვიათოდ ახელდა თვალს ბუნება, უნებურად ავფორიაქდი. ხომ შეიძლებოდა არ გავჩენილიყავი? არ გამევლო ამ მიწაზე, არ შემეხედა ამ ცისთვის, და საერთოდ, რა სიტყვაგასაგრძელებელია, არ გამომეცადა სიცოცხლის გემო?

წარმოუდგენლად საშინელი, მომთენთავი გრძნობა დამეუფლა. ამ ბებერი და მარად ახალგაზრდა მიწის ორსებობა ეცოდინებოდა ყველა ჩემს მოგვარეს. ყველა ჩემს მეზობელს, ყველა ჩემს თანამედროვეს. ეცოდინებოდა მისი თოვლი, მისი ეს გამხმარი, აქმდე შემორჩენილი, გულდაფუშული ბალიხი, ეცოდინებოდა მისი მთა, მისი ბარი, მისი გაზაფული. მისი მდინარე... იამაყებდა ამ მიწის მკვიდრობით. ეყოლებოდა წინაპრები. ეცოდინებოდა რუსთაველის გასაოცარი სამყაროს ორსებობა. ამ ლამაზი გაზაფხულის დილაბნელს ჩემს მაგიერ შეხედავდა სამყაროს. და რომ, მე კი არა, სხვა გაიგონებდა სკურდას მთიდან მობერილი ნიავის ჩურჩულს, და რომ, მე კი არა, სხვა წარმოსთქვამდა ამ სიტყვებს?

მართლა დიდი ბედნიერებაა, რომ კაცს ეძლევა ასეთი იშვიათი, საცარი უფლება — იცხოვრო. იცხოვრო ადამიანებს შორის. ეს მე არ აღმომიჩენია. მაგრამ სხვის აღმოჩენილს, თავიდან რომ აღმოაჩენ შენთვის, მიხედები ამას და როგორც საჭიროა, ისეთ დასკვნას გამოიტან — ესეც რაღაცას ნიშნავს:

როცა პატარა ვიყავი — მამაჩემისათვის მიკითხავს, რად სჭირდება ადამიანს სახელი-მეთქი. მამაჩემმა მაშინ გაიღია, როცა გაიზრდები, მიხედებო. მე კი ვფიქრობდი, ალბათ იმიტომ, რომ კოკოტის ან აბათის ღელესთან ჩასულს ნენეს ხმა მომესმას და გამოვეხმაურო-მეთქი. იგივე გამეორდა ახლაც. ჩემმა ძმისშვილმა, ახტაგანა და ღმერთიჯლაბნია გოგომ, დრო იხელთა, მუხლზე ჩამომიჯდა და მკითხა: „ვლადიმერ ძია, რად უნდა კაცს სახელი?“ მოდი, და თუ ვაჟკაცი ხარ, აუხსენი წესიერად, გასაგებად. და მშინვე მამაჩემის ნათქვამი გამახსენდა. გაიზრდები და თვითონ მიხედები-მეთქი. მაგრამ მივხვდით კი ჩვენ, რად უნდა ადამიანს სახელი? იქნებ სულ ტყუილად გავსარგულვართ და სულ ტყუილად

მოვსულვართ ამ მარად ბებერ და მარად ჭაბუკ დედამიწაზე მხელვა რაიმეს თქმა, რადგან: უდანაშაულია ყვავილი, რომლის წვერისაც მარტობა საწამლავს აგროვებს, კეთილშობილი ფუტკარი კი იმავე უფლებით დაულს იძლევა. ასეა ადამიანიც. ზოგი კარგს ითვისებს ამ ცხოვრებისან, ცდილობს კარგი სახელის დატოვებას, ზოგი კი... მაგრამ ორივე ამწონ-დამწონი, შემფასებელი და განმკითხავი მაინც ხალხია. სწორედ ამიტომ მოგახსენეთ, კაცმა ჯერ შენს კუთხე-კუნძულში უნდა ჩაიხედო, მის სარკეში დაინახო საკუთარი თავი და თუ ლირსი იქნები, ქვეყანა თავისით მოგძებნის, ხოლო ხმაურიანი პოპულარობა პირადად მე ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია საეჭვოდ.

აი, ამაზე ვფიქრობდი გაზაფხულის იმ აღრიან დილას.

შარაგზაზე მანქანები მიჰქოდნენ. თითქმის ყოველ სამ წუთში მაინც ჩაიქროლებდნენ ან ქობულეთისაკენ, ან უკან, სოფლისაკენ. ზედ კოლმეურნეობის კანტორის წინ გაშლილ მოედანთან ნაწილდებოდნენ — აქედან სამი მიმართულებით მიდის გზა. მერე ეს სამი გზა მრავალ ასეთივე მოასფალტებულ გზად იტოტება და სოფლის თითქმის ყოველ კუნძულამდე აღწევს.

დრო!

საოცრად შეიცვალა დრო.

მახსოვს, იყო ასეც — მიუხედავად ქალაქთან სიახლოვინა, სოფელში მანქანის გამოჩენა და ბალლების ამხიარულება ერთი იყო. სოფელმა სახე იცვალა. ეს ფერისცვალება გეგმაზომიერი და თანდათანობითია. დღე-ვანდლამდე მოტანებულ ძველი დროის კაცს აღარ უკვირს მოასფალტებული გზით შინ მისცვლა, აღარ უკვირს კინტრიშის საცალფეხო ბოგაზე რომ აღარ უწევს გადასვლა!

თვალი!

თვალიც შეეჩია მზეს შელიმებულ ოდებს, ფერდობებზე შეფენილ ბალებს. ერთ დღეს სოფელში ელექტრონი რომ გამოითიშოს... თუმცა ეს ამბავი რა ენაზე მოსატანია, ჩამოხვალთ ხუცუბანში და საკუთარი თვალით ნახავთ ყველაფერს. ოღონდ ისე კი არა, ზოგიერთმა რომ იცის, ექსკურსიაზე მიდიოდეს თითქოს, გვესტუმრება, მანქანიდან არც გადმოდგამს ფეხს ისე შემოირბენს სოფელს, მერე ჩაჯდება კანტორაში და გაშლის დავთარს: — რამდენი სოციალისტური შრომის გმირი გვაფო სოფელში? — იყითხავს, „თვრამეტი, ბატონო“. — ვუპასუხებთ. „რა-მდენი ტონა ჩაი მოიკრიფა გასულ წელს?“, „1662 ტონა“. „ეს ვალდებულებაა?“ — „არა, ბატონო, ვალდებულება გაცილებით ნაკლები გვქონდა“. „ციტრუსი?“ „175 ტონა“. და მიჰყვება და მიჰყვება, იწერს და იწერს კოლმეურნეობის მიღწევებს. მაშინვე ხვდები — ისევ ვერაფერი

დაიწერა მიწასთან გაჭიბრებული კაცის გულის სამებლად. ახდა რო უნდა დაინახოს შან ციფრებით გაშანშალებული ნარკვევის მიღმისართულებულებით. ციფრები სტატისტიკოსებისთვისა გამოგონილი. მიწასთან გაჭიბრებულ ადამიანს კი უნდა მისი გვარის გასწვრივ ციფრების სანაცვლოდ დაინახოს თავისი კუთხის თუნდაც ერთი პატარა მონაკვეთი, მის გვერდით მდგომი ჩაის მკრეფავისა თუ მეციტრუსის ღიმილი. იგრძნოს ის, რასაც მწერლები სულს ეძახიან, გაიგონოს თავისი ხმა და იცნოს საკუთარი თავი.

თორემ რა ვიცით ჩვენ ერთმანეთზე?

აი, ცხოვრობს ადამიანი, ჰყავს მეზობელი, დადის მასთან ერთად ჩაის პლანტაციის დასაბარავად, უვლის სოფლის გზებს, სკრის მომავალი სახლის საძირკველს, მაგრამ სულში ჩახედვს მაინც ვერ ახერხებს. ხომ ვერ გაჭრი კაცს? ხომ ვერ ჩაუხედავ ფიქრებში? რატომაა, რომ ჩვენ, ადამიანები ამ ბოლო დროს მივეჩვიეთ ზედაპირულ შეფასებას?

გვესმის ერთმანეთის?

ვიცნობთ ერთმანეთს?

სინამდვილეში ყველას გვიჭირს უხილავი ცხოვრების გულისგულამდე ჩაღწევა. ამას განსაკუთრებული ნიჭი უნდა.

ომის შემდეგ ცხოვრობდა ჩვენთან კაცი. ჩვეულებრივი თვალები ჰქონდა, ჩვეულებრივი მიხერა-მოხერა. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ადამიანი იყო — ჭამდა, სვამდა, ლხინის დროს მოილხენდა. დააღინდა ჩვენს სოფელში, ჩიტებს უსმენდა, ნეკერჩხლებისა და ურთხელის შრიალს უსმენდა, დაიღებდა ხელისგულზე მწიფე მანდარინს. „ეს მზეა. — ეუბნებოდა ბალებს. — პატარა მზე, პატარა მზის შვილი“. ეშმაკურად ილიმებოლნენ ბალები, ეშმაკურად ილიმებოდა მამაკაციც. ერთი ნაკლი ჰქონდა, ღვინის სმა უყვარდა მომეტებულად, ჰოდა, ამის ვამო სოფლელებმა ცოტ-ცოტა აითვალწუნეს კიდეც. მერე კი ეს კაცი ასევე მოულოდნელად გაქრა სოფლიდან, როგორც გამოჩნდა. სოფელმა დაივიწყა იგი. მეც დავივიწყე. ხოლო რა გამოვიდა?

ჯადოქრიბა. სასწაული!

ამ ჩვეულებრივმა ადამიანმა დასწერა არაჩვეულებრივი შიგნი — „ოქრო აჭარის ლუკვარდში“, და ამ ადამიანს გალაკტიონს ეძახის საქართველო. აი, ვინ ჩასწვდა ადამიანის სულის საიდუმლოს. ჩვენ ერ... მაშინ, იმ დროს, ისეთი დიდი ადამიანი დადიოდა ჩვენს სოფელში. საათობით იდგა აიშე უიუვაძის ჩაის პლანტაციასთან, საათობით ითუსმენდა მანდარინის მკრეფავთა ხმებს... და ვერავინ ვერ შენიშნა, რომ იგი თავისი ოდნავ დამცინავი, ღიმილნარევი მზერით ჩვენს სულს სჭვრეტლა.

ამის სწავლა კი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

სოფელი ისევ და ისევ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია მოშეცვლი. მაგრამ არ იფიქროთ ეს იმით იყოს გამოწვეული, თითქოს სოფელში ვერ იყოს ყველაფერი რიგზე. პირიქით. ოუკი, როგორც სტატისტიკური ციფრები ამბობენ, ფანქარს მოვიმარჯვებოთ და დავიანგარიშებოთ, მაშინ მივცვდებით. ის რაც უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე შექმნა ჩვენი სახელმწიფოს სოფლის მეურნეობამ, აქამდე არნახული ტემპის შედევებია. შორს რომ არ წავიდე, მარტო ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითს მოვიყვან: 1949 წლიდან 1958 წლამდე კოლმეურნეობაში ხარისხიანი ჩაის ფოთლის წარმოება ჰქექტარზე 488-687 კილოგრამით გაიზარდა, ხოლო წელს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს 100 ტონაზე მეტ ჩაის ჩავაბარებთ. მაგრამ ეს მხოლოდ ციფრებია. ციფრები კი მე მაინც დამაინც არ მიყვარს. კარგია, როცა შენ ნახავ სოფელს, საკუთარი თვალით შეაფერებ გაგონილს.

და უნებლიერ მაგონდება: ბალობისას, როცა ფეხს ან ხელს გავიჭრიდი, ანდა განაკარგი იარას გააჩენდა, ნენემ შრავალძარღვას დაფენა იცოდა. სოფელში დღესაც შემორჩა ეს ათასწლობის მიღმიღან მოტანილი სახალხო სამკურნალო საშუალება. პოდა, დღესაც, როცა სოფლის ბილიკებზე გაივლი, განსაკუთრებით დილით, ერთნაირად დანაშულ მრავალძარღვას დაინახავ. სად არ შეხვდები მას, ამ უწყინარ, სასარგებლო ბალას. რამდენიც არ უნდა თელო, რამდენიც არ უნდა კულოტოს საქონლის ფლობვებმა, მაინც იზრდება, მაინც ხარობს... პაპაჩეგშეა ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა იცოდა. ერთხელ, ამ საინტერესო მონაცემლის მიზეზი იყო ალბათ, რომ სახლიდან უნებართვოდ გავიპარე საქორიეს ტყისაკენ. იქ მთელი დღე დამალულ განძს ვეძებდი. მე ძალიან მინდოდა მეპოვა განძი, რადგან იჯახში ღარიბად ვცხოვრობდით. სკალტის ახალუხი რაა, ისიც არ მქონდა გამოსაცვლელი. ფეხზე კი, რა თქმა უნდა, ზაფხულში ვინ მაღირსებდა რამეს. გვიანი იყო, როცა დაღლილი და ეკალ-ბარდებში ნაბღოტიალევი დავბრუნდა შინ. ფეხები ერთიანად გასისხლული და დაკაწრული მქონდა. პაპაჩემი მრავალძარღვას გრილ, სასიამო ფოთლებს მაფენდა იარებზე, თან ბუზლუნებდა: „განდის პოვნა ასე ადვილია, ბიჭი? მაგრამ არა უშავს. ქორწილამდე მოგირჩება. შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი“.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მე მივხვდი, რომ ტყე-ლრეში ამათა განძის ძებნა. პაპაჩემის ნაამბობი კი დამრჩა. პაპამ მიამბო, თითქოს ცხოვრობდა სოფელში კაცი. ისიც ჩემსავით შორეული რაჭის სოფლიდან, ბაჯიდან ყოფილა თითქოს ჩამოსახლებული ხუცუბნის მიწაზე. და თითქოს ამ კაცს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული განძის პო-



უნა. დღედაღამ განძს ეძებდა თურმე. ოოცა დაღლილი, ჟოჟუჟუჟებული ბრუნდებოდა შინ, ამბობდა, სულ ცოტადა, კიდევ ცოტადა მუჭატი დამჩრია და სანუკვარ ოცნებასაც მივაგნებო. ერთი საწუხარი ჰქონდა, --- ეს არის, რომ იმ ადგილებში მრავალძარღვა არ იზრდება და ჰრილობებს ვერ ვირჩებო. იმედი კი არ გადაუწურავს: — არაფერია, სხვები წავლენ მის საძებრად, სხვები შიშველი ფეხებით, ქალამნებით, წულებით, შორს წაიღებენ მრავალძარღვას თესლს.

ახლა მე ვიცი — აღარაა საჭირო განძის საძებრად ტყეში და ცხრამთას იქით წასვლა. განძი ყველგანაა. გაიხედავ მარჯვნივ --- შუბალაური ციტრუსებითაა დაყურსული. ექი, თეოროსანისაკენ ვამოიხედავ --- ჩაი და ისევ ციტრუსები... ტყუილად არ უვლიათ ჩვენს წინაპრებს მრავალძარღვათი მოფენილ ბილიკებზე. და პირველი კაცი, ვინც ამ განძს მიაგნონ ხუცუბანში, ოთხმოცდაორ წელს მიტანებული, მაგრამ ჯერ კიდევ მხერ და ჯანმრთი სახსე მოერ კაიკაციშვილი გახლავო.

ჩემი მოთხრობაც ექედან მინდა დავიწყო სოფელშე.

იმ ადგილს, სადაც ამერ კაიკაციშვილი ცხოვრობს, ვიორგილაური ჰქია. ჩვენს სოფელს ბევრი ექვს ასეთი ვასახელებული აუთხე-კუნძული. ჩვენ არაერთხელ შევხვდებით ასეთ გასახელებას.

მაგრამ გიორგილაურის სანახები მართლაც იშვიათია. აქ ჰაერის ტემპერატურა მუდამ ზომიერია. ზამთრობით ზღვის მხრიდან თბილი ქარი ქრის და ციტრუსებს განვითარების ნორმალურ პირობებს უქმნის. ზაფხულში კი ომერის სახლის წინ, ვარდებით მოჩრდილულ ფანქატურში კლომას არაფერი სქობია. ბორიო წარამარა არხევს ასწლოვანი ბლის ტოტებს.

რაზე ჩურჩულებს ეს ნიავი?

წარსულზე?

განახლებულ მიწაზე?

ვინ იცის.

მიწა კი მართლაც განახლებულია.

კარგად უთქვამს ისტორიკოსს: მსოფლიოში შეიძლება არც მოიქცნოს მეორე ისეთი მხარე, რომელსაც ამდენი შემოსევა-დაბყრობა განუცდიაოთ...

რამდენი სიავე, რამდენი ვაჭირეულა გადაუტანია ჩვენს ხალხს საკუთარ მხრებზე!

მახსოვს ოცი-ოცდახუთი წლის წინათ მოვიდნენ ჩვენთან არქეოლოგები. გადათხარეს კინტრიშის ხეობა. რას ეძებდნენ ისინი? რა იძოვეს? ბრინჯაოსა და რკინის იარაღები. ამ იარაღებს ჩვენი წინაპრები როგორც სამეურნეო საქმიანობისათვის, ისე საომრადაც იყენებდნენ. სხვა?

რით იყო ეს გათხრები საინტერესო?

აქ იპოვეს სხვადასხვა კონტრუქციის ცულები, საკულტო დანიშნულების ნივთები, კერამიკული ხიმუშების ფრაკტები... ხოლო მართველობის ზოდებმა აშეარად მიგვანიშნეს, რომ ხუცუბნის ტერიტორიაზე შეიცდოვა რებ აღაში ჩებს ამ იარაღებისა და ნივთებისათვის სხვაგან არ უხდებოდა რა აღმოავრის 2500 წლის წინათ.

ხუცუბანში ახლაც არის ერთი ადგილი, ქვედა სამების სათეს ფართობებში. მას ნამჭედლებს უწოდებენ.

შორეული წარსულის გამოძახილი? ალბათ.

მაგრამ ჩვენი სოფლის უხუცეს გლეხს, ბარე ასი წლის ახმედ მუავანაძეს უთქვამს: — მოხუცოვან გამიგონია, ოდესლაც შორეულ წარსულში კინტრიშის მარცხენა ნაპირზე „სამჭედლური“ იყოო. და რომ, ეს ამბავი იმ მოხუცებსაც სხვა მოხუცებისაგან გაუგონიათ.

ამ გათხრებიდან უფრო მოგვიანებით შედგა კიდევ ერთი ექსპედიცია. მას აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ედგა სათავეში. ჩვენს მიწაზე აღმოჩნდა უძველესი ქვის ხანის ზედა საფეხურის დამახასიათებელი კაჯის ანატკეცები, დანები, საჭრისები, საფხეკები... ამან და კიდევ უფრო მნიშვნელოვანმა ნივთებმა, უძველესი საცხოვრებელი მიდამოების ნაშთებმა მეცნიერთა დაინტერესებისა და კვლევის სფეროში მოაქცია ჩვენი სოფელი.

დღეს ყოველი ხუცუბნელი სიამაყით უჩვენებს თავის სტუმრებს თეთროსანის ეკლესიის ნანგრევებს. რას გრძნობ ამ დროს კაცი? შორეული წინაპრებისადმი უსაზღვრო პატივისცემას, თუ რაღაც უცნაურ, ქვეცნეულ ძახილს წარსულისას. მიჭირს რაიმეს თქმა, მიჭირს ლაპარაკი მაშინაც, როცა ამ უნიკალურ ნაგებობაზე ჩამომიგდებენ სიტყვას. სულში ორი სიცოცხლე იწყებს ბორგვას. ერთი ისაა, რომელიც საუცნებოს მტვერმა დაგვავიწყა, მეორე კი ისაა, რომლის დავიწყება არ მოხერხდა, რომელიც ისევ ფეხქავს და იფეთქებს, ვიდრე ცოცხლობ.

მაგრამ ხომ არის ასე — ყველაფერი მაინც პირობითია. შეგვიძლია ვკითხოთ სხვა, რომელიმე უცხო სოფლის ადამიანებს — რას ეუბნება მას სიტყვა „თეთროსანი“. და ალბათ, თითქმის ყველანი უცნაურად იწურავენ მხერებს. ხუცუბნელისათვის კი ეს სიტყვა ნიშნავს ქართულ მიწას; შესაძლოა — მთელ საქართველოს; ხალიფ-ფაშას შემოსევის დროს თეთროსანის ეკლესიიდან აკეთის ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატის გადასვენებას; ნიშნავს — ცეცხლს, დახოცილ ბავშვებსა და ქალებს; თურქების მიერ ქართველების გამუსლიმანების ცდას...

სხვა თუ არა, ისტორიისათვის არაფერია ერთი საუკუნე. ერთი მუ-
კუნე ზოგჯერ ერთი სიტყვით თუ აქვს მოხსენიებული ჟამთაღმწერებულს.
სწორედ ასეთი სიტყვაძუნწი ჟამთაღმწერი გვამცნობს: 1877 შესანიშნავა
ველ მაისს ციხისძირის ბრძოლებში დაღუპულთა პატივსაცემად თეთრო-
სნის ძველი საქრისტიანო ტაძრის ნანგრევებზე რუსეთისა და გურიის
სახალხო ლაშქარს პარაკლისი გადაუხდია.

გამოვყვეთ აქეთ — ხუცუბანში, ბაჯელიძეების გორაზე არის კიდევ
ერთი ნანგრევი უძველესი ეკლესისა. რომელ ხანას განეკუთვნება იგი?
როგორც დღემდე ირკვევა, მის შესახებ არავითარი სარწმუნო წყაროები
არ არსებობს. ამბობენ, ბერძნების აშენებული ეკლესია იდგა აქაო. მარ-
თლია ვითომ? ვინ იცის.

მაგრამ „ნაციხვარა“ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ორი
სამხედრო გზა, რომელიც სწორედ ხუცუბანზე გადიოდა, კიდევ უფრო
სიამყით გახედებს წარსულისაკენ. და გესმის თითქოს ზედ ხუცუბანთან
მობჯენილი პეტრის ციხის ნანგრევების ჩურჩული, იდუმალი, შორეული
გამოძახილი იქ დაღუპული რაინდებისა, რომლებმაც საქართველოსათვის,
ჭართველობისათვის დადეს თავი. ხედავ თითქოს, როგორ ებრძვიან ოსმა-
ლთა ჭარებს კინტრიშის ხეობისა და ჩაქვის მცხოვრებლები, ვინ იყვნებ
ისინი, რომლებსაც გული ერჩოდათ შემოჭრილი მტრის გასანადგურებ-
ლად? გიორგაძეები, ცეცხლაძეები, ბოლქვაძეები... სწორედ ისინი წარუ-
ძღვნენ იარაღასხმულ ხალხს. ისტორიამ ბევრი ლამაზი და ბევრი სისხლია-
ნი ფურცელიც შემოგვინახა. მაგრამ ერთი ცხადია — სამასი წლის ბა-
ტონობამ ვერ იქნა და ვერ გადრიკა ჩვენი ხალხი, და დღეს პირველქარ-
თველობით, პირველისწმინდით თავს იწონებს ხუცუბანი. და მერე ვინ
შესძლო ამის გაკეთება? საიდან იღებდა ძალას თითქმის გაპარტახებული,
თურქთა მახვილითა და სარწმუნოებით წელგაღუნული მოსახლეობა?

იყო დრო, როცა პეტრის ციხე დაეცა. იქ გაბატონებულმა სერასკი-
რმა, გადამწყვეტი, სისხლისმღვრელი ბრძოლისათვის გამზადებულმა სა-
რდალმა, მოულოდნელად ტრაპიზონის ფაშასაგან დიდი ვეზირის ბრძანე-
ბა მიიღო — გურჯისტანთან ზავი დადევიო. მთავარმა ეს ზავი ხელსაყრე-
ლად მიაჩნია და დათანხმდა. მე ახლაც ჩამესმის თითქოს თეთროსანის
ზარების რეკვა, რომელიც ხალხს ამ სამწუხარო ამბავს აუწყებდა. მას
შემდეგ იმ ზარებს აღარ ეწერა რეკვა: ცეცხლმა და მახვილმა თავისი გა-
აკეთა — მიწასთან გაასწორა ეს შესანიშნავი ძეგლი, ჭართული მიწის, ჭა-
რთველი ხალხის დიდების სიმბოლო. მაგრამ სული რჩება თურქე. იმ დი-
დების ნაწილი წვეთ-წვეთობით, მარცვალ-მარცვალ გროვდებოდა და
ოქტომბრის ერთ მშვენიერ დღეს ერთ შესანიშნავ ძეგლიდ ჩამოიქნა.

და მეც, შესაძლოა ამან გამაბედინა მომეთხრო თქვენთვის ჩემს
სოფელზე, მის წარსულზე, მის დღევანდელ დღეზე.
„არავითარი სადაო არ არის ის ფაქტი, რომ აჭარის შშრომელი მუშაობები
ხობა ვერ დააღწევს თავს ძველი რეუიმის წყეულ მემკვიდრეობას ამჟამად და
ლატაკეს, თუ მან არ განავითარა ახალი საკოლმეურნეო კულტურა, თუ
სამუდამოდ არ აიღო ხელი მამა-პაპურ სახნისსა და გუთანზე, თუ არ გარ-
დაქმნა თავისი მეურნეობა ახალ გაუმჯობესებულ საფუძველზე“...

1928 წელი, გაზეთი „ფუხარა“

როცა შენობის აშენება უნდათ, პირველად საძირკველს ჩაუყრიან
ხოლმე. მტკიცე, გულდადებით ჩაყრილი საძირკვლის გარეშე ნაგები სა-
ხლი ოაც იქნება თქვენც იცით. ჩვენი სოფელი რომ ღონიერია და მაგრა-
და ფესვგადგმული, ეს ერთი ხელისდადებით არ ქნილა. პოდა მეც
სწორედ იმ ფესვზე უნდა მოგახსენოთ.

წინათ ტოვონიდან მოყოლებული თითქმის ყველა დაბლობ ფერდო-
ბებზე ჭვავს თესავდნენ, ღომსაც, მაგრამ ღიდი სარგებელი და წელში
გასასწორებელი მაინც არ ჰქონდა მისგან ხუცუბნელ გლეხს.

პოდა, სოფელში დაფუძნებული კაცი გაჭირვებიდან გამოსავალს
ეძებდა.

ახალ გზებს ეძებდა საბჭოთა ხელისუფლებაც. სწორედ ამან განაპი-
რობა მიწის ერთად დამმუშავებელი ამხანაგობაც.

ეს ამხანაგობა თერთმეტი კომლს აერთიანებდა.

ვინ იყვნენ ისინი?

გვარას, ხუცუბნის, აჭყვისთავისა და აჭის ულარიბესი გლეხები. მათ
საოცრად როულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, არ ჰქონდათ სათანა-
დო ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ბარე შიშველი ხელით
ებრძოდნენ მიწას და მიწაც ურჩიბდა, მაგრამ მიუხედავად ასეთი მკაცრი
პირობებისა, ქობულეთის რაიონში კოლექტიური შრომის ამ პირველ
მერცხალს მაინც არ ჩამოუყრია ფრთხი.

და ჩქარა, თითქმის ერთი წლის შემდეგ, კოლმეურნეობას უკვე ჰქონ-
და 27 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ოცდასამი ჰექტარი მრავალწლიანი ნარ-
გავები, ხოლო თერთმეტმა კომლმა შვიდჯერ იმრავლა.

გაჩნდა პირველი აღმინისტრაციული სახლი. აქ მოთავსდა კოლმეუ-
რნეობის კანცელარია, სურსათ-სანვაგისა და სამეურნეო იარაღების
საწყობი, სამკითხველო... აჭარის სასოფლო-სამეურნეო ბანქმა დახმარების
ხელი გაუწოდა კოლმეურნეობას.

ღარიბმა კაცმა იმედის თვალით გახედა მომავალს.

ხუცუბნის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მიწის საერთო წესით

დამამუშავებელ ამხანაგობას „საერთო შრომა“ ეწოდა. ამ ამხანაგობის
მემედალი ხაბაზი ჩაუდგა სათავეში.

რა შეიძლება ითქვას მემადალი ხაბაზზე?

ეს იყო არა მარტო ქობულეთში, არამედ მთელს აჭარაში აღიარებული პირველი თავმჯდომარე, პირველი სასოფლო არტელის ორგანიზატორი.

ბევრს ყვებიან მასზე.

ღროის უმკაცრეს საცერს ვერაფერი დაუკლია ხალხის მეხსიერებისათვის.

მანამდე, ვიდრე გლეხეაცი ერთ სასწორზე, თავისი ნაშრომის გვერდით დასდებდა მეზობლის ნაშრომს, სოფელში ათასნაირი ჯურის ნაძირალა აფათურებდა ხელს. ჰოდა, იმ ვითარებაში ასეთი ნაბიჯი ძალზე გაბედული და სარისკო იყო. და ცხადიცაა, ასეთი დიდი საქმის თავებიც მარტო მარითათოთ ვერას გააწყობდა, საჭირო იყო სხვა რამ — მორალური სიმტკიცე, ცხოვრების ცოდნა, რაც ყველაზე უმთავრესია — რწმენა. დიახ, მემედალი ხაბაზი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებსაც სწამდათ, ახალი ცხოვრება გაიმარჯვებდა. სწორედ მისი სახელით იხსნება ხუცუნის კოლმეურნეობის ისტორიის პირველი ფურცელი.

იგი ტიპიური, ნამდვილი თავმჯდომარე იყო, — ამბობენ ხოლმე მასზე. ჩემს ყმაწვილეაცობაში ბევრჯერ გამიგონია ეს სიტყვები. ჩემთვის მაშინ გაუგებარი იყო ამ სიტყვების დედააზრი. ვცდილობდი როგორმე ამესნა ისინი, ღრმად ჩავწერდომოდი. სხვა მხრივ ნუ ჩამომართმევთ, ჩემთვის კი მართლაც საინტერესო იყო, საიდან იღებდა სათავეს ეს „ნამდვილი, ტიპიური“... ჩემი თაობის ადამიანისათვის, რომელიც ორი ომის შუალედში, პირველი და მეორე მსოფლიო ომების შუალედში დაღვა ცხოვრების ზღურბლზე, ასე თუ ისე მაინც გასაგებია იმ თავკაცთა სულიერი სამყარო, მაგრამ ამ თაობისათვის? იმ თაობისათვის, რომელმაც დიდი სამამულო ომის შემდეგ დაიწყო ანბანის სწავლა? მე მგონია, მათვის ძნელად წარმოსადგენია საკოლმეურნეო არტელის ფორმირების პირველი პერიოდი. ახლა, იმ საკოლმეურნეო არტელის, ასე თუ შეიძლება ითქვას, ოფიცერთა შემადგენლობის ნაბიჯები ბევრს იქნებ პრიმიტიულადაც მოეჩვენოს. მაგრამ დღევანდელი კოლმეურნეობა, დღვანდელი სოფელი იმ წარსულითაც ამაყობს. ის, რაც დღესდღეობით საკოლმეურნეო შრომის სასწაულად ითვლება, სწორედ იმ შორეულ წლებში ჩაყრილ ნერგთა ფესვებზეა დამყნილი.

დღევანდელ სოფელს რომ მცოდნე, საკოლმეურნეო საქმეში ყოველ-მხრივ ჩახედული კაცი სჭირდება, ეს საყოველთაოდ აღიარებული ჰეშმარტებაა. მაგრამ მაშინ? მაშინ კმაროდა ყოველივე ეს პირველი არტელის სადაცების ხელში ასაღებად?

სოფელს ახსოვს:

დარჩა ხოჭა თავისთავთან მარტო. შეიღრინა ხოჭამ, აღარაა საჭელი,
კომუნისტებმა მოწამლეს უველაფერი. ეს მემედალი ხაბაზი პირითამცი
საოცარი ენერგიისა, დღედაღამ სოფელში ტრიალებს, ხალხს უკუნიშის და
ახალ ცხოვრებას ვაშენებთო, ჰით! — ხოჭა თავისი დაგვაჭული ფეხებით
მივიდა სარკმელთან. ჯამე! რაღაა ის ჯამე, საღაც ჯამათი ოღარ დადის,
რომელმაც მორწმუნები დაპეარგა! საღაც ოღარავითარი სარფი აღარაა...
ქალებიც გადაირივნენ. ჩაღრი უნდა ჩამოვიხსნათო. მზე უნდა დავინახო-
თო, ესეც წყეული კოლექტივის ბრალია, ფიქრობს ხოჭა. — მემედა-
ლის ბრალია.

ათას ცხრას ოცდათი წელი იდგა.

ძლიერად, მომეტებულად ანათებდა მზე.

სწორედ ასეთი მზე უყვარს ხეხილს, მიწას, ქვას, ბალახს, ახალგაშე-
ნებულ ციტრუსოვანთა პლანტაციებს. სწორედ ასეთი მზე უყვარს იმ ადა-
შიანებსაც, თეთროსნის სანახებში ჩაის პლანტაციებს რომ ბარავენ ახლა!

უველაფერი იცინის. ბრწყინავს.

სწორედ ეს უკლავს ხოჭას გულს. მემედალი ხაბაზის ცხენის ფლო-
კების ხმა უმღვრევს სულს.

წინათ სულ ეგონა — კოლექტივი დიდხანს ვერ გაძლებს, წვირეთი
დატურსულმა ფეხბურდღა გლეხმა რა ქვეყანა უნდა ააშენოს.

ამაზე იცინდა კიდეც, მაგრამ ორი წელიც არ გასულა და გუნება
წაუხდა. ჭამის მაღაც წაუხდა.

მიხვდა — წვირეთი დატურსულ ხალხს არავითარი შავი ზრახვა არ
ჰქონია გულში. ეს ხალხი შრომობს და საკუთარ სიცოცხლეს დაუზა-
რელი გარჯით აუმჯობესებს. ეს ხალხი თავის შრომას და ცხოვრებას სხვას
უკავშირებს და ერთიანი მიზნის გასამარჯვებლად იბრძვის. ამ ხალხშა უ-
რყო ჯამე, უარყო ყურანი, ხოჭას მუდერისობა. და სამლოცველო, საღაც
ტევა არ იყო წინათ, ცარიელი, უკაცური დარჩა.

სოფელი კი განაგრძობდა ცხოვრებას.

იყო რეკრაუი. მთებსა და ხეობებს სიბნელე არ შემოეძროთ, სოფელ-
ში კი კოლექტივის ზარი აწერიალდა. ეს ხმა მიარღვევდა მდუმარებით გა-
ტრუნულ სივრცეს, იჭრებოდა შუკებში, ეზოებში, სახლებში, აღვიძებდა,
მზის შესაგებებლად მოუწოდებდა ყველას. მაგრამ ძალიან ადრე იყო.

ვინ რეკავდა ზარს?

რამ აიძულა სოფელი ასე ადრიანა წამოეყარა ზეზე?

განთიადს ხომ ჯერ კიდევ ხეირიანად ვერც მოეკიდებინა ფეხი!

მორბოდა ხალხი.

ისმოდა გაქვირვებული წამოძახილი.

რეკდა ზარი.

ზარიანობის უაში იყო. ეშინოდა ყველას.

— რა ამბავია, ხალხო, რა ხდება ჩვენს თავს? — იკითხა რეკებ მეგრელიძემ.

მის გვერდით მისი ძმა ისმაილი იდგა. ისმაილს მისი მეზობელი სულეიმანი მოსდევდა, სულეიმანს ახმედ მესხიძე... ასე გაწევაპულნი და დარაზმულნი მიადგნენ კოლმეურნეობის კანტორის შენობას. მოვარდა მემედალი ხაბაზიც. სულს ძლივს ითქვამდა, შეშფოთებული ჩანდა, თანასოფლელთა სახეზე ცდილობდა აღრიანი ზარის მიხეზის ამოკითხვას.

კოლმეურნეობის შენობასთან ერთიანად გაბაღრული მურადი იდგა.

— რა გაკრიჭებს, ბიჭო! — შესძახეს სოფლელებმა. — შენ რეკდი ზარს?

— აბა, ვინ დარეკდა?

აირია ხალხი. აზრიალდა.

— ხაშარი მიაყოლეთ მაგას, ხაშარი! დახე, რა აღრიანა წამოგვყარა?! გვაბეჭებ ბიჭო!

— რატომ? — იკითხა ჭაბუქმა.

და მართალი იყო, რა თქმა უნდა, თავისებურად მართალი. მანამდე მას მთელი სოფელი ზარმაცს ეძახდა. ჩიტირეკიასა და ვარსკვლავებზე შეღიმებულს ეძახდა. რავარც თხმელის ღოჯე ვაშლს არ გამოისხამს, ისე მაგისგანაც კაცი არ დადგებაო. მემედალიმ კი სხვა თვალით შეხედა. სოფლის მეზარედ დანიშნა. აღრე ადგომას მაინც ისწავლიო, ჰოდა შერცხვა ჭაბუქს. სხვაზე ნაკლები რითა ვარო. გულში ჩაიხვია — ერთგულებითა და სიყვარულით ესიამოვნებინა, როგორც მემედალისათვის, ისე კოლექტივის სხვა წევრებისათვისაც.

გადამეტებულად კი გამოუვიდა. დილის ხუთ საათზე წამოხტა და მთელი კოლექტივი ფეხზე დააყენა.

ასე ფიქრობდა: „რაც ადრე შეუდგებიან მუშაობას, მით უფრო მეტს გათოხნიან. აღარ დაჩაგრავს პლანტაციებს სარეველა ბალახი, ჩაიც მომძლავრდება.“

სოფლელებს კი ცუდი ამბავი ეგონათ, აღელვებულნი, აქოშინებულნი მირბოდნენ. მაგრამ როცა ჭაბუქი მეზარე შერჩათ და მისი გალიმებული სახე დაინახეს, დამშვიდდნენ.

— რახან ავდექით, შინებს ხომ არ მივუბრუნდებით, საჭმეს შეცუდეთო.

მემედალიმ ეშმაკურად გადახედა მურადს. მერე მხარზე  ჟერანტის ფრთხოება

დაიცვნენ ბრიგადებად.

ხალისი და გულითადობა გამეფდა.

ენაზე სულ იშკილბაზი მურადი ეკერათ.

უხაროდათ, რომ მათი ნაშრომი უკვე ნაყოფს იღებდა, ბარე ოცდაათ ჰექტარზე ჩაის პლანტაცია გადაიშალა. ამ პლანტაციის მოსაცლელად ქმბულეთიდან ხშირად ამოდიოდა აგრონომი. ეს აგრონომი მათ დიდ დახმარებას უწევდა. მიდიოდნენ სოფლელები სამუშაოზე და მილაპარაკობდნენ:

— ჩაი მართლაც კარგი დადგა წელს, პირდაპირ ნანატრია!

— ჩაი ხომ კაი და კაია, მარა თვითონაც კაი ბიჭები გამოდგნენ. ისთვე შეაკლეს თავი, ისთვე ეიტანეს გაჭირვება, თითქოს რაიმე... რავა გითხრა... არ ვიცი...

სოფლის ორლობეებში დილაბნელი დააბოტებდა, მიდიოდნენ კოლმეურნეობის წევრები, მიხალისობდნენ.

— გაიგეთ, მთავრობას ახალი მიწები გამოუყვია, დათესეთ და მოსავალი მოიყვანეთო. კოლექტივი გააძლიერეთო, მტერს თვალები დაუსე-თო... აბაა!

— ჯერ სადა ხართ, აწი რაცხა ტრაქტორი ყოფილა, იმას ჩამოვიყვანით. საქონელი აღარ დაგვჭირდება, თვითონ მოხნავს, თვითონ დაფარცხავს და დათესავს თურმე...

— კაი, კაცო, ნუ გადამრიე...

იმ დღეს მემედალი ჩაის ფართობებს გასცემეროდა. ნათლად ხედავდა, რომ ყოველი კოლმეურნე გულწრფელად დასტრიალებდა თავს ნაამა-გარს.

წამით ჩაფიქრდა.

რა გაახსენდა, ან რა ფიქრმა გაჭკრა სოფლის თავკაცს? ამ ადამიანთაგან ბევრნი იყვნენ ისეთები, რომლებმაც თავდაპირველად შორს დაიჭირეს თავი, ამრეზილად შეხედეს კოლექტივის საქმეს. ყოყმანობდნენ, მერყეობდნენ. იყვნენ ისეთებიც, უკვე კოლმეურნეობაში შემოსულნი, უკან გაბრუნებას აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ საქმე სხვანაირად დატრიალდა... და ეს ყველაფერი დიღი მონდომებისა და ენთუზიაზმის წყალობა იყო. აღარავინ ფიქრობდა კოლმეურნეობიდან გასვლას. პირიქით.

მას ესმის:

— ბუდა, რას მიყურებ ეგრე დაჟინებით, მტერი კი არა ვარ... მეც მარ-
ტინერესებს საქვეყნო საქმე... მე უკვე განცხადებაც შევიტანე, კოლუმბიაზე /
წევრი ვხდები.

ისრაელი
გიგანტები

დუმილი.

მერე უცებ:

— კაი დროსაა შენმა მზემ...

— კაცს თუ შრომა უნდა, გვიანი არასოდეს არაა...

. — ეგ კი მართალია, — ბუხუნებს ბანი.

სწორედ ეს ახარებდა მემედალის.

— მარჯვეთ, ბიჭებო, მარჯვეთ!.. გაზაფხულზე ჩაის ფოთოლი უნდა
მოვკრიტოთ. პირველი ფოთოლი! — ოცნებაში ეფლობოდა არტელის
თავმჯდომარე.

იცელებოდა სარეველა.

ჰუპ, ჰუპ, ჰუპ! — ხმაურობდა თოხი.

პრიგადები წინ მიიწევდნენ. რიგებს შორის კვალი ჩნდებოდა.

სალამოსათვის სახეიმო კრება იყო დანიშნული. უნდა გაეხსნათ სამკი-
თხველო და კოლმეურნეობაში ახალი წევრები მიეღოთ, დარჩენილი გა-
საონხნი რაც შეიძლება ადრე უნდა მოეთავებინათ. წასულიყვნენ შინ,
დაესვენათ და კანტორასთან შეკრებილიყვნენ. თოხის პირი მზეზე პრია-
ლებდა. ილეწებოდა შემოდგომის ისედაც შეტრუსული ბალახი. შიგადაშიგ
გაისმოდა ნადური. მზე შუბისტარს რომ გადასცდა, თოხნას ამთავრებდ-
ნენ, ცოტადა იყო დარჩენილი, ამ ბოლო ნარჩენს ყველამ ერთობლივად
შეუტია. პრიგადები ერთმანეთში შეჯიბრებული იყვნენ — ვინც პირვე-
ლი დაყრიდა თოხს, გამარჯვებულიც ის იყო, კოლმეურნეობის წითელი
დორშა მას ერგებოდა. სწორედ ეს შეჯიბრი ახარებდა მემედალის. შორს
იხედებოდა. სოფლის სინდისი იყო, სოფლის მაგივრად აგებდა პასუხს.

არ დასცალდა.

შემოდგომაზე, როცა თხემებზე დაბჯენილი ღრუბლები მრუმედ
ლებავდნენ ნარინჯის ბალებს, მემედალი სახლიდან გამოვიდა. ჭიშკრის
მარგილზე ცხენი ება. პატრონის დანახვისას ცხენმა უცნაურად დაიხვი-
ხვინა, მიწას ტორი დაჰკრა. მემედალის გაეღიმა. ცხენს ქოჩორი აუწეშა,
ბეჭებზე ხელი დაარტყა.

— საით გაგიწევია? — მიაძახა უკვე ცხენზე შემჯდარს მეზობელმა.

— ქობულეთს, სალამომდე ვერ ამოვალ, საქმე მაქვს...

ცხენმა იგრძნო, პატრონმა ფერდში ქუსლი მკრაო, მარდად დატრი-



ალდა, თითქოს საზეიმო წრეს აკეთებდა და წინ გიყვრა.

— ჰაი, შე ცუღლუტო! — შესძახა მემედალიმ და სადავე დაუკუთხავა
ივრძნო — ცხენი არ ემორჩილებოდა.

არ ემორჩილებოდა ახალი ცხოვრების კანონებს საბჭოთა ხელისუ-
ფლების მტერიც. ხუცუბნელთა ახალი, საშვილიშვილო საქმე და შრო-
მითი იერიშები მოსვენებას უკარგავდა მას. სოფლის ნაძირალები თუ
თავდაპირველად მარტო დაცინვით კმაყოფილდებოდნენ, ფიქრობდნენ,
ყუჯარათა ამხანაგობა ხუხულასვით ჩაიფუშებათ, ახლა უკვე მრისხანე-
ბისა და ბოლმის ჭია სულს უთანალრავდათ.

მემედალი კი უკვე მეცუთე წელიწადი იყო არტელს ედგა სათავეში.
ოოხი წელიწადია ჰყავდა ეს ცხენი. მიაჭინებდა ცხენს. ატკბობდა გარემო,
გზა, ხეხილი, გზაზე მოთამაშე ბალები. მანდარინს კარგი პირი უჩანს,
— ფიქრობდა თავისითვის, — აივება წელს ოჯახები.

სოფელი გათავდა.

კორაკთან ცხენმა ისევ ურჩად გაიწია. წინა ფეხებით მიწა დატორა,
კისერი მოიღერა. „რა მოუვიდა, — ფიქრობდა მემედალი, — რას ხიზ-
მუზიანობს?“

ვიღაც ცხენოსანმა გამოიარა. ოთხით მოაჭინებდა. პირდაპირ მისკენ
მოაჭინებდა. მემედალიმ ისევ დაუჭირა ცხენს სადავე. ცხენი გაიტრუნა.
უცნობმა კი სალამი არ უთქვას, ისე ჩაუქროლა.

„ალბათ, რომელიმე მეურნეობის მუშაკი იქნება,“ — გაუელვა.

რაზე ფიქრობდა იგი იმ მოუამულ დილას?

ახალგაზრდა იყო მაგრამ ცხოვრების დიდი გამოცდილება ჰქონდა.
ჯერ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მსახურობდა, ბევრ კონტრა-
ბანდისტსა და მტრულ ელემენტს მოუღო ბოლო. ყველგან, სადაც
იგი მუშაობდა, ერთი სურვილი ამოძრავებდა — რაც შეიძლება ჩქარა-
ენახა სამშობლო ყოველმხრივ ბეღიერი, უშფოთველი.

წინ ისევ გამოჩნდა უცნობი. გახუნებული ფარავა ეცვა. უდარდელი
გამომეტყველება ჰქონდა. ათიოდე ნაბიჯილა რომ დარჩა მათ შოტის, —
სალამი, ეფენდი! — თქვა უცნობმა.

— გაგიმარჯოს.

— მემედალი ბრძანდებით?

გულმა რაღაც ცუდი უაზრა.

— არა, ბატონო, მისი მეგობარი ვარ. გნებავდათ რამე?



-- მემედალის ცხენი მინახავს. ეს ცხენი მისი უნდა ყოს.

— ცხენის თხოვება განა არ შეიძლება? — მოემზადა მემეჭურული კორთეა.

— უფდი არ ითქმოთ, — გაიღიმა უცნობმა, — უბრალოდ ვიკითხე.

— რომელი სოფლიდანა ხარ? სადღაც მინახისარ თითქოს... — დაიწყო მემედალიმ მაგრამ მოულოდნელად ზურგიდან სროლის ხმა შემოესმა. არ მობრუნებულა. ცხენი შეკრთა. შეკრთა მემედალიც. რევოლვერზე იქრა ხელი. გვიანდა იყო. ხელი აღარ დამორჩილდა. მოწყვეტით ჩამოუვარდა. თვალებში წითელი რგოლები დაუტრიალდა, გადაიწია და ნელ-ნელა ჩამოცურდა უნაგირიდან.

ამბობენ, როცა სროლის აღგილას სოფლელები მოცვივლენ, მემედალი გაშეშებული იწვა ბალაზე. ცხენი შორს იყო, თითქოს ამ საზარი ამბის შესატყობინებლად გაჭრილიყო სოფლისაკენ. მემედალის ღია თვალებშიც ცა ჩანდა. გულში კი ორი ცხელი ტყვია მოხვედროდა.

და რამდენი ტყვია იჯო ჭრდევ გამზადებული ჩვენი სახელვანი ადამიანებისათვის, ვინ იცის, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ მტრებს. არც ისე ადვილი იყო დიდი საქმისათვის თავგადაღებულ აღამიანთა მოსპობა. მათ ადგილს უნდა სხვები იჟერდენ.

სწორედ აძახე მოგახსენეთ, ფრსვი, რაზედაც ჩვენი საკოლმეურნეო წყობაა დამყნილი, მაგარია და შეურყეველი.

ახლა ისევ გაზაფხულია.

ისევ მზეა.

კანტორის მეორე სარაულიდან გავყურებ ამწვანებულ მთებს და მემედალი ხაბაზს ვიგონებ. ყვავის მიმოზა, იისფრად იშმუშნება იასამანი, კოლმეურნეობის კანტორის კიბის სილაგირს რომ მოხვევია.

ხმაურობს მოწია.

ხმაურობს ბუნება.

რა უცნაურია — ამ წარმტაც მხერეს, რომელსაც აჭარა ჰქვია და იო-მლის სოფლებაც საკუუნების მანძილზე ეძინათ ღრმა ძილით — უბრალო ადამიანებმა საოცარი სიცოცხლე მიანიჭეს.

გაეღვიძა ქვეყანას...

გაეღვიძა, როგორც ელგიძება გაზაფხულს — ასე ძალუმად, მზანანდ ღლეს სიმინდის მაგიერ ჩინ მოჰყავს.

ზღმარტლისა და ლელვის მავიერ მანდარინი და ტუნგი...

სადღაა ღობი და ჭვავი!
ადამიანმა მიწის კიოხვა ისწავლა.
მიწა კი მართლაც რომ ბარაქიანია.
ოლონდ იშრომე, ოლონდ შოანდომე.
შრომა ქმნის ბედნიერ კეოგრებას.
მაგრამ იმ დროს...
თუმცა ამაზე სხვა დროს გიამბობთ...

ს ი მ ღ მ ა რ ბ

რამდენი ვერაგი,
 რამდენი მაცდური
 გვეკვეთა!
 ვერ შეძლეს
 ხერთვისის,
 თმოგვის და
 აწყურის
 შეკვეთა.
 ...და მერე მზის კიდე
 შეგარსა ყორნის ფრთამ,
 ღიანისა, —
 გადასწევდა შავ ღრუბლებს,
 მიწა, ცა დაფარა,
 ღანისლა.
 მოსკვდა მზიანეთს
 შავი ზღვა თავზარით
 ბათომთან! —
 შეგვიდრეა სიამე,
 სიმაგრეთ ზანზარი
 გაპქონდათ...
 ბარბაროსთ მრავლობამ
 წალეკა მამაცთა

მხედრობა
 და მაშინ დასრულდა
 ციხეთა სიძველე,
 მედგრობა.
 სერავდა დას-დასად
 ცას ცეცხლის მძვინვარე
 ენები,
 ღააჭრეს ვაზსა და
 მესხთ სისხლის მხურვალე
 ვენები!
 სულს ლევდა, ლამობდა...
 დაიწვა, დაიქცა
 ბევრჯერა.
 ბოლოს კვლავ წამოდგა, —
 სიკვდილი არასდროს
 ეწერა.
 ახლა მზეს მივყვები, —
 ის აურზაური...
 დაფერფლდა...
 კვლავ მესმის სიტყვები,
 სიმღერა, ხმაური
 ქართველთა.



ჩივათ ართმედაცა

პოლკოვნიკი, აქარის ასსრ
სამხედრო კომისარი

როცა კალამი ხიშტს გაუტოლდა

წერილის ავტორი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მონაწილეა. იგი წლების მანძილზე აგროვებდა მასალებს მებრძოლებზე, რომელმაც თავდადებით და მამცობით გაითქვეს სახელი, განადიდეს მშობელი კუთხის — აჭარის, მთელი ქართველი ხალხის სახელმისამართის ტრადიციები. ამ მასალების საფუძველზე მან დაწერა წიგნი, რომლის ერთ თავს ვთავაზობთ „ჭოროხის“ მყითხველებს.

აჭარის მწერლებმა სამამულო ომის პირველივე დღეებიდან თავიანთი ბასრი იარაღი — კალამი ფაშიზმზე გამარჯვებისათვის მომართეს.

არ შეიძლება ღირსეული დღიილი არ მივაკუთვნოთ და შესაფერისად არ შევაფასოთ მხატვრული სიტყვის როლი იმ დიდ საყოველთაო სახალხო ბრძოლაში.

ქართული ლექსი, მოთხრობა თუ ნარკვევი, რომელშიც მაღალი პატრიოტული გრძელობით, შეტანისადმი უსაზღვრო სიძულვილით და საბჭოთა ხალხის სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენით იყო ასახული ფრონტისა და ზურგის ცხოვრება, ძლიერებდა ჩვენი მეომრების საბრძოლო ნებისყოფას, მორალურ-პოლიტიკურ სიმტკიცეს, უნერგავდა გაბედულებას, სამშობლოსადმი სიყვარულსა და თავდადებას.

ომის დროს აჭარის პრესა, რაღიც თითქმის ყოველდღიურად ქვეყნების ფრონტიდან გამოგზავნილ გუ აქ დაწერილ ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს.

ზოგიერთი გაშინდელი ლექსი საყოველთაოდ ცნობილი გახდა და სიმღერადაც ქცია ხალხში.

დიდი სამარტლო ომის დღეებში, როცა მუშა თუ გლეხი, ჭირით ინუინერი, ლედი თუ პატარა, ერთ მიზანს ემსახურებოდა, დღედასამშობლო ჩიხაისფერი ჭირისეგან, საბჭოთა მწერლიქშევათვალი მაღალი მოქალაქეობრივი სტუკა აქვა. სწორედ ომის მრისხანე დღეებში დაიწერა რამანები და მოსტომები, პოემები და ლექსები, რომლებაც გამოხატავდნენ ხალხის მხურვალე პატრიოტიზმს, უდრევ ნებისყოფას და მტკიცე რწმენას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უშიშარ პრძოლაში.

ცეცხლის ხაზზე იდგა ქართული ლიტერატურაც. რომელშიც მეზნებარედ გაისმოდა ცხარის ცწერლების ხია. ეს ხმა იღწევდა სანგრებში, ძელ-მიწურებში და ჯარისკაცს მტერზე გამარჯვების საბრძოლო ენერგიის უათკიცებდა, შინდარჩენილებს გმირული შრომისენ მოუწოდებდა. ასეთი იყო წესტორ მალაზონის და პარმენ ლორის, შალვა იოსელიანის და მამია გარშანიძის, პარმენ რურუს და ნანა გვარიშვილის, შალვა შუბლაძის და ფრადონ ხალვაშვის, კაპეტონ რუსიძის და ვორრვი სალუქვაძის ლექსეპა, მოთხოვნები. რამანები.

ლექსის სტრიქონები იწერებოდა ქვემეხების გრიალში, ფრონტის ხაზზე, სანგარშა. იწერებოდა სისხლით, როვორც ფიცი ერთგულებისა და ვაჟკაცობისა. შალვა იასელიანისა და მამია გარშანიძის იმდროინდელ ბევრ ლექს აწერია „მოქმედი არმია“. შალვამ ლექსი, პოეტური ხმა, სიცოცხლე სამშობლოს გამარჯვებას შესწირა. იგი ჯერ კიდევ სამამულო ომამდე წერდა:

სამშობლო მიწავ, მზე შინ, მზე გარეთ
აგნოებია და გმოსავს ვარდობა.
შენ შემოგვევლს ჩემი მგზნებარე
და ვაჟკაცური ახალგაზრდობა.

ეს, შეიძლება ითვას, ერთგვარი წინათგრძნობაცაა, ღალადისია სამშობლოს უდიდესი სიყვარულისა, რომელიც პოეტმა შემდგომ საქმითაც დამტკიცა. მისი დაწყებისთვისვე იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მისთვის არ არსებობს რავითარი შიში და უკანდახევა. ლექსში „ჩემო მიწავ“ იგი წერს:

მამულის ტრფობით ამევსო გული
და თითქოს სუნთქვა გრიგალად იქცა,
შენ დიდებით ვარ ანთებული,
შენ შემოგველე, მშობელო მიწავ.
ბავშვობის ღლილი კალდაცვალ მდევდა
გვირობის ცეცხლი ჩაუქრობელი,
ჩემს ვაჟკაცობას მოსწრო დედა,
მამულისათვის მზრდიდა მშობელი,
და მეც მოვდივარ, მტერო ტიალო,

მოვლივარ რისხეით, ვით ქარიშხალი,
რომ შენს გულდეიძლში დავატრიალო
ჰავაძის და ერეკლეს ხმალი.



რაოდენ შეზნებარედ, რა დიდი სიყვარულით ნათქვამია! უფრო მცირებული
კი იგი წერდა:

თუ დაგვირდეს, მაინც ვინძლო, —
და მოადგეს მტერი კარებს,
ჩემო დედავ, ჩემო ღვიძლო,
ჩემი შეერდიც გადიფარე.

(„სიმღერა სამშობლოზე“)

მრავალ ფეროვანია შალვა იოსელიანის ომისდროინდელი ლექსები,
მიზანი კა ესთი — თუ საჭიროა, სამშობლოს შეეწიროს. იგი ამაყობს თა-
ვისა ძმითაც, რომელიც ჩრდილის ერკინვება:

ბიჭ, მომინდა ჩემი ხმა გამცნო,
აულით მომინდა, შენს ძმობას ვფაცავ.
შენ გნაცვალო, ჩვენო ვაჟაცო,
შეერდით რომ იცავ სამშობლო მიწას.

(„ძმას“).

ქართველი დედის თავდადება სამშობლოსათვის ოდითგანვეა ცნობი-
ლი. ამ თემაზე დაწერილია უამრავი ლექსითუ მოთხოვა. შალვა იოსე-
ლიანი ახერხებდა ეს გრძელია გამოხეხატა საყუთარი პოეტური ხმით, ახლო-
ბურედ. ლექსში „დედის მოწოდება“ იგი ამბობს:

ვზან გილოცავ... რაც გითხარი,
შენ გამიგებ ილბათ თვალ,
მე გაგზარდე, მე გაგზავნი
მშობელ მიწის დასაცავად.

ვაჟაცავი ცუ იგი ლექსში და ასეთივე დარჩა ცხოვრებაშიც. როცა
დღეს იოსელიანის ლექსებს თვალს გადავლებ, გჩერა მისი ილალად ჩათ-
ქვამი სიტყვებისა. და სწორედ ეს არის მისი პოეზიის ძალა, რომ ლექსის
არც ერთი სტრიქონი ყალბი არ არის.

ფრონტიდან დაბრუნებული ახალგაზრდა პოეტმა მამია ვარშანიძემ
1946 წელს გამოსცა ლექსების კრებული „მებრძოლის სიმღერები“. ეს
ლექსები უშულოდ განცდილი, დანახული, საყუთარ პოეტურ სამყარო-
შია გადადულებული და ერთგვარი ანგარიშიცაა ომის წლებში მისი შემოქ-
მედებითი ჟუშაობისა, თავაოეულ სტრიქონში გამოსჭვივის გულწრფელი
პატრიოტიზმი და მაღალი ლირიზმი. პოეტისათვის დამახასიათებელია
ღრმა ინტერნაციონალიზმი. ეს გასაცემაა, — სამამულო ომის ქარცეცხ-
ლიან დღეებში პოეტი იბრძოდა რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების,
ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს შვილების გვერდით და მის ლექსებ-

საც წითელ ზოლივით გასდევს სიმღერა მეგობრობაზე, დიდი საბჭოთა ქვეყნის მძღვრო ოჯახზე.

კრებულში უდაოდ ერთ-ერთი საინტერესო ლექსია „კოჭლიაზუღუდული ლირიკული გმირი სამშობლოს დამცველთა რიგებში არ გაიწვრეს, უკარგრებული „ის კოჭლია და დაიწუნეს“.

დამტოვეს მარტოდ, უკვე მიღიან
და სინახული დარჩია სახაეროდ.
მომიგონებენ, ალბათ იტყვიან:
სახლში საწყალი კოჭლი დარჩიაო.

მაგრამ იგი გულს როდი იტეხს, სწამს, რომ აქაც საჭიროა, აქაც, ზურგშიც სჭირდება მისი ხელი სამშობლოს მტერზე გამარჯვებისათვის. ამ ლექსში ყურადღებია არა ის, რომ კოჭლი შინ რჩება, არამედ ის საერთო პათოსი, რომელიც თითოეული საბჭოთა ადამიანის მგზებარე გულში ღვივოდა დიადი სამშობლოს დასაცავად. როგორ დარჩეს იგი შინ, როცა გველა ფრონტზე მიდის. და შართლაც ეს ხომ საბჭოური სინამდვილეა.

მამია კარშანიძის ლექსის სტრიქონები, ეს იქნება მტერთან შერვინება, სატრაფოსთან გამოთხვევება თუ საყვარელი მშობლისა და კუთხის. მოგონება, ისე მძღვრადა განცდილი, რომ არ შეიძლება არ შენიშვნ შებრძოლის გვლის მღელვარება. მისი ყოველი სტრიქონი ქვემეხის გავარდნას გვაგლნებს — იგი გვიძყრობს და ცეცხლს გვიყიდებს. პოეტი იარაღით, კალმით იბრძოდა, მთელი ნებნებარებით უმღეროდა სამშობლოს დოდებას, გმირობასა და ვაჟკაცობას.

კითხულობ მის თეჟაზე დაწერილ მამია კარშანიძის ლექსებს და გრძნობ, თუ რაოდენ ძვირფასია პოეტისათვის სამშობლო. იგი არ იშურებს სიცოცხლესაც კი სამშობლოს სადიდებლად.

ასი ტყვია მომხვდეს თუნდა,
ტანკებითაც გადამთელონ.
ეს სიცოცხლე ჰალალ იყოს
ჩემი ქვეყნის სასახლოდ.

ასე წერდა 1942 წელს ყაბარდოს ველზე მებრძოლი პოეტი.

დიდი ბუშაობა გააჩაღეს ზურგში დარჩენილმა პოეტებმა და მწერლებმა. ისინი საბჭოთა ადამიანებს მოუწოდებლნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად და მთელ თვითანთ ნიჭესა და ენერგიას ახმარდნენ ამ დიად საქმეს. 1941 წლის შემოდგომაზე საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განცოდილებამ მოამზადა და გამოსცა კრებული „ბრძოლა გამარჯვებამდე“, ხოლო იმავე წლის ბოლოს გამოსცა მეორე კრებული „სისხლი სისხლის წილ“. ორივე ამ კრებულში იგრძნობა იმ დროის საბჭოთა პოეზიის მთავარი ტენდენცია — კონკრეტულად. ჩელიისტურად აესახა საბჭოთა ადამიანის შეუპოვარი ბრძოლა, შემოქმედე-

ბიოს შრომა. ყურადღებას იპყრობს პარმენ რურუას, კაპიტონ ჭავჭავაძეს, ნანა გვარიშვალის, შალვა შექლაძის, გიორგი სალუქვაძის ლექსევი ჭავჭავაძე ურუაზული შემართებითა და მხატვრული ლირსებებით.

მეორე კურადღლში დაიბეჭდდა პარმენ ლორიას ვრცელი მოთხოვა „სისხლი სისხლის წილ!“ იგი გაშლილია ომის დრამატული მოვლენების ფონზე. პატარა კატიას და მის დაძმებს ტკბილი და უდარდელი ბავშვობა ომში წარმოადგა. სოფელს გერმანელი ფაშისტები შემოესივნენ და დაუნდობლად გაანადგურეს. დაიღუპენ კატიას დედა და ორი წლის და რაია. ტყეში უპატრონოდ დარჩესილ ბავშვებს ბევრი ხიფათი გადახდათ. ბოლოს ისინი პატიზანებმა იჩსნეს. ბავშვებმა მტრის ზურგში რამდენიმე დღე გაატაცეს, რამაც აღრულად მოამწიფა, სულიერად დავვაუკაცა იქნი. მწერალი ამ მოვლენას მხატვრული სიმართლით გვიხატავს და გვჯერა, რომ პატარა კატია და მისი ძმები მტერზე შურს იძიებენ.

პარმენ ლორიამ ომის წლებში გამოაქვეყნა აგრეთვე რამდენიმე მოთხოვა: „შეხვედრა“, „დაბრუნებული“, ცალკე წიგნად გამოვიდა კრებული „ფრონტზე და ზურგში“.

1942 წელს აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა კრებული „ველაფერი ფრონტისათვის“. აქ თავმოყრილია აჭარაში მომუშავე მწერლების ომზე დაწერილი ნაწარმოებები. მომდევნო წელს ქართულ ენაზე გამოვიდა კიდევ ერთი კრებული „ჩვენ გავიმარჯვებთ“. ამ კრებულში ნაჩვენებია ის ძირეული გარდატეხა, რაც ფრონტზე მოხდა იმ წლებში. იგრძნობა გამარჯვების ღრმა რწმენა. მკითხველს გულზე ხვდება მართალი, მგზნებარე სიტყვა.

მოხის დროს გამოჩნდა ბევრი ახალგაზრდა პოეტი თუ პროზაიკოსი. მათ მოიტანეს ახალგაზრდული ხმა ლიტერატურაში და წარმატებებიც მოიპოვეს. ესენი იყვნენ პოეტები ნანა გვარიშვილი, გიორგი სალუქვაძე, ფრიდონ ხალვაში და სხვები.

ვის არ მოუსმენია და არ მოუხიბლავს სიმღერას ისრაფილ ჭინჭარაძეზე. ეს სიმღერა შეიქმნა იმ დროს სრულიად ახალგაზრდა პოეტის ფრიდონ ხალვაშის ლექსზე. 1944 წლის ოებერვალში აჭარის მკვიდრს, უმცროს ლეიტენანტ ისრაფილ ჭინჭარაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. სწორედ ეს ფაქტი გამოხატა თავის ლექსში ახალგაზრდა და პოეტმა. ამ ლექსის ლირსებაა ფართო მოქალაქეობრივი უღერადობა, მასში ნაჩვენებია გმირის მშობელი კუთხის მკვიდრთა ფიქრები და გრძნობები, მშობელი დედის ძანილი.

იქნებ გრიგოლში გესმოდა
 მშობელი დედის ძახილი:
 „მტერს დაუბნელე სიცოცხლი,
 ხმალი არ გქონდეს დახრილი“.
 გზრდიდა ზურმუხტის მთა-ველი,
 ჩვენი შავი ზღვის ნიავი,
 სწავლას ფიქრობდი ყოველოვის,
 სწავლას ფიქრობდი მძინარიც,
 ბოლოს ასრულდა ოცნება, —
 გახდი საბჭოთა მფრინავი.

საყოველთაოდ ცნობილია თუ რა დიდი გატაცება იქვს ახალგაზრდას გახდეს მფრინავი, გეოლოგი, ინჟინერი, ექიმი. ამიტომაც, ეს სტრიქონები, რომლებიც თითქოს მიმართულია კონკრეტულად ერთისადმი, არ აღიქმება ვიწრო გაგებით. მასში ყველას შეუძლია დაინახოს საყუთარი გატაცება.

პოეტი დარწმუნებულია, რომ გმირები არ კვდებიან, რომ ისინი კიდევ და კიდევ ინთებიან, რომ ეკვეთონ მოძალადეს.

იქნებ სიკვდილთან მისული
 არ ჭრები, მაინც ნათელო.
 რომ ერთხელ კიდევ აენთო
 და მოძალადე გასთელო,
 დაეცე, მაგრამ ცოცხლობდე,
 როგორც უკვდევი გასტელო.
 მაგრამ სადა ხარ, ვვითხარი,
 სად დაგენისლა გზა-კვალი?
 სად ჩაქრა, სად შეიბინდა,
 მორინავო, შენი ვარსკვლევი?

ეს უბრიალო სენტიმენტალური განცდა როდია, რომ ვინმეს თვალზე ცრემლი მოჰვეაროს. ეს არის უშუალოდ პოეტის, გმირის კუთხის შვილების ღილავისი, ხალხის საერთო სიყვარულის გამოხატულება.

ფრიდონ ხალვაში თავის ლექსს ასე ამთავრებს:

გიგონებს მახინგაური, —
 შენი ეზო და ბაღნარი,
 დედა ნატრული ცრემლებით
 შენს ნაწერ ბარათს დაპხარის,
 და ვეიხარია, შენა ხარ
 ჰირველი გმირი აჭარის.

ის, რაც თავდაპირველად გულისტკივილთან იყო დაკავშირებული, რაც სევდას გამოხატავდა, ლექსის ფინალში უკვე ჯანსაღი ოპტიმიზმია, შროფელი გულით ნათქვამი ოპტიმიზმი. და გასაკვირი არაა, რომ გამოქვეყნებისთანავე მკითხველმა გულით შეიყვარა იგი.

ასეთივე ფართო პოპულარობა მოიპოვა ფრიდონ ხალვაშის ლექსმა

„კაპიტან აბდულ წულუკიძეს“. ომის ქარცეცხლში გმირულად დაფუძნდა
კაპიტანს კვლავ ცოცხლებში იგონებენ, იგი სხეებთან ერთად თითქოდ გა/
მარჯვებას ზეიმობს:

ერთობლივ
გამოშვების
გამარჯვება

გმირთა შორის შენც ხელს აწერ
გამარჯვების ქართულ ფიტზ.

გმირს დაეძებენ მშობლიური მთა-გორები, ნარინჯოვანი ბალები:

გვითხულობენ მთა-გორები,
დაგეძებენ ნარინჯები,
ვეღარ გნახეს, ომის ცეცხლში
შეწყდა შენი ნაბიჯები.
მაგრამ ისევ იბრძვი თითქოს,
გაბეღულად ისევ უტევ,
და მეორედ დაცემული
მშობელ მოწას ჩაეხუტე.

საყურადღებოა სამამულო ომის თემაზე დაწერილი ფ. ხალვაშის ლე-
ქსები „ოქვენს გამარჯვებას დიდება“, „უცნობ საფლავზე“, „გამარჯვებუ-
ლი ჯარისკაცები“ და სხვ.

1945 წლის გაზაფხულზე ბათუმში გამოიცა მხატვრულ ნაწარმოებთა
კრებული „დაფიონი“. როგორც კრებულის სათაურიდან ჩანს, ეს არის
მტერზე გამარჯვების მოახლოების მაცნე. აქ დაბეჭდეს თვალითი პირვე-
ლი ლექსები შოთა როსკვამ და ქენია მეუვიამ. აქვეა დაბეჭდილი ალ. ჩა-
ვლიაშვილის ვრცელი კრიტიკული წერილი „სოციალისტური რეალიზმის
გზით“, რომელშიც მიმოხილულია პარმენ ლორიას ომისდროინდელი ნა-
წარმოებები.

სამამულო ომის წლებში ბევრი კარგი ლექსი გამოიქვეყნა პოეტმა
ნესტორ მალაზონიამ. „წყვილი წინდა“, „გმირების სადღეგრძელოდ“,
„გმირი მფრინავი“, „უკანასკნელი ბარათი“ და სხვ. სამამულო ომის-
დროინდელი ქართული ლიტერატურის საგანძურში შევიდა. განსაკუთრე-
ბით პოპულარობა ჰვდა ნ. მალაზონიას ლექსს გმირ კომისარ კაკუ გიორ-
გაძეზე, რომელსაც ხალხი მღეროდა:

— შვილო, სადა ხარ, სიცოცხლევ,
რად გამიჩინე იარა...
ყუმბარა მოგხვდა, მტრის ცეცხლი,
თუ ტანქმა გადაგიარა.
ვიცოდე მაინც საფლავი,
ლედის გული სად მარხია,
მოვალ და ნაძვებს დაგირგავ,
ტოტებს ალერსით დახრიან.
დაგხელავ გულის კანკალით,

ვნახავ ნახმლევს და ნატყვიარს:
 იქნებ მართლა ხარ მოკლული —
 ჭრილობა ცულზე გატყვა.
 — დედი, ცრემლად ნუ იღვრები,
 რად ვინდა ვაის ძახილი,
 მებრძოლთა ცრემლი მიმყვება
 და დროშა წუთით დახრილი.
 ნურც თმას გაიშლი ჭალარას,
 ნურც შავით დაიძაძები,
 ქარია ჩემი მოზარე
 და მხრებგაშლილი ნაძვები.
 ანდა გმირს როდი ტირიან,
 ვისა აქვს ამის უფლება!
 მილიონ შველზე ძვირია
 სამშობლოს თავისუფლება!

ომის დამთავრება, მტრის დამარცხების სიხარული, მაგრამ შვილის
 დაკარგვით გამოწვეული დიდი ნაღველი გამოხატა პოეტმა თავის ლექსში
 „მოღიან, შვილო, ჯარისკაცები“.

მოღიან, შვილო, ჯარისკაცები,
 დროშები მოაქვთ, ხალისი მოაქვთ.
 ზემითი ეხვდებით და აღტაცებით...
 უნ კი რას უყდი? სადა ხარ? დროა!

პოეტი იზიარებს საერთო სიხარულს, მას არ შეუძლია თავისი აღტა-
 ცება არ გამოხატოს, მაგრამ ვერ მალავს საკუთარ ნაღველსაც. იგი ასე
 მიმართავს ომში დაკარგულ შვილს:

ჩვენ ვზეიმობდით დიდ გამარჯვებას,
 ლაუგარდს სალუტი სერავდა ხშირი,
 ზღვარი არ ჰქონდა ზეიმს და შვებას,
 მაგრამ სიხარულს თან ახლდა ჩრდილი:
 უფრო ვიგრძენი მე უშენობა
 და მაშინ უფრო მომინდა შვილი!

შვილის სიყვარულში ეჭვს ვერავინ შეიტანს, განცდა ჭეშმარიტია და
 ამიტომ ესოდენ მომხიბლავი და შთამბეჭდავია ლექსიც. მამა ვერ ძლებს
 ვერც ქუჩაში, ვერც სახლში და როცა გარეთ სიმღერა და სიცილია, იგი
 სახლში შედის და შვილის ბარათებს ჩუმად კითხულობს. იგი იგონებს შვი-
 ლის ფრონტზე გაცილების დღეს, ხალხით გაჭედილ სადგურს, თავისი
 შვილის ტოლ-მეგობრებს და განცალკევებით მორცხვად მდგარ გოგონას,
 რომელიც ჩუმად იცრემლებოდა. იგონებს აგრეთვე ოჯახში შვილის მო-
 ლოდინით გამოწვეულ მღელვარებას:

დედა გელოდა გულის კანკალით,
 შენი აკვანი დაიღდა აბლოს,
 სულ გიგონებდა ხელში აყვანილს,
 ნატრობდა — ჯარში ფარაგით გნახოს.
 და ყველაფერი გახდა ძვირფასი,
 რასაც კი შენი უგრძნია თითი —
 შენი სურათი, წიგნი თუ თასი,
 შენი მაგიდის ყოველი ნივთი.

შვილი დაიღუპა სამშობლოსათვის ბრძოლაში. პოეტს გულს წვავს
 ერთა ვაჟის „უმანკოდ დალვრილი სისხლი“, მაგრამ ეამაყება, რომ

ჩეენი შობველი ქვეყნის წინაშე
 ხომ პირნაოელი იყავ და დარჩი?

ამიტომ პოეტი არ ეძლევა სასოწარკვეთილებას, მას ისევ მოუნდა
 მოზეიშე ხალხში გავლა და გულისხმას ისევ გარეთ გაჰყავს. იგი სიყვარუ-
 ლით ემთხვევა მიწას და ჩასძახებს:

დედა იყავ და ახლა შეილიც ხარ —
 მიწა მზარეველი საყვარელ ძვალთა,
 და თუ გაბედოს მტერმა შერისხვა,
 მყერდით დაგიცავ, მისმე და მზად ვარ!
 თან ვიამაყებ, რომ ხმალით ხელში
 მეც მყავს დამცველი შშობელი მიწის,
 რომ ჩემი ქვეყნის საკურთხეველში
 ჩემი პატარა პატრუქიც იწვის.

ასე გამოხატა პოეტმა ნ. მალაზონიამ პირად ტკივილში სამშობლოს
 სიყვარული და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება.

აჭარის პოეტებისა და მწერლების შემოქმედება ომის წლებში ში-
 ნაარსიანად ერთვოდა მთელი საბჭოთა ლიტერატურის მძლავრ ნაკადს.
 ისინი გამოხატავდნენ ერთ ფიქრს და მიზანს და ამით განამტკიცებდნენ
 ერთიანობას მტერზე გასამარჯვებლად. სწორედ ეს მონოლითური ერთია-
 ნობაა საბჭოთა ქვეყნის ძლიერებისა და ხელშეუხებლობის საფუძველი.

ასმაზ სეამანიძე

ოთხი წელი აკაკი შერეტელთან

დიდ მგოსანს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე აწუხებდა აჭარის ბედი, აინტერესებდა ამბები, რომლებიც აჭარის მომავალთან, მისი შემორთება-აღორძინებასთან იყო დაკავშირებული.

აკაკის პირადი ნაცნობობა ქონდა აჭარელ საზოგადო მოღვაწეებთან (ხ. გიორგაძე, გ. კაიკაციშვილი, ჰ. აბაშიძე და სხვ). გარდა ამისა, იჩვევეა, რომ ერთი აჭარელი, სახელად ოსმანი ცხოვრობდა აკაკის ოჯახში, სოფელ სხვიტორში. ჩვენ შევეცადეთ ამ პიროვნების შესახებ მკითხველი-სათვის მოგვეთხრო წიგნში „დაუვიწყარი სახეები“. ზაგრამ მაშინ ვერ დავადგინეთ ოსმანის ვინაობა.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელმა ნუნუ ოქროპირიძემ გაგვიზიარა თავისი ვარაუდი, რომ ეს პიროვნება ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვადან უნდა იყოსო, გვარად მჭედლიშვილი.

ჩვენც ვეწვიეთ ამ სოფელს.

პირველი შემხვდური, რომელ-თანაც მოგვიხდა საუბარი, საბედნიეროდ აღმოჩნდა მჭედლიშვილი, სახელად ასლანი.

ჩვენ სულეიმან მჭედლი-შვილს ვეძებთ-მეთქი, ვუთხარი.

— სულეიმანი ჩემი უმფროსი ძმაა, წამობრძანდით, მიგიყვანთ მასთან... — და ფართო ეზოში შეგვიძლვა. სულეიმანიც გამოვეგება. ვაცნობთ თავს, მაგრამ ჩვენი მისვლის მიზეზზე საუბრის დაწყებას ვერიდებით, გვეშინია, არ გავიცრუვდეს ვარაუდი.

ასლანი შინ გვეპატიუება. ჩვენ არ გვინდა შევაწუხოთ მასპინძელი.

— მამაჩვენს ასე არ დაუბარებია, სტუმარს ეზოში ესაუბრეო, — აქტიურობს ასლანი და თითქმის ძალით მივყართ დიდი, გემოვნებით იგებული ერთსართულიანი სახლისაკენ. მამის ხენებაზე ცხელი გვივლის, „აღბათ, ალღოთი გაიგო ასლანმა ჩვენი

მისელის მიზეზი და ამიტომ ახ-
სენა მამა“, — ვფიქრობთ.

სასტუმრო ოთახში ბუხრის თა-
ვზე დიდი სურათია შემოდგმუ-
ლი. მოხუცი ქალისა და მამაკაცის
ჰევიანი თვალები, შრომისაგან და-
ღარული სახე, სასიამოვნო გამო-
ხედვა ძალაუნებურად. იქცევს
ყურადღებას.

„ნეტავ, ეს იქნებოდეს“. ვფიქ-
რობ გუნებაში და აღელვებას ვერ
ვმაღლავ.

უმაღვე აგუზგუზდა ბუხარი და
ორი ოჯახის თითქმის ყველა
წევრმა მოიყარა თავი. საუბარს
ვიწყებთ.

მიმას ოსმანი ქვიაო რომ გვითხ-
რა სულეიმანმა, გული შეგვიქან-
და.

ოსმანის უფროსი ვაჟი აგრძე-
ლებს თხრობას.

ამასობაში მოსალამოვდა. კოლ-
ეჟურნეობის ხელმძღვანელებიც
შემოგვიერთდნენ და საუბარმა
ფართო ხასიათი მიიღო.

ოსმანი 1880 წელს ყოფილა და-
ბადებული. გაჭირებული ოჯახის
შეისახვა ჯერ ბათუმში უცდია მუ-
შაობის დაწყება, მაგრამ ვერ მო-
უხერხებდა. რომელიდაც ნაცნობს
ოცი წლის ჭაბუკი ქუთაისში ჩაუ-
ყვანია. აქედან კი აკაცის ოჯახში
მოხვედრილა.

პოეტს თურქე მოეწონა ცოცხა-
ლი, ენერგიით აღსავს ჭაბუკი,
რომელსაც პირველ ხანებში და-
ვალებული ჰქონდა ტყისა და სა-
თიბების მოვლა-პატრონობა. ფი-
ზიკურად ძლიერმა, დინგმა, ამ-
ტანმა და კეთილმოსაუბრე ოსმან-

მა მაღე დამისახურა ყველას სუ
ვარული. პირველ ხანებში ლეისი/
არ სვამდა და აკაცის უფა ტერიტორია
ოსმანისათვის უკითხავს: ყურ-
ენს მიირთმევთ, მაჭარი გიყ-
ვართ, ყურძნით გაკეთებული თა-
თარა და ჩურჩხელები მოგწონთ,
ლვინომ რაღა დააშავაო.

— შენ თვითონ რატომ მარხუ-
ლობო, — დისათვის უთქამს
აკაცის, — თუ ამგვარი რჩევა-
დარიგება შეგიძლია, იმაშიც დაა-
რწმუნე, რომ ყველა რელიგია სი-
სულელეა და მაგალითიც უჩვე-
ნეო. ოსმანის ზოგი ადათ-წესი
მეც არ მომწონს, მაგრამ ის კია
სათქმელი, რომ ასეთი მტკიცე
ნებისყოფის ადამიანს ადვილად
ვერ გადაცდენ და სანდოც არი-
სო.

პოეტი მართლაც დიდი ნდობით
ეპყრობოდა ოსმანი. მაღე იგი
ოჯახში გადმოუყვანია და ხელ-
ნაწერებისა და საბუთების დაცვა
დაუვალება.

1905 წლის რევოლუციის დღე-
ებში, როცა სახალხო მოძრაობა
გლეხობასაც მოედო და შეძლე-
ბული ოჯახებისათვის საშიში სა-
ხე მიიღო, მოურავს გიორგი ზამ-
ბასიძეს აკაცის ნებართვის გარეშე
ოსმანი სახლიდან დაუთხოვია,
რაც პოეტს ძალზე სწყენია.

„ოსმანი რომ დაგითხვია, მი-
კვირს!.. ნუთუ გლეხებმა აღარ
მოგცეს ნება, რომ დაგეყენებია.
აბა ამაზედ არის ნათქვამი: „ობო-
ლო ვის მოკლავ და ვინც გამზარ-
დაო“. შემდეგ აკაცი ავალებს

მოურავს უპატრონოდ დატოვებული ხელნაწერების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში თბილისში გადაგზავნას, სადაც იმ დროისათვის იმყოფებოდა პოეტი.¹

სხვიტორიდან წამოსული ოსმანი, რომელსაც უკვე სამი შვილი ყავდა, სხვადასხვა სამუშაოებით ირჩენდა თვეს. მეფის ჩამოგდების შემდეგ კი ლელვაში დაბრუნებულა.

უკვე ხანში შესული კაცი ტკბილად იგონებდა იმერეთში, დიდ პოეტან გატარებულ დღეებს. კარგი მახსოვრობის მქონე ოსმანს ზეპირად შეეძლო ეთქვა ერთ-ორჯერ წაკითხული ან განაგონი ლექსი, რომლებიც შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე ახსოვდა. აკაკისთან ყოფნისას შესანიშნავად დაეუფლა წერა-კითხვას. მშობლიურ სოფელში დაბრუნებისას მოითხოვა ქართული სკოლის გახსნა. ზოგი ჩამორჩენილი მეზობელი წინ აღუდგა „რჯულიდან გადამდგარ“ ოსმანს. მის სახლზე აკრავდნენ ფურცლებს, რომელზეც ეხატა კუბო და დამიზნებული იარაღი, ე. ი. ემუქრებოლნენ სიკვდილით. მაგრამ დრომ და ენთუზიასტმა აღამიანებმა თავისი გაიტანეს, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და სკოლების გახსნაც დიარწყო.

ოსმანი იმთავითვე მხარეში მოდგა მოწინავე მეზობელს სულეიმან ირემაძეს, რომელიც მუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრი იყო, და მასთან ერთად იბრძოდა აჭარაში რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის.² მათ სკოლა გახსნეს ჯერ კერძო ბინაში, შემდეგ კი აშენდა სპეციალური შენობა შვილწლედისათვის (ს. ირემაძე სკოლის პირველი გამგე იყო).

ო. მჭედლიშვილი, როგორც ქობულეთის მაზრის დელეგატი, მონაწილეობდა აჭარის ღარიბთა კომიტეტების პირველ ყრილობაზე და აჭარის საბჭოების მესამე ყრილობაზე (ინახება ფოტოები).

ერთხანს ო. მჭედლიშვილი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედაც მუშაობდა, ხოლო 1930 წლიდან ერთერთი პირველთაგანი შევიდა კოლეურნეობაში და მას შემდეგ სიკვდილამდე (გარდაიცვალა 1968 წელს) არ შეუწყვეტია შრომა. რამდენიმე წელს იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ოსმანს არასოდეს დავიწყებია თავისი ახლობელი ადამიანი, ქართველი ხალხის სასიქადულო პოეტი. აკაკის გარდაცვალე-

1. აკაკი წერეთელი, თხ. სრ. კრ. ტ. 15, თბილისი, 1963 წ. გვ. 300, 301.

2 ჰაიდარ აბაშიძე, წერილები ხ. ახვლედიანის კომენტარებით და რედაქციით, ბათუმი, 1960 წ. გვ. 26.

ბამ თავზარი დასცა მას. ოსმანი შედიოდა თბილისში წარგზავნილ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც გ. კაიკაციშვილი ხელმძღვანელობდა.

მცედლიშვილების ოჯახში შემონახულია „აკაკის კრებულის“ პირველი გამოცემები (1897, 1898 წ. წ.), რომლებიც პოეტმა უსახსოვრა თავის ერთგულ ადამიანს. შენახულია აგრეთვე ოსმანის მიერ ზეპირად ნათქვამი ლექსები, რომლებიც მისმა შვილებმა ჩაიწერეს. ლექსების ავტორი აკაკია და შესაძლოა ისინი არ იყოს შეტანილი მის თხზულებებში. ამგვარად, ამ ლექსების შესწავლას, აკაკის სრულ კრებულებთან შედარებას შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს.

აკაკის ლექსი „ცხოვრება“, რომელსაც აქ გთავაზობთ, რამდენადმე განსხვავდება პოეტის თხზულებებში გამოქვეყნებული ტექსტისაგან და საფიქრებელია, იყო იყოს პირვანდელი ვარიანტი.

ცხოვრება

ეს ცხოვრება ისე ვიცი,
როგორც ჩემი ხუთი თოთი.
ბევრი ენახე საგულისხმო
სიყვარულის მაგალითი.
სისხლ-ხორცობა მეგობრობით
სიყვარული ტყუილია,
თუ სიმდიდრე მას გარშემო
თავს არშიად არ ავლია.
რისი გული, რისი ჭკუა.

რისი გრძნობა, რისი ნდობა
ეს სულ სიტყვის მასალა,  მითქმა-მოთქმა და უბნობა კუჭი სვამს და კუჭი ფიჭვის მოთხოვნება კაზრავია ქვეყნიური.

კუჭი არის გამობმული
ქვეყნის თვალი, ქვეყნის გული,
ხალხი მიდის ძაღლის კვალზე,
თუ ასვი და თუ აჭამე,
კუჭის ქნევით იწყმუტუნებს
და ყეფს შენთვის დღე და ღამე-
ჭიბე არის მოკავშირი
ერთობის და მეგობრობის,
იგივეა გზა და ხიდი
სიყვარულის და ცოლ-ქმრიბის.
ერთხელ იქსო მაცხვარმა
ქვეყნად რა არ ჩაიღინა,
კიდით კიდე სასწაული
მიაფინა-მოაფინა,
ვერც ძალით, ვერც შეგონებით
ვერაფერი ვერ გაწყო,
სანამ ულრან უდაბნოში
მშეერები არ გააძლო.
მაშინ კი თქვეს; ღმერთი არის —
აღრიალდნენ ცველა ერთად,
დაუჭერეს მაცხვარსა
და იწამეს ღმერთი ღმერთად.

დიდი პოეტი იმთავითვე გან-
საკუთრებულ ყურადღებას იჩენ-
და დამპყობთა მიერ მიტაცე-
ბული აჭარის მიმართ. მას 1875-
1876 წლებში ურთიერთობა ქო-
ნდა ქობულეთელ აჯანყებულებ-
თან, რომლებიც უარს აცხადებდ-
ნენ ოსმალთა ჭარში გაწვევაზე და
ამით არაპირდაპირ ეხმარებოდ-
ნენ თავისუფლებისა და დამოუ-
კიდებლობისათვის მებრძოლ ბო-
რციელებსა და ჰერცოგოვინე-
ლებს. აჯანყებულთა მეთაურის

ხუსეინ გიორგაძის მეშვეობით
ქუთაისის სასტუმრო „ევროპაში“
აკაკი ლებულობდა ყოველდღიურ
ინფორმაციას. ამის თაობაზე ივი
წერილებს უგზავნიდა ნიკო ნიკო-
ლაძეს, რომლებშიც გამოთქმუ-
ლია ქობულეთში ჩასვლისა და
აჯანყებაში მონაწილეობის უდი-
დესი სურვილი.³

ოსმან მშედლიშვილთან აკაკის
ესოლენ ახლო ურთიერთობაც

3 ნ. ნიკოლაძის არქივი, ფარალოვი,
ნაწ. I., თბილისი, 1954 წ. გვ. 5, მისი-
ვი არქივი, საბუთები 13-364, 13-365,
13-366.

აჭარისადმი უდიდესი სიყვარუ-
ლისა და პატივისცემის უკავშირულება
გამოხატულებაა. პირდაპირობა

დიდი ოჯახი დატოვა ოსმან მშე-
დლიშვილმა. მეუღლემ, სათნო
მანდილოსანმა ფალიმე მჟავანაძემ
(გარდაიცვალა 1969 წ.). 8 შეიღი
აღზარდა — ორი ვაჟი და ექვსი
ქალი. გამრავლდა მათი ოჯახებიც.
დაიზრდებიან ნორჩები და შთა-
მომავლობას გადასცემენ ჩვენი
სასიქადულო მგოსნისა და უბრა-
ლო მშრომელი გლეხის ოსმან
მშედლიშვილის მამაშვილური და
მეგობრული ურთიერთობის ამ-
ბავს.

აზის ახვდევიანი

მ ა გ ე

ასე იწოდება ბათუმის სამხრეთით, მდ. ჭოროხის ნაპირზე მდებარე სოფელი. იგი ერთ-ერთ ძნელად ასახსნელ ტოპონიმთა რიგს განეკუთვნება. ადგილობრივ მცხოვრებთა შეხსიერებას თითქმის აღარაფერი შემორჩენია ამ სახელწოდების შესახებ. ტრადიციისამებრ, თუკი რომელიმე სახელი გაუკებარია, მოსახლეობა მას თურქული წარმომავლობისად თვლის. ხალხური ეტიმოლოგიით ასეა ერაგეს მიმართაც. მოსახლეობის გამაჰმადიანებისას, თითქოს ყველაზე ადრე ერგელები გამაჰმადიანებულნ, „ადრე გონს მოსულნ“ (თურქულად სიტყვა Etken ნიშნავს ადრეს)¹ და სახელი ერგეც აქედან წარმომდგარა. შავრავთვით ამ გადმოცემათა მთქმელებს არაფერი სჭრათ მისი...

ვახუშტი ბატონიშვილს რამდენიმეგზის აქვს მოხსენიებული ერგე. „...ვინათგან აღვსწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწერგეს ზეიდამ ვიწყებთ,

¹ Д. А. Магазанник, Туредско-русский словарь, М., 1931.

აქარისწყლის შესართავიდან²... „ამას ზეით ჭოროხის კიდესა ზედა არის ერგე³...

რუსული და უცხოური წყაროების თითქმის უმრავლესობაში ეს სახელწოდება გვხვდება ელერა-ს ფორმით. ალბათ ამ ვაკლენით თუა, რომ ისტორიკოსი დ. ბაქრაძეც მას ასე, ამ ფორმით იხსენიებს,⁴ და მხოლოდ შენიშვნაში აღნიშნავს, რომ იგი ვახუშტის ერგედ აქვს მოხსენიებული.⁵ ი. ყიფუძიძე ეკამათებოდა ამ საკითხში სახელვან ისტორიკოსს და აღნიშნავდა, რომ მას ქართველ მაჰმადიანთაგან გაუგონია მხოლოდ ვრგვი-

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 134.

³ ვახუშტი, იქვე, გვ. 176. ის. აგრეთვე უან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, (ქართ. ენაზე) ბათ., 1962 წ. გვ. 37.

⁴ Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Ад-чаре, С.-Пб., 1878, стр. 33, ის. აგრეთვე უან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი (ქართულ ენაზე), ბათ., 1962 წ., გვ. 37.

⁵ დ. ბაქრაძე, დასახელებული ნაშრობი.

და იგი ასევეა ოღნიშნული ხუთვე-
რსიან რუკაზეცო.⁶

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ელ-
გა ქართულ საკუთარ სახელთა ნო-
მენებისა ტურქული
ლია.⁷

საკუთარ სახელად, ან ზეღვო-
დებად გამოიყურება ელგა სა-
ხელი „ქართლის ცხოვრებაშიც“. „...რომელთა იგი ულოს ნოინბი-
თა უხმობდეს და ამ ბეგლარბეგე-
ბად, სახელითა ელგა ნოინი“.⁸

მკვლევართა ერთ ნაწილს ერგე
ეგრისის სახენაცვალ ფარმაც
მიაჩნია. ექ. თაყაიშვილი თავის
დროზე წერდა: „ახლაც კია იქ, ბა-
თომის მახლობლად, ზემოთ, ზღვი-
სპირისაკენ, სოფელი „ეგრი“.⁹

ზოგიერთი მკვლევარის აზრით
ეგრის მეტათეზისით მივაღეთ
ერგეს დღევანდელი სახელშო-
დება. ამ მოსახრებას თავის
დროზე ს. ჯანაშიაც უკერდა
მხარს. იგი ამბობდა, რომ ბერძნუ-
ლი „ეკრეკტ“ (პტოლომესთან)
ეგრისის სახელშოდების ადგალო-
ბრივი ფორმის მცირედ დამახრე-
ჭებული გადმოცემაა. ამ ფორმის
ერთი დღემდე შემონახული გაღ-

6 И. Кипшидзе. Дополнительные
сведения о чанском языке. С.-Пб.,
1911. №. „შესავალი“.

7 ალ. ლლონტი, ქართველური საკუთა-
რი სახელები, თბ., 1967, გვ. 179; ამავე
წიგნშია მოყვანილი სვანური საკუთარი
სახელი ერგუშა, გვ. 77.

8 „ქართლის ცხოვრება“, 11, თბ. 1959,
გვ. 221, 232, 234, 250, 254, 296.

9 ექ. თაყაიშვილი, რჩ. ნაშრომებია,
1, თბ., 1968, გვ. 388.; იხ. აგრეოვე
3. ინგოროვა, გიორგი მერჩელა, თბ.,
1954, გვ. 139.

მონაშთი უნდა იყოს ზუგდიდის
რაიონში დაცული „ერგუშა“. ერგე
ეს მსგავსი სახელშოდება
ურ და—ეთ სუფიქსებით გვეცდე-
ბა ქართულ ტოპონიმიკაში: „შეი-
წიობიან გლეხები და სოფლები:
ქრცხილოანი, ერგე თი...“¹⁰ შე-
დის რაიონის სოფ. სიხალიძეებში
არის ტოპონიმი ერგე ლაუ-
რი.¹¹

„მაჭახლის სულთა მატიანე“ში¹²
აღნიშნულია: „სულსა ერგე-
ლისა გაბრაძისა დავითის და
მისს მეუღლის თინას შეუნდვენ
ღმერთმან“.¹³ აქვე არ შეიძლება
არ აღვნიშნოთ ერთი საკმაოდ გა-
ვრცელებული გვარის ერგემლა-
ძის შესახებ, რომელიც თუმცა
ერკემლიდან („მნერბავი ცხოვა-
რი“, იხ. საბა) არის ნაწარმოები,
მაგრამ, ვფიქრობთ, მას უნდა პქო-
ნდეს რაღაც თავდაპირველი კავში-
რი ერგესთან. ერკემალსა და ერ-
გემალში გ-სა და კ-ს მონაცვლეო-
ბაა.

10 ჯანაშია, შრომები, III, გვ. 6 (იხ.
სქოლით); მისივე, თუბალ-თაბაღ ტიბა-
რენი, იბერი; ენიმკის „მოამბე“, I, 1937
გვ. 189.

11 С. С. Какабадзе. Грузинские
документы института народов
Азии, М., 1967, стр. 254.

12 ი. სიხარულიძე, ტოპონიმები, 1, გვ.
61.

13 ი. სიხარულიძე, მაჭახლის სულთა
მატიანის ინომასტიკონისა და ტოპონი-
მიკისათვის, აჭარის სახ. მუზეუმის „შრო-
მები“, V, 1961, გვ. 130. აქვე იხსენიება,
სხვათა შორის, ჯოჭოც: „ჯოჭოლისა ჭა-
ნისძისა გრიგოლისა და მისისა მეუღლ-
ისა ნათელისა შეუნდვენ ღმერთმან“,
იქვე, გვ. 130.

თედო სახოკია სამურზაყანოში
მოგზაურობისას ოღწეოს ტბას,
რომელსაც ერგე ძაშრა ჰქვია.¹⁴
ამ ტბას მწყემსები დიდი კრძალ-
ვით ეპყრობიან, — განაგრძობს
თედო სახოკია,—აქედან ერთხელ
ამოსულა ვერძი, რომელსაც
მწყემსის ყველა ცხვარი დაუნერ-
ბავს.¹⁵

როგორც ვხედავთ, ერგე ძაშ-
რას ტბიდან ამოვიდა მნერბავი
ვერძი. ვერძი ხომ იგივე ერგემა-
ლია. ქართული ენის განმარტებით
ლექსიკონში ვკითხულობთ „ერ-
კე მალი, მძალი ცხვარი, მნერ-
ბავი, ვერძი“.¹⁶

თუ რას ნიშნავს სიტყვის მეო-
რე ნაწილი — მალი, მის ასაბ-
ნელიდ საჭირო მასალების უქონ-
ლობის გამო, ჯერჯერობით თავს
ვიყავებთ.

ერგემალი (ერგემალი) საღვთო
ცხველია. იგი მფარველი ლვთაე-
ბის სახელზე გამოზრდილი ვერძია
(შრდ: „უს ხი“). სამურზაყანოე-
ლი მწყემსები კიდევაც მიმართავ-
დნენ მფარველ ლვთაებას: „ერთი
თეთრი ვერძი, ერთი კავი შენთვის
შემომივლია... ჩვენო
მხსნელო“.¹⁷ აქვე შევნიშნავთ,
რომ ივ. ჯავახიშვილის მოწმობით

ჩერქეზულად სამშაბათს ერგე ძა-
ჩ ჩა ჰქვია.¹⁸

როგორც უმრავლეს ეჭორტჟულება
ტბობინიმებს, ისე ერგე ცარცული და
ვის დროზე, საფუძვლად დაედო
ადამიანის ან რომელიმე ლვთაების
საკუთარი სახელი.

სამურზაყანოელ მწყემსთა ცხო-
ვრების ოღწერისას თედო სახოკია
ლაპარაკობს მეჭოგეთა მფარველ
ლვთაებაზე. იგი ამბობს: „მწყემ-
სების ყველაზე დიდ მფარველიდ
მთავარანგელოზი მიქელ-გაბრიე-
ლი ითვლება, რომელსაც აქ მიქმ-
გარიოს ეძახან. მეორე სახელია
ჰქვია—ერგე. იგი არის პატრიონი
მთისა, მას მორჩილებენ ცის მნა-
თობნი... (მის) ნებაზე დგას დარი
მთაში... ელვა-ქუხილი და კოკი-
პირული წვემის მოსვლა...“

როცა მთაში წვემის, მწყემსები
დიდ ცეცხლს დაანთებენ ხოლმე,
გარს შემოუსხდებიან და ერგე
— აშვას (ერგე — აფხაზურად
მიქელ-გაბრიელი და აშვა — სიმ-
ღერაა) უმღერიან მას, ადიდებენ.
ძლიერი ხარ, ჩვენ უშენოდ არა-
ფერი შეგვიძლია, შენ გლოცუ-
ლობთ, შენს წყალობას ნუ მოგვა-
კლებ, საქონელს ნუ შეგვიწუ-
ხებ“. ¹⁹

14 თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 293.
15 თ. სახოკია, იქვე, გვ. 294.
16 ქართული ენის განმარტებითა ლექ-
სიკონი, III.

17 თ. სახოკია, იქვე, გვ. 290.

სამეგრელო-აფხაზეთის ყოფის საუკეთესო მცირდნე კ. გამსახურდია ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში („ტაბუ“) წერს: „...ე რ გ ე იყ ჩვენი მფარველი, მას ექვემდებარებოდნენ ცის მნათობები, ტაროსი და ავლარი. ტყეში რომ წვიმა მოგვისწრებდა, დიდ ცეცხლს დავანთებდით --- „ერგეაშვას“ შემოვძახებდით“.²⁰

როგორც დავინახეთ, ერკე მწყემსთა მფარველი ღვთაება ყოფილა. თ. სახვიას თქმით იგი აფხაზური ენიდანაა შემოსული სამურზაყანოელ და, საერთოდ, მევრელ მწყემსთა სინამდვილეში.

აფხაზურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში აოის ტყის და ნადირობის ორი ღვთაება: ა ე რ გ ე და ა ფ-ვ ა ფ შ ა ა.²¹ სწორედ ამათ შერწყმულ, რამდენადმე ტრანსფორმირებულ და ფუნქციაშეცვლილ ღვთაებას უნდა წარმოადგენდეს თ. სახვიასა და კ. გამსახურდისთან მოხსენიებული ე რ გ ე-ა შ ვ ა.

სვანურ ღვთაებათა პანიურნში მას, ვფიქრობთ, „მიქა! მ თა' რ-გლეზერი“ უნდა შეესაბამებოდეს.²²

20 კ. გამსახურდია, რჩ. თხ., ტ 11, 1959, გვ. 99.

21 III. დ. Инал-Ипа, Абхазы, 1965, стр. 517.

22 ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1959, გვ. 76; იხ. მიხეივე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1, 1939, გვ. 176 და სხვ.

საიდან უნდა გაჩენილოდეს, ბათუმის მახლობლად, ცირკულარის სანაპიროზე ე რ გ ე? უკუკეცული როგორც ცნობილია, შექვერცხულოს შავიზღვისპირეთში ზენური და ჩერქეზულ-აღიღეური ენობრივი სუბსტრატი დადასტურებულია. იგი განსაკუთრებით ტოპონიმიკაში იჩენს თავს.

ე რ გ ე იბერიულ-კავკასიურ ენათა წილშია წარმოშობილი. იგი, როგორც ღვთაება გარევეული მოსაქმეობის ადამიანებისა, ვრცელდება და შემდეგში ქრისტიანულ ღვთაებათა პანთეონის სხვა წარმომადგენლებს ენაცვლება. მისი, როგორც ამინდის მართვის ღვთაების ფუნქცია, სამეგრელოს მთასნებთში მიქელებრიელს და ეკისრა, ხოლო სხვაგან, კერძოდ, ქარაში — ე ღ ი ა ს.

ერგეს სახელწოდების ჩვენს სინამდვილეში დადასტურებას აო ეწინააღმდეგება არც ერთი (ჩერქეზულ-აღიღეური) და არც მეორე (ზენური) ენობრივი სუბსტრატის ასებობა. აქ, როგორც ცნობილია, ორივე აღნიშნული ენის მატარებელი ტომი სახლობდა.²³ მაგრამ ზანურის შესახებ თუ ვიმსჯელებთ, მაშინ აუცილებელ პირობად ისახება ამ სახელწოდების ლაშეთში დადასტურებაც.

მოვვიანოდ, როგორც ითქვა, საქართველოს ბევრ მხარეში ამინ-

23 ს. ჭანაშია, ჩერქეზული (აღიღეური) ელემენტი საქართველოს ტრანსიმიგრაციი, „შრომები“, III, გვ. 122;

Г. В. Цулая, Об адыгской топонимии в Западной Грузии, «Советская этнография», № 2, 1971, стр. 125—127.

დის მართვის აღგილობრივ ღვთაებებზე მთლიანად ღომიჩირება ელია („ელესა“).

არც ის არის შემთხვევითი, რომ აქარაში ერთდაიმავე ვიწრო ლოკალში ერთდღოულადაა შემნახული ორივე ღვთაების სახელწოდება, მაგალითად: ერგე და ელიაწმინდა.

თანდათანობით მივიწყებას ეძლევა არაავტოქტონური ღვთაება, მისი სახელი მხოლოდ სოფელს შემორჩა (ერგე), ხოლო იმავე ფუნქციის მატარებელ სხვა ღვთაებას (ელია) ახალი აღგილი მიეჩინა როგორც ხალხის წარმოსახვაში, ისე ტერიტორიულად, ერთი თოთქმის მივიწყებას მავცა და მთლიანად დაკარგა თავისი ფუნქცია, მეორე კი იძენს ანალოგიურ ფუნქციებს და დიდხანს ცოცხლობს ხალხის ყოფაში. იგი ცოცხლობს არამარტო ტოპონიმიაში, („ელიაწმინდა“, „ელიას ციხე“, და სხვ.), არამედ ზეპირსატყვიერებაშიც („ელესა“, „ლაზარობა“).

ღვთაებათა და წმინდანთა სახელების მირქმევა არა უცხო ტოპონიმიაში, კერძოდ, აქარის ტოპონიმიაში. ასე, მაგალითად, ელია — ელის მთა, კვირია — კვირიკე (სოფელი), სამება, მთავარანგელო და სხვ.

საკითხავია, რა პირობები არსე-

ბობდა ერგესა და მის მდგრადი ებში ამ ღვთაების (ღვთაება) / დამკვიდრებისათვის? უკრანული შეუძლებელება

როგორც ირკვევა, ერგე შეკრის 30 ტომთა, მწყემსთა, მონადირეთა შფარველი ღვთაებაა. ვინც ერგესა და მის მიდამოებს იცნობს, დაგვირწმუნება, რომ აქ საუკეთესო პირობები იქნებოდა (ბოლო ღრმდე იყო) საქონლის გამოზამთრებისათვის. საკუთრივ ერგე და მასთან მიმდგომი ორივე ხეობა ხე(გ)-ყრუ (მდ. წყალგველა) და ჭოჭო (მდ. ჭოჭოსწყალი) თავიანთი ფაზიელი-გვიგრაფიული პირობებით თავისუფლად გამოზამთრებდა კარჩხალისა და აქარის ზოგიერთ სხვა აღმურ საძოვრებზე მყოფ საქონელს.

აქედან გამომდინარე, ცხიდია, რომ მწყემსს ამინდის მართვა და თავის სურვილზე მისი ღვთაების განწყობა, ყველაზე მეტად ზამთარში დასჭირდებოდა.

კიდევაც მიუჩინა მწყემსმა აქ, ამ მიდამოებში, ამ ღვთაების გარკვეული აღგილი. აქ სწირავდა იგი თავის საყვარელ ღვთაებას შესაწირავს და ლოცვას აღვლენდა მის სახელზე.

აი, ამიტომაც, ვფიქრობთ, შეერქვა თავის ღროშე ამ აღგილს მწყემსთა (და ნადირობის) ღვთაების სახელი ერგე.

ზურაბ კომახიძი

აჭარის მოსახლეობა და მრომითი რესურსები

ქვეყნის ბუნებრივი პირობებისა და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენების, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების, ეკონომიკური ძლიერების და ღოვლათის შექმნის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს შრომითი რესურსები.

შრომითი რესურსების რაოდენობას, სტრუქტურასა და ტერიტორიულ განაწილებას მოსახლეობის რიცხვენება, შემადგენლობა და განლაგება განსახლერავს. მითომ, ვიდრე შრომით რესურსებს გაეცნობოდეთ, მოკლედ დავახვითებთ აჭარის მოსახლეობას.

აჭარის მოსახლეობის დაჩქარებული ზრდა დაიწყო თურქეთის ბატონობისა-გან განთავსეუფლებას შემდეგ. მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილება ორი გზით მიმდინარეობდა — ბუნებრივი და მექანიკური მატებით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც შობაზობა აჭარის მოსახლეობაში მაღალ დონეზე იდგა, მაგრამ ცხოვრების ცული პირობების, მაღარისა და ეპიდემიური დავადებების გამო დიდი იყო სიკეთილიანობა და ბუნებრივი მატება არ მიმდინარეობდა სწავლითი ტემპით. სამაგისტრო, რევოლუციამდელ პერიოდში ზეკრი მოსახლე მოდიდა გარედან. ჩამოსახლება განსაკუთრებით ინტენსიური იყო ზღვის სანაპირო ზონაში. ძირითადად სახლდებოდნენ ბათუმში, აგრეთვე სოფლებშიც.

ქალაქში ჩამოსახლებულთა შორის ჭარბობის რასები, სომხები და ბერძნები, გარდა მრეწველობის განვითარებისა, ჩამოსახლებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ზღვისპირა მხარე წარმოადგენდა საკურორტო აღგილს. ამასთან, მაშინ დაიწყო სუბტროპიკული მეურნეობის განვითარება, რაც მუშახელს საკიროებდა.

აჭარის მოსახლეობის ზრდა კიდევ უფრო ზაქარადა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მისი ღინძიება ასეთ სურათს ვვაძლევს: 1874 წელს იყო 48490 სული, 1886 წელს — 56567, 1897 წელს — 78338, 1926 წელს — 131957, 1939 წელს — 200106, 1959 წელს — 245286, ხოლო 1970 წელს — 309900 სული. აჭარის მოსახლეობის წილებიდან საქართველოს მოსახლეობაში ზემოთ ნაჩენები წლების შესაბამისად (1874 წ. ჩატულელად) გაიზარდა: 3,3, 4,1, 4,9, 5,6, 6,0 და 6,6 პროცენტით, ხოლო ქალაქის მოსახლეობა — 10,2, 26,1, 37,6, 38,2, 38,1, 45,2 და 44,1 პროცენტით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოსახლეობის სწავლი ზრდა გამოწვეული იყო ეკონომიკური აღმავლობით, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვით.

მოსახლეობის საშუალო წლიური მა-
ტება აქარაში შეადგენდა: 1874 წლი-
დან 1897 წლამდე (23 წლის მანძილზე)
1297 კაცი, 1897 წლიდან 1926 წლამდე
(29 წლის განვითარებაში) 1849 კაცი,
1926 წლიდან 1939 წლამდე (13 წლის
მანძილზე) 5242 კაცი, 1939 წლამდე
1959 წლამდე, რომელიც სამატულ ოშის
და მის შემდგომ პერიოდს მოიცავს, მო-
სახლეობის საშუალო ყოველწლიური
ზრდა შეადგენდა 2259 კაცი, ხოლო
1959 წლიდან 1970 წლამდე 5874 კაცი.

მოსახლეობის ასეთი შრაფი ზრდა
მაღალი ბუნებრივი მატების შედევი.
ამ მაჩვენებლებით აქარის ერთ-ერთი
პირველი დაგილი უკავია საქართველოს
ცალკეულ რაონებსა და ივორნომიურ
ერთეულებს შორის. ეს იმითაც ისხსნე-
ბა, რომ თანამათნ მცირდება სიკვდი-
ლიანობა. 1940 წლიდან შეადგენდით
1967 წლისათვის ყოველ ათას მცხოვრე-
ბზე სკვერალიანობა შემცირდა 4,3 ერ-
თულით. უკანასკნელი ათი წლის მანძი-
ლზე თანამათნ მცირდება იგრძევდა შო-
ბარობა. მოხევდავად ამისა, 1967-1969
წლებში ერთახევადაჯერ უფრო მაღალი
ცეკ აქარის მოსახლეობის ბუნებრივი
მატება, ვიდრე საშუალო საქართვე-
ლოში. ხოლო საშუალო საკავშირო მო-
ნაცემებთან შეადგებით აქარის მოსახ-
ლეობა დახსლებით ორჯერ უფრო
სწრაფად იზრდება ბონიბრივი მატების
გზით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს
შორისით რესურსების შემდგომი ზრდი-
სათვეს.

აქარის მოსახლეობის რიცხოვნების
ზრდა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გარ-
და ბუნებრივი გამრავლებისა. მიმღინა-
რების აგრეთვე მექანიური მატების
გზით. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია
ქ. ბათუმში, სადაც მოსახლეობა მოწის
როგორც ვეტონომიური რესპუბლიკის
სოფლებიდან და დაბებიდან, ასევე აქა-
რის ფარგლებს გარედანაც.

საილუსტრაციოდ მოვტანთ ორი
წლის მონაცემებს. 1965 წლის ქ. ბათუ-
მში ჩამოვიდა 3890 კაცი, წავიდა 2501,
მექანიური ნამატი შეადგენდა 1389

კაცს. მომდევნო 1966 წელს ჩამოვიდა
3728, წავიდა 2443, ნამატი უდიდეს
1285 კაცს.  უკრაინული
აღსანიშნავია, რომ იმის შეზღუდულობა
რიოში საქმიანო ფართო ხასიათი მიი-
ღო ჩასახლებაზ შიდა აქარიდან ზღვის-
პირა ზოლის სოფლებში. ასე რომ,
დასაცლეთ აქარას უკანასკნელი ორი
თეული წლის მანძილზე მოსახლეობის
მცირდებული გაცვლის დადგებითი საღდო
აქვს, რის შედეგადაც აქ მოსახლეობის
საერთო ნამატი აღმატებოდა ბუნებრივ
ზრდას.

აქარა ერთულია შემაღებლობით
მრავალფეროვანია. 1959 წლის აღწერის
მიხედვით აქარის მოსახლეობა 72,8
პროცენტის ქართველები შეადგენდნენ,
რაც ბევრად აღმატება საერთოდ საქა-
რთველოს რესპუბლიკაში ქართველების
(64,3) პროცენტულ რაონდებას. აქა-
რში ქართველების შემთხვევ მცორე
ადგილზე არიან რუსები — 13,4 პრო-
ცენტი, ხოლო დანარჩენი მოსახლეობის
პროცენტული შემაღებლობა ასეთია:
სომხები — 6,4, უკრაინელები — 2,4,
ბერძები — 2,3, დანარჩენი — 2,7.

ბუნებრივი პირობებისა და გეოგრაფი-
ული მდებარეობის მეობებით აქარის
ტერიტორია არათანაბრივად დასახლე-
ბული. ყველაზე მეტი სიმჭიდროვეზე
გამოიჩინა ზღვისპირა აქარა, ხადაც
მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხვვ-
რობს ქალაქით. სასოფლო დასახლებუ-
ლი ბუნებრივის რაონდენბა აქ გაცილე-
ბით ნაწებია, ვიდრე შიდა აქარაში.
სამაგიროდ აქარი სოფლები ბევრად
უფრო ხალხმრავალია. ამავე დროს
ზღვისპირა აქარის ტერიტორიაზე, მის
სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებსა და
ქვეზონებს შორის მოსახლეობის გან-
წილება ერთნაირი არ არის.

ზღვისპირა ვაკე-დაბლობის ზონაში
გაშენებულია ქალაქები, დაბები, ხოლო
სოფლები განლაგებულია დადაც სიმჭი-
დროვით, ახლო-ახლოს. ორსართულიანი
საცხოვრებელი სახლები დამხმარე ნაე-
ბობებით, ხეხილისა და ციტრუსების ბა-

ღებით, მეტად ლამაზ იერს აძლევს აქაურ სოფლებს.

ბორცვიანი ქეჩინია (ზღვის დონიდან 600 მ. სიმაღლემდე) გამოიჩინება ხშირი დასახლებით, ახლო-ახლოს მდებარე დო-დი სოფლებით. ორსართულიანი ქვედა და წილა-ბეტონის სახლები, დაბა-მარე ნაგებობები, ლამაზაზ შეღობილი ეზოები, სუბტროპიკული ბაღები — აი რა აშენებს მ სოფლებს.

გრძელებისა და დაბალი მთების ქვე-ზონისათვის (600 მეტრის ზევით). დამახასიათებელია ბატარ-პატარა გა-ფანტული სოფლები. სამთახლო აღ-გილების სიმცირის გამო საცხოვრებელი სახლები ერთმანეთთან ახლოსა. სახლე-ბის მეტი ნაწილი აშენებულია წაბლის ხის მასალისაგან. საარმიშამო ნაკვეთე-ბი მდებარეობს მეტად დახრილ უერ-დობებზე. მ ნაკვეთებზე კაშენებული აქვთ ხეხილი, მასდაცნ მეტოსტულია და მეტიმანლეობას.

მოსახლეობის სიმცირროვეზე და მის განლაგებაზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტრილი ცნობები:

ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების სოფლებში გაცხოვება რაოდენობა შეაღწის 98329, ანუ საშუალო ერთ სოფელში მოდის 964 მცხოვრები. შიგა აქარაში კი 188 სოფელზე მოდის 76103 მცხოვრები, ანუ ოთოვეულ სო-ფელზე საშუალო 405 მცხოვრები. როგორც ცხედდეთ, ზღვისპირა რაიონებში იორჯე მეტია სოფლების საშუალო სიდიდე, ვიდრე შიგა აქარაში. უფრო მსხვილი სოფლების წარმოქმნა ზღვის-პირა აქარაში ხელი შეუწყო რელიეფის ნაკლებმა დანაწევრებამ, ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობმა და ინტენ-სიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებამ.

აქარა უფრო მცირდლად დასახლე-ბული, ვიდრე მთლიანად აღებული საქა-რთველოს ტერიტორია. განსაკუთრებუ-ლი სიმციდროვეა ზღვისპირა აქარის ტე-რიტორიაზე. ერთ კვ. კმ.-ზე ხელვაჩაურის რაიონში 146,2 კაცი და ქობულეთის რაი-

ონში 97,6 კაცი მოდის. ერთ კვ. კმ.-ზე დამშავებული მიწის ფართობზე სოფ-ლის მოსახლეობა აქარაში სულ 342 კაცს შეაფენს. აღსანიშვავი, რომ ეს მაჩვენებელი გაცილებით უფრო მა-ღალია შეგა აქარაში, ვიდრე ზღვისპირა რაიონებში და მაიც ხელვაჩაურის რაი-ონში იორჯე მეტია სოფლის მოსახლეო-ბის სიმციდროვე საქართველოს ახლო-გიურ საშუალო მაჩვენებელთან შედა-რებით.

განსაკუთრებული იგრძნობა სიმციდროვე ზღვისპირა ზოლში 200 მ. სიმაღლემდგ-ხოლო უფრო ზემოთ და ზემოთ, სიმაღ-ლის მატებასთან ერთად მცირდება მო-სახლეობის რაოდენობა.

სუბტროპიული მეურნეობა სამოფ-ლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებ-თან შედარებით შრომატევადი დარგია. იგი გრძელებით ნაკლებად მექანიზე-ბულია. ამის ერთ-ერთი შიშვილი ისაა, რომ საკვლევა ტერიტორიის რელიეფის მეტი ნაწილია არ არის ხელუაყრელი რესებული მექანიზმებისა და მანქანების მაქინიალურად გამოყენებისათვის. ამა-სთან, თუ მეცილებთ მხედველობაში, რომ საშუალო ერთი ჰექტარი სრულ-მოსაკლიანი ჩაის პლანტაციის დამუშა-ვებს სკორდება 400-500 კაცზე, მან-დარინის ბაზა — 240-250, ლიმონისა — 270-280, ფონოსტესას — 250-260. ტუნგოს ფართობს — 60-70 და ა. შ. დაკრწმუნდებით, რომ საკვლევ ტერი-ტორიიზე სუბტროპიული მეურნეობის განვითარებისათვის საჭიროა დიდიალი შრომითი რესურსები. მიუხედავად ამი-სა, აქარის სუბტროპიული რაიონები უზრუნველყოფილია აღვილობრივი მუ-შახელით. მართალია, ზოგიერთი მეურ-ნეობა ნიშილობრივ იყენებს გარედან შემოყვანილ მუშახელს, მაგრამ მომავა-ლში ეს საჭირო არ იქნება, თუ რაციო-ნალურად გამოიყენებო აღვილობ-რივ შრომით რესურსებს, რომებიც ყერ კიდევ მაქსიმალურად არ არის და-ტერიტორია. ასე, მაგალითად, 1967 წელს შრომის სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია ქობულეთის რაიონში

კოლმიურნეთა — 12,2, ხელვიაურის რაიონში — 8,5, ქედის რაიონში — 11,7, შუახევის რაიონში — 11,0, ხულოს რაიონში — 10,1, მთლიანად აქარაში კი 10,2 პროცენტს. ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას მოწმობს ის ფაქტი, რომ მომდევნო 1968 წელს აქარში შრომის სავალდებულო მინიმუმის გამოუმუშავებელთა რიცხვი დაინდა 9,4 პროცენტად.

აქარაში სუბტროპიკული კულტურების განვითარება მომავალშიც უზრუნველყოფილი იქნება აღგილობრივი შრომითი რესურსებით. თუ მხედველობაში შევიდებო, რომ მოსახლეობა საშუალოდ ყოველწლიურად იზრდება 5874 კაცით, მცხოვრებთა ასეთი მატება მთლიანად უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებას. სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭრებისა და ინტენსიურიაციის პირობებში სრული საფუძველი გვაძეს დავასკვნათ, რომ მუშაველის გარედან შემოვანა საჭირო არ იქნება.

სახალხი მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში ღილი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის განათლების ღონისძიებებს, რასაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიეკუთ. მანამდე ჩამორჩენილი, წერაკითხების უცოდინარი კუთხე დღეს დაწინაურებულ ავტონომიურ რესპუბლიკას წარმოადგენს.

აქარაში 1970 წლის პოლოსათვეს უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვი 13248 კაცს შეაღვენდა, ყოველ ათას სულზე მოდიოდა 56 უმაღლესდამზარებული. უმაღლეს დაუმთავრებელთა რიცხვი კი 3051 უღრიდა და ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 13. საშუალო სპეციალური განათლებით იყო 15548, ათას მცხოვრებზე — 66; საშუალო ზოგადი განათლებით — 43715, ათას მცხოვრებზე — 185; არასრული საშუალო განათლებით — 52174, ათას

მცხოვრებზე — 221; დაწყებითი განათლებით — 65122, ყოველ ათას მცხოვრებზე — 276 კაცი.

ეს ციფრები ნათელ წარმოდგენის მიზანით დაგენერირდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში უმაღლესი და საშუალო განათლების მქონეთა რიცხვით აქარაში.

პირველ ხანებში არ იყო აგროსპეციალისტები, რის გამო რაიონებში სსილენინ აგრონომიული მომსახურების პუნქტებს. 1925 წელს მწვანე კონცხზე გაისნა აქარის სუბტროპიკული ტექნიკური, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის კვალიფიცირებით კადრების მომზადებისათვის. შრომითი რესურსების შემადგენლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მაღალი კვალიფიცირების სპეციალისტების რიცხვი. ამჟამად აქარის მრავალუროვან სახალხო მეურნეობას სპეციალისტთა ღილი არმია ემსახურება.

აქარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ხელმისაწვდომენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქნე სპეციალისტები. მათი ნაყოფებით შრომის შედეგიც არის, რომ აქარის სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად ღილ წარმატებას აღწევს.

მოცოვებული წარმატებებისათვის აქარის ავტონომიურ რესუბლიკაში სსრ კავშირის ორგანებით და მედლებით დაგილდობებულია 3995 კაცი. მათ შორის სოციალისტური შრომის გმირის წოდება აქვს 187 კაცს, ლენინის ორდენი — 457 კაცს.

აქარის მშრომელები კანონიერად ამაყობენ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1967 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულებით აქარის ასსრ სახალხო მეურნეობის განვითარებასა და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაგილდოვდა ლენინის ორდენით.

ამინან თავაჩილებები

სასაქონლო რესურსები და მისი ზრდის რეზერვები პრეზიდენტის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში 24-ე ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟენევმა ონიშნა, რომ სახალხო მოხმარების საქონლით ბაზრის უზრუნველყოფა დიდი და რთული საქმეა. ახალ ხელმისაწვდომი გავაქვთ შესაძლებლობა, სერიოზულად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მომარავება. ამ ამოცანის გადაწყვეტა ახლა საგსებით შეესაბამება ჩვენს ძალებს, ოღნიდ საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ახსებული რეზერვები; ისინი კი არის თითოეულ რესპუბლიკასა და ოლქში, თითოეულ ქალაქში, თითოეულ საწარმოში. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება უნდა გაიზარდოს უფრო სწრაფი ტექნიკით, ვიდრე საბჭოთა ადამიანების ფულადი შემოსავალი.¹

ცხადია, სასაქონლო რესურსების შემდგომი გაღილებისა და მოსახლეობის უფრო სრულად დაკმაყოფილების რეზერვები, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც არის.

ერთი მხრივ, აჭარის ასარ სახელმწიფო და კონკრეტული ვაჭრობის სასა-

ქონლო უზრუნველყოფის, და მეორე მხრივ, მოსახლეობის მოხლი შეიღველობითი ფუნქციების აღვალზე რეალიზაციის ცნობელების სულ უფრო აქტუალურს ხდის სასაქონლო რესურსების რეზერვების გამოვლინებისა და მათი დაგეგმვის სრულყოფის მნიშვნელობას.

სასაქონლო რესურსები წარმოადგენს საბჭოთა ვაჭრობის მატერიალურ საფუძველს. მისი გაღილება მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდის უზრუნველყოფისა და საცალო ფასების შემცირების საფუძველია. ამასთან დაკავშირებით პარტიის 24-ე ყრილობის ღირებულებულ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხელშეკრუნვით გეგმის შესახებ“ ონიშნულია, რომ მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდის უზრუნველყოფად საჭიროა მნიშვნელოვნად გავაღილოთ სასაქონლო რესურსები და უფრო სრულად შევავსოთ ბაზარი საჭირო ასორტიმენტის მაღალხარისხის სახვის საქონლით, უზრუნველყოფით სახალხო მოხმარების საქონლის ფასების შემცირება სასაქონლო რესურსების დაგროვების კვალობაზე.

მაშინადამე, სასაქონლო რესურსები უაღრესად მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მოსახლეო-

1 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1971 წლის 31 მარტი.

გის რეალური შემთხვევის ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი გაზიარებისთვის.

სასაქონლო რესურსების ძირითადი წყარო მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. სასაქონლო რესურსების წარმოებაში შრომის რესტრანგერათშორისო ღანაწილების შესაბამისად თავისი წვლილი შეაძებელი ცველა მოკავშირე რესტრანგერების და შიდარესაცხოვლის ტერიტორიულ ერთეულებს. მაგალითად, აქარის აეტონომიცრი რესტრანგერი, რომლის წილად მოდის საქართველოს მთელი ტერიტორიის მხოლოდ 4,3 პროცენტი, აქარმოებს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 7,5 პროცენტს და კოლმეურნობების მთლიანი პროდუქციის 8,2 პროცენტს.

მასთან უნდა შევნიშნოთ, რომ აქარში ჭარბობს საკერძარო სეცუიალიზაციის დარგების (ნავთობგარაბაშვილების მრეწველობა, ჩა, ცტრუს) პროდუქციის ხევლრითი წონა, რომელიც ძირითადად გატანის საგანია და ნაკლებად დაიფებს. დაგილობრივ სასაქონლო რესურსებს. ყოველივე ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აქარისათვის სასაქონლო რესურსების ცენტრალიზებული წესით გამოყოფის.

აქარში, ისე როგორც სხვა მოკავშირე და აეტონომიცრ რესტრანგებში, სასაქონლო რესურსების გარევაზე ნაწილი წარმოაქმნება აღვარზე წარმოებული პროდუქციის საფუძველზე. ამასთან აქარში დამზადებული პროდუქციის მიშენელოვანი ნაწილი გააძვრავთ, სხვა მხარეებიდან კი შემოაკვთ ის, რაც აქაციალ საქონელბრუნვის ხმარდება.

აქარის ასრ სასაქონლო რესურსები 1960 წლის 88.600 ათასი მანეთიდან 1965 წელს გადიდა 101.291 ათას მანეთმდე, ხოლო 1970 წელს — 153.198 ათას მანეთმდე. სასაქონლო რესურსების მთლიანი მოცულობის ზრდის შესაბამისად სისტემატურად დაიდება როგორც ცენტრალიზებული ფონდების ფიზიკური ფონდების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად მთლიანად ეკონომიკის, კერძოდ, საქონელბრუნვისა და სასაქონლო რესურსების დაგეგმვაში განუხელავ იზრდება აღგილობრივი ორგანოების უფლებები და ფართოვდება მათი ინიციატივა.

აქარში აღგილობრივი სასაქონლო რესურსების შედარებით სიმცირეს და მათი შემდგომი ზრდის რეზერვებს ავლენს მთლიანი რესურსების სტრუქტურის შესწავლა, ანუ შემზიდული და აღვილზე წარმოებული რესურსების თანაფარლობის ანალიზი. მაგალითად, ფართო მოხმარების ისეთი უმნიშვნელობისა, ცენტრალური წესით განაწილებული ფონდმით განაწილებული რესურსების ზრდის ტემპი აღმატება ცენტრალიზებული წესით განაწილებული წელი 1960 წელს 61.886 ათასი მანეთიდან 1965 წელს გადიდა 80 მილიონშეუმცირებით თამავრება, 1970 წელს კი 80 მილიონშეუმცირებით თამავრება, მაგრამ ამ შერიცოდში არაცენტრალიზებული ფონდმით განაწილებული რესურსების ზრდის ტემპი აღმატება ცენტრალიზებული წესით განაწილებულს. ყოველივე მათს შედეგად სასაქონლო რესურსებში ყოველწლიურად იზრდება არაცენტრალიზებული ფონდების სევერითი წონა, და პირიქით — მცირდება ცენტრალიზებული წესით განაწილებული ფონდების წილი. მაგალითად, 1960 წელს მთლიან სასაქონლო ფონდებში 63,6 პროცენტი მოდიოდა ცენტრალიზებულ, ხოლო 36,4 პროცენტი არაცენტრალიზებულ რესურსებზე. მომდევნო პერიოდში ეს თანაფარლობა მნიშვნელოვანად შეიცვალა და არაცენტრალიზებული ფონდების წილი 1965 წელს 38,9 პროცენტიდან 1970 წელს 47,8 პროცენტამდე გაიზარდა.

მთლიან სასაქონლო რესურსებში როგორც ცენტრალიზებული, ისე არაცენტრალიზებული სასაქონლო ფონდების ფიზიკური მოცულობის ზრდის პირდებში არაცენტრალიზებული ფონდების წილის თანაფარლობითი ზრდა დაუდებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. აქარის მაგალითზე ეს იმას ნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად მთლიანად ეკონომიკის, კერძოდ, საქონელბრუნვისა და სასაქონლო რესურსების დაგეგმვაში განუხელავ იზრდება აღგილობრივი ორგანოების უფლებები და ფართოვდება მათი ინიციატივა.

აქარში აღგილობრივი სასაქონლო რესურსების შედარებით სიმცირეს და მათი შემდგომი ზრდის რეზერვებს ავლენს მთლიანი რესურსების სტრუქტურის შესწავლა, ანუ შემზიდული და აღვილზე წარმოებული რესურსების თანაფარლობის ანალიზი. მაგალითად, ფართო მოხმარების ისეთი უმნიშვნელობისა, ცენტრალიზებული ფონდების ფიზიკური ფონდების ისეთი

ლოვანესი საქონელი, როგორიცაა შალის ქსოვილი, აქარაში საერთოდ არ წარმოება და ეს პროდუქტია შემოვვაჭეული სხვა მხარეებიდან.

1970 წელს აქარაში დამზადდა 555 ათასი გრძივი მეტრი ბაზბის ქსოვილი, მაგრამ ამან მხოლოდ 11,3 პროცენტით დაფარა მოთხოვნილება. ამ საქონლის ძირითადი მასა — 80,3 პროცენტი შემოზიდულია. მთ შორის 5,3 პროცენტი იმპორტულია, 8,4 პროცენტი წარაჭლის სასაქონლო ნაშთი.

შეკვერილი ნაწარმის 32 პროცენტი აქარის ადგილობრივი პროდუქტია, 62,6 პროცენტი შემოზიდული, აქედან 9,5 პროცენტი იმპორტული და 5,4 პროცენტი წინა წლის ნაშთი.

ტრიუქტაუის ნაწარმის ფონდებზე აქარის გაზრის მოთხოვნის ადგილობრივი წარმოება ფარავს 29,5 პროცენტით და ძირითადი მასა — 65,8 პროცენტი გარედანაა შემოტანილი. მასში 10,2 პროცენტი უკირავს იმპორტულ საქონელს, ნაშთების წილი 4,7 პროცენტს შეადგენს.

აქარაში წარმოებული სასაქონლო რესურსებიდან ადგილობრივი გაზრის მოთხოვნის ყველა საქონელზე მეტად — 34,3 პროცენტით ფარავს ტყავის ფეხსაცელი. 1970 წელს დამზადდა 849 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცელი, რაც 102 პროცენტით მეტია 1969 წელთა შედებით.

აქარაში 1970 წელს წარმოებული ავეჯი შეადგენდა ამ საქონლის მოელი რესურსების მხოლოდ 28,2 პროცენტს.

გამსაკუთრებით მწვავედ დგას სასურსათო საქონლის რესურსების ზრდის პრობლემა. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იყყობოს ხორცით მომარავება. მეცხოველეობა კვლავ ჩჩება აქარის სოფლის მეურნეობის კოწრო ადგილად, შარშან დამზადდა 3,298 ტონა ხორცი, რითაც აქარის მოთხოვნა ხორცის სასაქონლო ფონდებზე დაიფარა მხოლოდ 12,8 პროცენტით და დანარჩენი, 7-ჯერ მეტი (87,2 პროცენტი), შემოზიდეს. აფგანის კიდევ უფრო ნაკლებია კორაქის

წარმოება. მისი ოდენობა 44 ტონას არ აღემატებოდა. ერთ-ერთული როგორც აღნიშნებოდა, აქარაში მაპროფილებელ დარების მეჩიერება და მეცეტრუსეობა წარმოადგენს, მავრამ, უფიქრობთ, მსუბუქი, და განსაკუთრებით კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგის სერ ჩამორჩენას არ შეიძლება შევურიგდეთ. ეს მით უფრო უნდა ითვეს, რომ აქარის მზარდი კურორტები სულ უფრო გაზიჯებულ მოხსენებს აყენებენ კვების პროდუქტებზე.

ამოცანა იმაში მდგრამარეობს, რომ წარმოების რეზერვების უფექტურად გამოყენებით მივაღწიოთ სასაქონლო რესურსების ზრდას და ბაზარი დაგამაყიფილოთ უფრო მეტად აღვალზე წარმოებული პროდუქციით.

ანალიზი ცხადყოფს, რომ აქარისათვის გამოყოფილი სასაქონლო რესურსები, გვერდით, საქონელპრუნვის გეგმასთან შედარებით ნაკლებია, და მორჩეც. მასი რაონცეული განაწილება მეტისმეტად უთავაპრო.

აქარისათვის სასაქონლო ფონდების გამოყოფის ღრის ნაკლებადაა გათვალისწინებული აგტონმოური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტური, ის გარემოება, რომ აქ წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაშილი გატანის საგანია და ნაკლებად ზრდის ადგილობრივ სასაქონლო რესურსებს; აქარისათვის სასაქონლო რესურსების გამოყოფისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აგრეთვე შესი სოფლის მეურნეობის მაღალსაქონლივინა. აქარაში კაცილის ანაზღაურება მნიშვნელოვნად უფრო მაღალა, ვიდრე მთლიანი საქართველოში. ამდენად მას უნდა შეკვარდებოდეს საქონლის მომარავება. ამავე ღრის ანგარშში უნდა ჩავაღლოთ სულ უფრო მზარდი კურორტების დიდი მოთხოვნილება, აქარისათვის გამოყოფილმა სასაქონლო რესურსებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად წლიურად უნდა დააქმაყიფილოს დახალოებით 100 ათასი არაორგანიზებული დამსვენებლის მოთხოვნა საქონე-

ლზე, განსაკუთრებით სასურსათო პრო-
ცუტებზე.

სერიოზული ნაკლვანებებით სასაქო-
ნლო ჩესურსების დაგეგმვიში. აქარისა-
თვის გამოყოფილი სასაქონლო ფონდე-
ბი არ ემყარება ეკონომიკურად დასა-
ბუთებულ მოთხოვნებს, მოსახლეობის
მყიდველობით ფონდებს. გამოყოფილი
სასაქონლო რესურსები მთელი რიგი
წლების მანძილზე ვერ ფარავს საცალო
საქონელბრუნვის გეგმას, ზოგიერთ
წლს კი გამოყოფილი ფონდები, მარ-
თალია, ფარავს საქონელბრუნვის გეგმას,
მაგრამ არ აღემატება მას, რაც საჭიროა
საგეგმო წლის დასასრულს სასაქონლო
მარაგებისა და დანაკარგების შესესებად.

ამჩვენად, ამოცანა იმაში მდგრმა-
რობს, რომ აქარის ასრ სახელმწიფო
და კომპერაციული ვაჭრობისათვის
მინშველოვნად გადიდეს სასაქონლის
მწიფობება და გაუმჯობესდეს სასაქონლო
რესურსების სტრუქტურა, რათა გამო-
ყოფილი ფონდები შეესაბამებოდეს მო-
თხოვნას არა მხოლოდ ღირებულებრივი
მნიშვნელობით, არამედ ამასთან ხარის-
ხითა და ასრობტიმენტით.

აქარის აღგილობრივი სასაქონლო რე-
სურსების ზრდის ინტერესები მოითხოვს
ყველა იმ რეზერვის გამოვლინებას,
რომლებიც არსებობს, როგორც წარმო-
ებას, ისე მიმღეცევის სფეროში. ბირველ
ყოვლისა უნდა გაუმჯობესდეს წარმოე-
ბისა და ვაჭრობის ურთიერთობა. მაგა-
ლითად, 1970 წელს აქარის სარეზევულო
საწარმოებს არ შეუსრულებიათ ვაჭრო-
ბის სამინისტროს სისტემის სავაჭრო
ორგანიზაციების დაკვეთების 18 პრო-
ცენტი.

ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ აქა-
რში სასაქონლო უზრუნველყოფა ძი-
რთადად ხორციელდება შემოზიდული
რესურსების ხარჯზე, ხოლო აქარში
წარმოებული პროდუქციის წილშვერდი
შეზარებით ნაკლებია. ასეთ პირობებში
კიდევ უფრო იზრდება საქონლის ხარის-
ხის როლი ადგილობრივი სასაქონლო
ფინანსების წარმოქმნაში; წარმოების
წუნი და არასტანდარტული პროდუქცია,

ამცირებს ისედაც შედარებით გამო-
იდგილობრივ სასაქონლო ფინანსურულებულების
პირივით, მათილხარისხოვთვის გადა-
სასაქონლო რესურსებს. „ახალ პირო-
ბებში, თუ მხედველობაში მივიღებთ
მთელი სახალხო მეურნეობის უფერტს,
უკეთესი — ეს თითქმის ყოველთვის
ნაშანეს მეტაცა“ — ამპობდა ლ. ი.
ბრეენევი სკპ XIX ყრილობაზე.

აქარის ას რესპუბლიკურში 1970 წელს
შემოწმდა აღგილობრივი, მსუბუქი და
კვების მრჩეველობის საწარმოთა მიერ-
გამოშვებული 125.596 პირობითი ერთე-
ული სხვადასხვა საქონელი, რომელთვის
წარმოების წუნის გამო დაბალ ხარისხში
გადაიყენეს 27.151 პირობითი ერთეუ-
ლი, ანუ შემოწმებული პროდუქციის-
მეცნულებები შეტე — 21,6 პროცენტი.
ეს იმავ ნიშანას, რომ აქარში სასაქონ-
ლო რესურსების ზრდას რეზერვები
უწინარეს ყოვლისა წარმოების პროცეს-
ში უნდა ვეძიოთ.

ამავ თვით ვაჭრობის რგოლებში არ-
სეცცლი ხარევების შესახებ. როგორც
ცნობილია, საბჭოთა ვაჭრობა ძირითად
ფუნქციასთან — წარმოებული პროდუ-
ქციის მომზარებლამდე დაყვანასთან ერ-
თად, ანხორციელებს აგრეთვე სხვა-
ფუნქციებასაც, კერძოდ, გეგმიანად ზე-
მოქმედებს სახალხო მომზარების საგნე-
ბის წარმოებაზე.

წარმოებაზე ვაჭრობის ზემოქმედების
ძირითადი მიზანია გაუმჯობესდეს საქო-
ნლის ხარისხი და გაუძრაობდეს ასრო-
ტიმენტი. მოქმედი დებულება არა მარ-
ტო უფლებას აძლევს, არამედ ავალე-
ბულებს კიდევ სავაჭრო ორგანიზა-
ციებს უარი თქვან და არ დაუშენ საცა-
ლო სავაჭრო ქსელში უხარისხო საქო-
ნლი.

ცხადია, საქონლის იმ უზარმაზარი მა-
სის ხარისხის ასროცენტრიანი შემოწმე-
ბა, რომელიც ვაჭრობაში მიემართება,

1 განვითარების სამუშაოსტი, 1971 წლის
1 პრილი.

პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ საქონლის ცალკეული ჯგუფებისათვის დაღვენილია ვარკვეული პროცენტი, რომელიც სავაჭრო რგოლებმა აუცილებელად უნდა შეამოწმონ ხარისხის მხრივ (ქსოვილისათვის 10 პროცენტი, მზარეულისამლისათვის 15, ფეხსამტლისათვის 20 და ა. შ.). თუ ამ ასპექტით განვიხილავთ აქტოს სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობას, აღმოჩნდება, რომ ისინი ხშირად ქმედითად ვერ იყენებენ მათვის მინჭებულ უფლებას და აღგილი აქცეს სავაჭრო ქსელში დაბალი და უხარისხო საქონლის შეღწევის მრავალრიცხოვან ფაქტებს, რაც აძლიერებს სასაქონლო რესურსებს. მაგალითად, 1970 წელს აქარკომპაკტირის სარაინთაშორის ბაზაში 9.764 ერთეული სამრეწველო საქონლიდან 4.235 ერთეული, ანუ 43,3 პროცენტი მოიხსნა რეალიზაციიდნ საწარმოო დეფექტების გამო. და ეს გაშინ, როცა თვით ამ სავაჭრო საბითუმო ბაზის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად საქონლის მხოლოდ 0,6 პროცენტი დაუბრუნეს საწარმოს. „საქტანსაცმელვაჭრობას“ აქტოს სავაჭრო ბაზაში შემოწმებული 10.818 ცალი შეკერილი ნაწარმიდან დაბალ ხარი-

სხში გადაიყვანეს და რეალიზებული მოხარეს 6.024 ერთეული — ერთმანეთური ბული საქონლის 56 პროცენტში მდგრადია.

ამრიგად, აქტოში აღვილობრივი სასაქონლო რესურსების ზრდის ინტერესები მოითხოვს წარმოებისა და ვაჭრობის ურთიერთობის გაუმჯობესებას, წარმოებაზე სავაჭრო ორგანიზაციების ზემოქმედების ამაღლებას. ამ მიზნით აქტოს სახელმწიფო და კონპერაციულმა ვაჭრობამ ქმედითად უნდა გამოიყენონ წინასწარი დაკვეთების სისტემა, ფართოდ დაწერებინ სამრეწველო საწარმოებთან მირეცელი სავაჭრო ორგანიზაციების პირუაპირი კავშირურთოერთობის პრაქტიკა, გულდასმით გასინჯონ საქონელი და მოქმილად გამოიყენონ სანქციები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მრეწველობის საწარმოო პროცერამის დამუშავებაში.

აღნიშნული ღონისძიებანი ხელს შეუწყობს სასაქონლო რესურსების ზრდას, საქონლის ხარისხის ვაზმჯობესებასა და ასორტიმენტის გაუარობებას. ეს მოლეანდ შეესაბამება სკოდ 24-ე ყრილობის დირექტივებით განსაზღვრულ ამოცანებს მოსახლეობის მატერიალური კუთილდლების ამაოლების დარჯში.

ნიგერის მიმოწლე



ოთხტომეულის პირველი წიგნი

„ნარკოვები და ჩანაშერები“, — ასე ეწოდება ღიც. ჭ. ნოღაიდელის მეცნიერული მემკვიდრეობის ოთხტომეულს, რომლის პირველი წერი ახლახინ გამოსაცა გამომცემლობა „საბორთო აკადემია“. იგი წარმოადგენს გამოკვლეულებისა და სხვა ხასიათის წერილების კრებულს.

ჭ. ნოღაიდელი კარგად არის ცნობილი ქართველი საზოგადოებრიობისათვის. იგი სამი ათეული წლის მანძილზე ერთ-გულად, ნაყოფიერად ემსახურებოდა თავის შემობლიურ კუთხეს და დიდი ღვაწლი დასდო აქარს ეთნოგრაფიული ყოფის, ფოლკლორული შემოქმედების, ქართული ენის აქართული კილოს მეცნიერული შესწავლისა და ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეს. ჭ. ნოღაიდელის ეთნოგრაფიული, ფოლკლორისტული, ენათმეცნიერული გამოკვლეული და ხალხში შეკრებილი შესაბამისი მასალები მის სიცოცხლეშივე რამდენჯერმე გამოიცა, მაგრამ ამ წიგნების მამართ ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ არც ერთი ეგზემპლარი საგაროთა თაროებში დიდხანს არ დარჩენილა. რომ არაფერი ვთქვათ 30-40-იან წლებში გამოცემულ კრებულებზე, მეცნიერების გარდაცვალების ერთი წლისთვის გამოშვერცხული ნაშრომიც („ჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები“, თბ., 1967) უკვე ბიბლიოგრა-

ფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ამ ფაქტმაც განაპირობა, რომ ჭ. ნოღაიდელის დღემდე გამოუძველებელ ნაშრომებით ერთად ადრინდელი ნაშრომებიც ხელახლა გამოცემულიყო.

ამ საპატიო საქმეს ხელი მოჰკიდა და დიდი შრომა გასწია პროფესიონალის მეცნიელიძეს. მან მოამზადა გამოსაცემად ჯემალ ნოღაიდელის „ნარკოვებისა და ჩანაშერების“ პირველი წიგნი, მანვე დაურთო წინასიტყვაობა, კომენტარები და შენიშვნები ლექსიკონითურთ.

კრებულის პირველ ნაწილში განხილულია ეთნოგრაფიული ნარკვეები და მასალები, რომლებშიც ნაჩერებია აქარელთა ყოფაცხოვრების წეს-ჩერულებანი, დაკავშირებული საოჯახო ყოფის სხვადასხვა მხარესთან: მშობიარობასთან, ქორწილთან, მეცე-დაღლოულის პირველ შეხედრასთან („ჩაკერთა“, საქორწილო-სატესტებეულებო თამაშობასთან („ფაღიკო“), წინადაცვეთასთან და სხვ. აქვეა მოცემული ცრუმორწმუნების ნიდაგზე აღმოცენებული და ხალხის ყოფაში ფეხვევაღმმული ჩერულება-შექედულებანი. მეცნიერები მიუთითებს, რომ გაღმონაშობის სახით ასებიული ეს წეს-ჩერულებანი და შეხედულებანი წარმართული, ქრისტიანული და მაპმაღია-

წერი რელიგიების დანაშრევებს წარმოადგენს (გვ. 121).

ვ. ნოღიადელის მიერ 30-იან წლებში აღწერილი წეს-ჩვეულებათაგან ბევრია რამ დღეს ცუკი მივიწყებასა, მიცემული. ზოგიერთი წეს-ჩვეულება, რაც 30-40 წლის წინანდელი აქარის მკეთრთა ყოფისათვის ცუკი დამახასიათებელი, ამ-ევამად მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულ ლიტერატურაში, მათ შორის ცველის უკეთ, სწორებ ვ. ნოღიადელის ნაშრომებშია დაცული. „აჭარა ღლეს ჩამბულია სოციალისტურ მშენებლობაში და იძრდვის ახალი ყოფის განმტკიცებისათვის. მაგრამ ამასთანეე აჭარის მშრომელ მოსახლეობას სურს იცოდეს თავისი ისტორიული წარსულის სინამდვილე, ხოლო ამისათვის საჭირო ველი და წარმავალი ყოფის დამახასიათებელი ჩვეულებების აღწერა, შეექრება. მათი პარქისისტულად ჟესტურა და გაშექება“, — წერდა კრებულის ავტორი ჭერ კაჯავ სამი თეოული წლის წინათ. (გვ. 11).

სარეცენზიო კრებულის ერთი თავი საწესჩვეულებო სიტყვიერების მიმოხილვას უკირავს, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს ფოლკლორისტივისა და ეთნოგრაფიის თვალსაზრისით. მასში ვა-ნებილულია კალენდარული (ცხემლის ჭრა, საახალწლო, ჭაობის ფერხვა, ცეკვლის შენახვა, ხვანა-ოქსევა და ხარების ავი თვალისაგან დაცვა, ნისესხები და სხვ.) და საყოფაცხოვრებო (ყევნობა და ბერიყაობა, სამკლოვიარო წეს-ჩვეულება) რიტუალები და მათი ამსახველი სიტყვა-ერი ნიმუშები.

წიგნში ხაზგასმით არის ნაჩვენები, რომ თაობიდან თაობაზე ტრადიციულად გადმოსულ მავიზურ ჩვეულება-რიტუალების შესრულებას ხალხური რწმენა გარკვეულ სამეურნეო პრაქ-ტიკულ მნიშვნელობას აიწერდა. მაგა-

ლითად, ხალხში ასებული რწმენები, მახვდვით ლაზარობასთან დაკავშირდებული რატერალების შესრულებულების მოყვანადა (გვ. 132-134); პერებულების ცარში ცეკვლის შენახვა, რაც ცეკვლის კულტონ არის აუკავშირებული. ოჯახს ბეჭინერებას მოუტანდა, ხოლო ცეც-ლის გაქრობა — უბეღურებას (გვ. 124-125).

შევლევარის აზრით, საქონტილ-სა-წესჩვეულებო თამაში „ფაღიურ“ თავისი გენეზისითა და ფუნქციით იგივეა, რაც „ბერიყაობა“. ავტორის ბუნებრივიად ერენება, აგრეთვე, რომ ამ თავიშობას მკედრო კავშირი აქვთ ფალის კულტონ აუკავშირება. ამასეულ უაბლოდება თამაშობა „დათვობია“. ნაშრომში კარგად ჩანს ისაც, რომ ბერიყაობა, ფაღიურ და დათვობია ხალხურ სანახაობის მოქმედებას წარმოადგენს და უანრობრივია ხალხურ დრამის განკუთვნებიან.

კრებულში მნიშვნელოვანი იღვილი აქვს დათმობილი მესიკალური ფოლკლორის საკანონებს. ცალკეულ ნარკვევებში („ძეირფასი საუნგე“, „აჭარული სამწითომედო შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგადი დახასიათება“, „შრომის სიმღერები“, „ნაღური სიმღერების ჰინგვები“, „სიმღერების ერთი კრებულის შესახებ“, „სამუსაჯი საკრავები“), ნაჩვენებია აჭარაში გარეულებული ნაღური შრომის სიმღერების ძირითადი თავისებურებანი, დახასიათებულია მათი ოთხემიანობა.

ხალხურ ნაღურ სიმღერათა ოთხემიანობას, როგორც ცუკი ცნობილია, პირველად ვ. ნოღიადელმა მიაკვლია და ამ საკოთხე მუშაობა მას სიცოცხლის უკანასკნელ ღლემდე არ შეუწყეტია. ეს კარგად ჩანს სარეცენზიონ ნაშრომშიც, სადაც ოცდარვა ნაღური სიმღერა ცალკეულია განხილული. ავტორის თქმით „დასავლეთ გურიასა და ქობულეთის მხარეში ყანაში დილიზან მოყოლებული

საღამომდე სულ სხვადასხვა სიმღერას მღეროლნენ, რაც დაახლოებით ოცდა-თორმეტამდე აღწივდა“ (გვ. 67). ამას თან ერთად ნაშრომში ხაზგასმულია, რომ გვაქვს მოელი რიგი ნაღური სიმღერებისა, რომელთა სახელწოდება და ტექსტები შემონახულია, მაგრამ მათი ვანგები უკვე აღარავინ იცის. ასეთი სიმღერებია: „ლლა“, „ლუპაა“, „ლორჯო ირემს გაჰკიდაა“, „ჭურუვითულაა“, „ფარანულაა“, „ელმა თუ მელამარ“ და სხვ. „იქნებ მოვნახოთ გურიაში ან აქარაში აზამიანები, — წერდა მკვლევარი, — რომელთაც ეცოლინებთ დასახელებული სიმღერების პანგები, რომ მომავალ თაობას არ დაუკუარგოთ ეს მღიდარი განძი“ (გვ. 68).

მესიყალურ მხარესთან ერთად ნაშრომში გაანალიზებულია ნაღური შრომის სიმღერების სიტყვიერი ტექსტები, რომელშიც არქაული პერიოდიდნ მომდინარე ბევრი საინტერესო ელემენტი შეინაშება. მოელი რიგი სიმღერების ტექსტები ე. შ. „უსიტყვო“, გამზული შეძახილებისაგან შედგება. ამ მხრივ საყურადღებოა სიმღერები: „მშვიდობა“, „მოას ხოხობი აურენილა“, „შარშანდელსა ნაყარება“, „ჩიორ-ჩიტი“, „ბერიყაცი“, „ელესა“ და სხვ.

შრომის სიმღერები და შესაბამისა ლექსები საქართველოს სხვა კუთხეშიცაა ცნობილი, მაგრამ აქარისა და გურიის მესიყალური ფოლკლორი, კერძოდ, ნაღური შრომის სიმღერები განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება. როგორც წიგნის ავტორი მიუთითებს, ყველზე უფრო მღიდარია ქობულეთის მხარე. აქაური სიმღერები რამდენადმე განსხვავდება გურული და აქარისწყლის ხეობის სიმღერებისაგანც. საინტერესოა აგრეთვე წიგნში წარმო-

დგენილი სხვადასხვა შინაარსის წერილები და რეცენზიები. აქარის წარმოდგენება წერილები: „აქარლების ბრძოლა საშობლოს თავისუფლების შრაქით უდინა „ილია ჭავჭავაძე და აქარა“, შემცული წერება რეცელი ბათუმში“.

რამდენადაც სარეცენზიონ ნაშრომია გ. ნოღაიდელის თხზულებათა პირველ წიგნს წარმოადგენს, ამდენად, ვფიქრობთ, სასურაველი იქნებოდა ზღვიერთი შეინშენის გათვალისწინება.

კრებულში შეტანილი ნაგრევები და წერილები თემატიკის მიხედვით ძირითად ეთნოგრაფიული, ფოლკლორისტული და ისტორიული ხასიათისაა. ამიტომ, ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა ცალკეული გამოკვლევები (თუ წერილები) კრებულში დარგობრივი პრინციპით დალაგებულიყო. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ქრონოლოგიური პრინციპი გაუმართლებელია.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური არქიტექტურა თავისებური ნიშნებით ხასიათდება და ამას მნიშვნელობა ენიჭება როგორც ეთნოგრაფიული, ისე ხალხური ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისით; ამ მხრივ, პირველ რიგში საყურადღებო საცხოვრებელი ნაგებობანი. კარგადა ცნობილი სვანური სახლი, ოდა-სახლი (დამახასიათებელი დამაცევეთ საქართველოს ბარისათვების), აქარული სახლი, ლაზური სახლი და ა. შ. ქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, გაუმართლებელია ამ სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი ნაგებობების აღრევა. კრებულში საილუსტრაციოდ მოტანილია ლაზური სახლის ნიმუში, რომელიც აქარულ სახლად არის მიჩნეული (გვ. 45).

კ. ნოლაიდელის „ნარკვევებისა და
ჩანაწერების“ პირელი შიგნის მნიშვ-
ნელობა იმდენად დიდია, რომ ჩვერი
ეს მცირედი შენიშვნები სრულებითაც
არ მიაყენებს მას ჩრდილს. კრებული

დიდ სამსახურს გაუწევს ქალიშვილეთ-
ნოგრძაფის, ფოლკლორისა და სარ-
თოდ ქართველი ერის უძლებელებები
წარსულისა და აწმუნს მკურნალოგიური
საინტერესოა აგრეთვე მეოთხელთა ფა-
რთო მასებისათვის.

გ. თანდილავა,
ფილოლოგის მეცნიერებათა
კანდიდატი.

დ. ზობიმ,
მეცნიერ-მუშავი.

0 92/129
026670
40 553.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118